

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ვახტანგ ბჟალავა

შავი ზღვის როლი საერთაშორისო პოლიტიკურ სისტემაში -
საქართველოს რეგიონული უსაფრთხოება

კონფლიქტების ანალიზისა და მართვის სამაგისტრო პროგრამა
სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია კონფლიქტების ანალიზისა და
მართვის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

თემის ხელმძღვანელი: ვახტანგ მაისაია, ასოცირებული პროფესორი

თბილისი, 2020

ანოტაცია

ნაშრომში „შავი ზღვის როლი საერთაშორისო პოლიტიკურ სისტემაში - საქართველოს რეგიონული უსაფრთხოება“ განხილულია შავი ზღვის რეგიონში არსებული პოლიტიკური, სამხედრო და ნაწილობრივ, ეკონომიკური ვითარება. ასევე საუბარია შავი ზღვის სანაპირო ექვსი ქვეყნის - საქართველოს, თურქეთის, რუსეთის, უკრაინის, რუმინეთის და ბულგარეთის, ასევე ევროკავშირისა და ნატო-ს ინტერესებზე. კვლევაში აღწერილია შავი ზღვის რეგიონში არსებული ძალთა ბალანსი და მიმდინარე პროცესები. ნაშრომში განხილულია თუ რა ადგილი უჭირავს შავი ზღვის რეგიონს ეროვნულ და საერთაშორისო დონის ოფიციალურ დოკუმენტებში და რამდენად გაიზარდა ინტერესი ამ რეგიონის მიმართ. კვლევის მეორე ნაწილში ვრცლად არის განხილული საქართველოს ეროვნული ინტერესები და როლი შავი ზღვის რეგიონში მიმდინარე პროცესებში. კვლევისას გამოიკვეთა, რომ შავი ზღვის საკითხი ქართულ პოლიტიკურ სივრცეში გააქტიურდა და უფრო მეტი ყურადღება ეთმობა ამ რეგიონში მიმდინარე მოვლენებს. ამავე დროს, გამოკვეთილია რეგიონის გეოსტრატეგიული მნიშვნელობა და ინტერესებული აქტორების მხრიდან. ნაშრომში ასევე წარმოჩენილია პოლიტიკოსების, დიპლომატების, სამხედრო პირებისა და ექსპერტების რეკომენდაციები და ინიციატივები. კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ რაც უფრო აქტუალურია საერთაშორისო ინტერესი შავი ზღვის მიმართ, მით უფრო მნიშვნელოვანი როლი ენიჭება შავ ზღვას საქართველოს უსაფრთხოებისთვის.

Annotation

The paper "The Role of the Black Sea in the International Political System - Regional Security of Georgia", written by Vakhtang Bzhalava, discusses the political, military and, in part, economic situation in the Black Sea region. The interests of six Black Sea countries - Georgia, Turkey, Russia, Ukraine, Romania and Bulgaria, as well as the European Union and NATO - are also discussed.

The study describes the balance of power in the Black Sea region and ongoing processes. The paper discusses the place of the Black Sea region in official national and international level documents and how much has the interest in this region increased.

The second part of the study discusses in detail the national interests of Georgia and its role in the ongoing processes in the Black Sea region. The research revealed that the issue of the Black Sea has increasingly become important in the Georgian politics and more attention is paid to the current events in the region. At the same time, the geostrategic importance of the region from the stakeholders is also highlighted.

The paper also presents the recommendations and initiatives of politicians, diplomats, military personnel and experts. The study revealed that more relevant are the international interest in the Black Sea, the more important role the Black Sea poses for Georgia's security.

სარჩევი

ანოტაცია.....	1
შესავალი.....	4
მეთოდოლოგია.....	7
ტერმინების განმარტება.....	9
ლიტერატურის მიმოხილვა.....	12
პირველი თავი: შავი ზღვის რეგიონის მნიშვნელობა და როლი თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკურ სისტემაში	19
მეორე თავი: შავი ზღვის რეგიონის გეოსტრატეგიული ადგილი მოქმედი აქტორების საგარეო და თავდაცვის პოლიტიკაში - სანაპირო სახელმწიფოთა და საერთაშორისო ორგანიზაციათა ინტერესები შავი ზღვის რეგიონის მიმართ	23
2.1. ევროკავშირი	23
2.2. NATO.....	29
2.3. რუსეთი.....	35
2.4. უკრაინა.....	42
2.5. თურქეთი.....	46
2.6. რუმინეთი.....	51
2.7. ბულგარეთი.....	54
მესამე თავი: საქართველოს ეროვნული ინტერესები და მათი რეალიზაციის სტრატეგია შავი ზღვის რეგიონში	57
3.1 შავი ზღვის როლი საქართველოს სახელმწიფო დოკუმენტებში.....	67
მეოთხე თავი: შავი ზღვის რეგიონის გეოპოლიტიკური მნიშვნელობის ინდიკატორები - მიგნებები.....	87
ინიციატივები და რეკომენდაციები.....	92
დასკვნა.....	100
ბიბლიოგრაფია.....	104

შესავალი

შავი ზღვის ფართო რეგიონი ერთმანეთთან აკავშირებს ექვს საზღვაო სახელმწიფოს: საქართველოს, თურქეთს, ბულგარეთს, რუმინეთს, რუსეთს და უკრაინას. სანაპირო ქვეყნებთან ერთად, რეგიონში მიმდინარე პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ სამხედრო პროცესებში არაერთი აქტორია ჩართული, რადგან რეგიონი გეოპოლიტიკური თვალსაზრისით სტრატეგიულად მნიშვნელოვანი სივრცეა. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის დაშლის შემდეგ, ადგილობრივმა და სახელმწიფოთაშორისმა ხანგრძლივმა მოუგვარებელმა კონფლიქტებმა, გაზრდილმა საშიშროებამ და მილიტარიზებულმა საერთაშორისო გეოპოლიტიკურმა შეჯიბრებითობამ შავი ზღვის რეგიონი გარდაქმნა არასტაბილურ და მაღალი რისკის პოტენციის მქონე რეგიონად. არასტაბილურობამ, ძალადობამ და შეიარაღებულმა კონფლიქტებმა რეგიონში მუდმივი ხასიათი მიიღო. 1991 წელს, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კონფლიქტები დაიწყო საქართველოში (აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში), ტრანს დნესტრში, მოლდოვაში, მთიან ყარაბაღში და ჩეჩნეთში. რუსეთი მთავარ მოქმედ ფიგურად იქცა რეგიონის გაჭიანურებული კონფლიქტების გამწვავებაში. (Melvin N. J., 2018). რუსეთის დესტრუქციულმა ქმედებებმა, ომმა მეზობლებთან, კონფლიქტური კერების წარმოქმნამ, ოკუპაციამ და მზარდმა მილიტარიზაციამ მთლიანად შეცვალა ძალთა ბალანსი შავ ზღვაზე და სანაპირო ქვეყნებისთვის უსაფრთხოების გარემო არასტაბილური გახადა. 2014 წელს რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიის შემდეგ, ახალი რეალობისა და რეგიონული არასტაბილურობის გამო, სანაპირო სახელმწიფოებმა მეტი ყურადღება დაუთმეს რეგიონის უსაფრთხოებაზე ზრუნვას. შავი ზღვის აუზში მიმდინარე პროცესებში, სანაპირო ქვეყნებთან ერთად, უფრო აქტიურად ჩაერთნენ ევროკავშირი და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია (NATO), რადგან სანაპირო ქვეყნებიდან სამი (ბულგარეთი, რუმინეთი და თურქეთი) ნატო-ს წევრია, ხოლო ამ სამიდან ორი (ბულგარეთი და რუმინეთი) ევროკავშირის. საქართველო და უკრაინა ორივე ორგანიზაციასთან სტრატეგიულ დონეზე თანამშრომლობს და ამ ორგანიზაციებში ინტეგრაციისკენ მიისწრაფვის.

2014 წელს რუსეთის მიერ ყირიმის ნახევარკუნძულის ანექსიითა და იქ სხვადასხვა ტიპის ახალი სარაკეტო სისტემების და სამხედრო შეიარაღების განთავსებით რუსეთი უპირობო ჰეგემონი გახდა რეგიონში და შავი ზღვის სრული კონტროლი დაიწყო. ახალი რეალობიდან გამომდინარე, უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის შავი ზღვის აუზის სახელმწიფოებმა და სხვა საერთაშორისო აქტორებმა მეტი ყურადღება დაუთმეს შავ ზღვასა და მის უსაფრთხოებას. ეს ტენდენცია კარგად ჩანს შავი ზღვის აუზში სანაპირო ქვეყნებისა და ნატო-ს სამხედრო აქტივობის ზრდით, სახელმწიფო დოკუმენტებში შავი ზღვის რეგიონისადმი მეტი ყურადღების დათმობით, სახელმწიფოთაშორის მოლაპარაკებისას ამ რეგიონის მიმართ ინტერესის ზრდითა და თანამშრომლობის ახალი ფორმატების ჩამოყალიბებით. იქიდან გამომდინარე, რომ რეგიონში არ არის ზოგადი თანამშრომლობის მაღალი დონე, ერთიანი ეკონომიკური თუ პოლიტიკური ინტერესები და არც რეგიონის განვითარების საერთო ხედვა, სახელმწიფო და საერთაშორისო აქტორებმა დაიწყეს სხვადასხვა სამხედრო, ეკონომიკური და პოლიტიკური თანამშრომლობის ფორმატების ჩამოყალიბება, რათა ერთიანი ძალებით უფრო მარტივად გაუმკლავდნენ რუსეთის მილიტარიზების ზრდას და აგრესიულ ქმედებებს. ამ პროცესში აქტიურად ჩაერთო საქართველოც.

საქართველო შორეული წარსულიდან შავი ზღვის აუზის სანაპირო ქვეყანაა, მაგრამ შავი ზღვის რეგიონზე უპირობო კონტროლს ყოველთვის დიდი იმპერიები: ბიზანტია, თურქეთი და ბოლოს, რუსეთი ახორციელებდნენ. რთული პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე საქართველო ნაკლებად იყო ჩართული შავი ზღვის აუზის უსაფრთხოების გარემოს ჩამოყალიბების პროცესში და დიდად არც შავი ზღვა წარმოადგენდა საქართველოსთვის უსაფრთხოების გარანტს, ამიტომ შავი ზღვის მიმართ ინტერესიც ნაკლები იყო. თუმცა, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომისა და 2014 წლის ყირიმის ანექსიის შემდეგ, საქართველომ პოლიტიკური ხედვა სრულებით შეცვალა. სახელმწიფო დოკუმენტებში, როგორც არის ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, საგარეო პოლიტიკის სტრატეგია, თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა და სხვა, კიდევ უფრო გაიზარდა შავი ზღვის რეგიონის მიმართ ინტერესი. საქართველომ ასევე აქტიურად დაიწყო

მონაწილეობის მიღება შავი ზღვის ეკონომიკურ ფორმატებში, ასევე ნატო-ს და სხვა სანაპირო ქვეყნების საზღვაო წვრთნებში. საქართველომ 2017 წელს საკონსტიტუციო ცვლილებები განახორციელა, რომლის მიხედვითაც ქვეყნის ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია კონსტიტუციური ვალდებულება გახდა. საქართველო მისწრაფის თავისუფალი, დემოკრატიული და ძლიერი სახელმწიფოს ჩამოყალიბებისკენ და აქტიურად არის ჩართული რეგიონული უსაფრთხოების უზრუნველყოფაში. შავი ზღვა კი საქართველოსთვის ერთადერთი შეხების წერტილია ევროპულ და ევროატლანტიკურ სივრცესთან. ამიტომ, სწორედ შავი ზღვის რეგიონი შეიძლება იყოს საქართველოს სტრატეგიული მიზნების მიღწევისა და ეროვნული ინტერესების დაკმაყოფილების ერთ-ერთი სივრცე. შავი ზღვის ფორმატში, ევროკავშირთან და ნატო-სთან თანამშრომლობა დაეხმარება საქართველოს შეასრულოს კონსტიტუციური ვალდებულება და მიაღწიოს ევროპულ და ევროატლანტიკურ ინტეგრაციას. შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების პოლიტიკის ფორმირებაში მონაწილეობა ასევე დაეხმარება საქართველოს უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფაში და ეკონომიკური ინტერესების დაკმაყოფილებაში.

შავი ზღვის აუზზე და ამ რეგიონის მიმართ პოლიტიკურ ინტერესებთან დაკავშირებული სამეცნიერო ნაშრომები ქართულ ენაზე ცოტაა. არ არის მრავალი კვლევა თუ პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც ასახავს ვითარებას შავ ზღვაზე ან გასცემს რეკომენდაციებს საქართველოსთვის, თუ როგორი პოლიტიკა გაატაროს აღნიშნული რეგიონის მიმართ. სწორედ ამიტომ, ნაშრომის მიზანია, ასახოს თანამედროვე ვითარება შავ ზღვის აუზში - ვის რა ინტერესები აქვს, რა სამხედრო თუ ეკონომიკური ინტერესებია რეგიონში და ასევე, წარმოაჩინოს თუ როგორ შეიძლება გამოიყენოს საქართველომ შავი ზღვის რეგიონი ეროვნული ინტერესების დასაცავად და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

მეთოდოლოგია

კვლევის მიზანია გამოიკვეთოს შავი ზღვის რეგიონის მნიშვნელობა თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკურ სისტემაში და აქედან გამომდინარე განისაზღვროს, შავი ზღვის როლი საქართველოს უსაფრთხოებისა და ეროვნული ინტერესების რეალიზებაში.

მიზნიდან გამომდინარე შემუშავდა **კვლევის ამოცანები**:

- განისაზღვროს თანამედროვე საერთაშორისო სისტემაში შავი ზღვის როლი;
- გამოიკვეთოს სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციების ინტერესები შავ ზღვაზე;
- წარმოჩინდეს როგორ იცვლებოდა შავი ზღვის როლი (ან შავი ზღვის მიმართ ინტერესი) სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციების ოფიციალურ პოლიტიკურ დოკუმენტებში;
- წარმოჩინდეს სახელმწიფო დოკუმენტებში საქართველოს ეროვნული ინტერესები;
- შეფასდეს, როგორ იყენებს საქართველო შავი ზღვის რეგიონს ეროვნული ინტერესების განხორციელებისათვის;
- განისაზღვროს შავ ზღვის მნიშვნელობა საქართველოს მომავლისთვის;
- ჩამოყალიბდეს საქართველოს, როგორც ერთ-ერთი აქტორის როლი შავი ზღვის მომავალ პოლიტიკურ სტატუსში;

თემის მასშტაბურობიდან გამომდინარე საკითხის უკეთ დასამუშავებლად განისაზღვრა **კვლევის კითხვები**:

- რა როლი აქვს შავ ზღვას თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკურ სისტემაში?
- რა ინტერესები აქვთ სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციებს შავ ზღვაზე?
- რა როლი აქვს შავ ზღვას საქართველოს უსაფრთხოებისთვის?
- რა პერსპექტივების მოტანა შეუძლია შავ ზღვას საქართველოსთვის?
- როგორ შეიძლება გამოიყენოს საქართველომ შავი ზღვის რეგიონი ეროვნული ინტერესების განხორციელებისთვის?

კვლევის ზემოთ ნახსენები მიზნების და ამოცანების შესაბამისად შემუშავდა **ჰიპოთეზა**: „რაც უფრო აქტუალურია საერთაშორისო ინტერესი შავი ზღვის მიმართ, მით უფრო მნიშვნელოვანი როლი ენიჭება შავ ზღვას საქართველოს უსაფრთხოებისთვის“.

კვლევის ჰიპოთეზიდან გამომდინარე განისაზღვრა **ცვლადები**:

- დამოუკიდებელი ცვლადი - საერთაშორისო ინტერესი შავ ზღვაზე;
- დამოკიდებული ცვლადი - შავი ზღვის როლი საქართველოს უსაფრთხოებისთვის;

საერთაშორისო ინტერესების ზრდა იზომება შავი ზღვის რეგიონში არსებული პოლიტიკური აქტივობებითა და რეგიონში ოპერირებადი აქტორების ინტერესებით, რაც გულისმობს, საერთაშორისო ორგანიზაციების მოღვაწეობას, სამხედრო და ეკონომიკურ აქტივობებს, პოლიტიკოსებისა და უმაღლესი თანამდებობების პირების განცხადებებს, ოფიციალურ დოკუმენტებს, ორმხრივ და მრავალმხრივ შეთანხმებებს.

კვლევის მიზნების მისაღწევად გამოვიყენეთ კვლევის რამდენიმე მეთოდი:

Explanatory case study-ს და **Event study**-ს მეთოდი, ასევე **კონტენტ** და **დისკურს** ანალიზი, რაც გულისხმობს შავი ზღვის საკითხზე არსებული კვლევებისა და სამეცნიერო ლიტერატურის დამუშავებას, შედარებას და ანალიზს.

იქიდან გამომდინარე, რომ გვინდა ავსახოთ ბოლო პერიოდში შავი ზღვის საკითხის აქტუალობის ზრდა, ნაშრომში განხილულია უახლესი კვლევები და პოლიტიკური დოკუმენტები, რადგან 2014 წლამდე დაწერილი ლიტერატურა სრულიად სხვანაირად ასახავს რეგიონში განვითარებულ მოვლენებსა თუ აქტორთა დამოკიდებულებებსა და ინტერესებს შავი ზღვის აუზის მიმართ. მეორეული მასალის ძირითად წყაროდ გამოყენებულია “სტოკჰოლმის საერთაშორისო მშვიდობის კვლევის ინსტიტუტის”¹ (SIPRI) და „საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის“² (რონდელის ფონდი) კვლევები, რომელზე დაყრდნობითაც გამოიკვეთა შავი ზღვის სანაპირო ქვეყნების ინტერესები და პოლიტიკური აქტივობები. კვლევის ბოლო ეტაპზე

¹ Stockholm International Peace Research Institute (SIPRI) - www.sipri.org

² Georgian Foundation for Strategic and International Studies (Rondeli Foundation) - www.gfsis.org

ჩატარდა სიღრმისეული ინტერვიუები საკითხის ექსპერტებთან. პოლიტიკოსების, დიპლომატებისა და სამხედრო მაღალჩინოსნების მიერ გამოქვეყნებულ კვლევებზე და პოლიტიკის დოკუმენტებზე დაყრდნობით შემუშავდა რეკომენდაციები.

ტერმინების განმარტება

საკვლევი საკითხების მარტივად გასაგებად განვმარტავთ რამდენიმე ტერმინს, რომლებსაც გააჩნიათ საკვლევი თემისთვის კონცეპტუალური მნიშვნელობა.

საერთაშორისო პოლიტიკური სისტემა - ალექსანდრე რონდელი თავის წიგნში “საერთაშორისო ურთიერთობები“ განმარტავს, რომ საერთაშორისო სისტემა მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან გლობალური სისტემაა და ეს როგორც დედამიწის გეოგრაფიული ათვისების, ასევე მისი პოლიტიკურ-ეკონომიკური განვითარების შედეგია. ავტორი მიიჩნევს, რომ თანამედროვე საერთაშორისო სისტემა შედგება, პირველ ყოვლისა, სუვერენული პოლიტიკური ერთეულებისგან, რომლებიც ურთიერთქმედებენ სხვადასხვა სიხშირით და სიმძაფრით, საერთაშორისო ურთიერთობათა რამდენიმე დარეგულირებული პროცესის ჩარჩოებში. საერთაშორისო სისტემა მოიცავს იმ მოქმედ პირებს-სახელმწიფოებს, რომელთა მოქმედებები და საპასუხო ქმედებები ანგარიშგასაწევია დანარჩენებისთვის თავიანთი საგარეო პოლიტიკის შემუშავებისას, რადგან საერთაშორისო სისტემა ის ასპარეზია, რომლის ჩარჩოებში ხორციელდება სახელმწიფოთა მიერ ურთიერთშეფასება და ურთიერთდამოკიდებული გადაწყვეტილებების მიღება. ინტენსიური პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების, ასევე გლობალური პრობლემების წინა პლანზე წამოწევის გამო, თანამედროვე სახელმწიფოები იმდენად ურთიერთდამოკიდებულნი და ურთიერთდაკავშირებულნი აღმოჩნდნენ, რომ საერთაშორისო ურთიერთობები სისტემურ პროცესად იქცა. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო სისტემის ძირითადი ელემენტები სუვერენული სახელმწიფოებია, მათ

გარდა კიდევ არის სხვა ელემენტები ანუ მონაწილეები - საერთაშორისო ორგანიზაციები, არასამთავრობო ორგანიზაციები, საერთაშორისო კორპორაციები, რეგიონული სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირები და სხვა. ალექსანდრე რონდელი აღნიშნავს, რომ საერთაშორისო სისტემაში სტაბილურობის დასამყარებლად და შესანარჩუნებლად, საჭიროა უძლიერესი სახელმწიფოების ძალა და ავტორიტეტი. სწორედ მათ შეუძლიათ დათრგუნონ მოსალოდნელი კონფლიქტი, დაამყარონ „წესრიგი“ და საერთაშორისო სისტემას სტაბილურობა შეუნარჩუნონ მათი დიდი სამხედრო უპირატესობის გამო (რონდელი, 2006, გვ. 42-45).

ეროვნული ინტერესი - ზოგადად ეროვნული ინტერესები გულისხმობს გარკვეულ მიზნებს, რომელთა მიღწევისთვის სახელმწიფომ უნდა გაატაროს სათანადო პოლიტიკა. ალექსანდრე რონდელის განმარტებით, ეროვნული ინტერესები გულისხმობს, აგრეთვე, პოლიტიკის ისეთ მიმართულებას, რომელიც დანარჩენებისგან გამოირჩევა იმით, რომ ამგვარი პოლიტიკა გულისხმობს იმ მიზნების მიღწევას, რომლებიც ცალკეული პიროვნების ან ჯგუფების ინტერესს კი არ გამოხატავენ, არამედ მთელი ერის, სახელმწიფოს ინტერესებს. ნებისმიერი საგარეო პოლიტიკა, რომელიც ეროვნული ინტერესებით განისაზღვრება, აუცილებლად გულისხმობს, ყველაზე ცოტა, ერის, ქვეყნის გადარჩენას, მისი ტერიტორიული მთლიანობის, პოლიტიკური ინსტიტუტების და კულტურის შენარჩუნებას. აქედან გამომდინარე, ყოველი სახელმწიფო მოწოდებულია, დაიცვას საკუთარი გეოგრაფიული, პოლიტიკურ-ეკონომიკური და კულტურული სახე, როცა სხვა სახელმწიფოსაგან ხელყოფის საფრთხე ემუქრება. ალექსანდრე რონდელი წერს, რომ სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკური მიზნები უნდა გამომდინარეობდეს მისი ეროვნული ინტერესებიდან. მაშასადამე, ეროვნული ინტერესები გულისხმობს გარკვეული სხვადასხვა მიზნების იდეალურ ურთიერთშეთანხმებას (რონდელი, 2006, გვ. 112,117).

რეგიონი - როგორც გეოგრაფიული ტერმინი, რეგიონი ნიშნავს მსხვილ ტერიტორიულ ერთეულს, რომელიც მოიცავს ერთმანეთთან გეოგრაფიულ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ ან სხვა ნიშნით დაკავშირებულ მხარეებს, რაიონებს ან ქვეყნებს. ხოლო პოლიტიკური და უსაფრთხოების პერსპექტივიდან, ანა ჩიტალაძე, რომელიც თავის ნაშრომში შავი ზღვის რეგიონულ უსაფრთხოებას შეისწავლის, საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევარზე, პოლიტოლოგ ბარი ბუზანზე დაყრდნობით, წერს, რომ რეგიონი წარმოადგენს სივრცეს, სადაც სახელმწიფოები და სხვა აქტორები ერთმანეთთან იმდენად მჭიდროდ არიან ურთიერთდაკავშირებულნი, რომ მათი უსაფრთხოების განხილვა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად შეუძლებელია. „რეგიონს აყალიბებს ორი ძირითადი დინამიკა: გლობალური ძალების ურთიერთობა სისტემურ დონეზე და ურთიერთდამოკიდებულება რეგიონულ დონეზე“ (ჩიტალაძე, 2018, გვ. 24,25).

შავი ზღვის რეგიონი - გეოგრაფიული თვალსაზრისით შავი ზღვა ასრულებს მაკავშირებელ როლს ევროპასა და აზიას შორის. იქიდან გამომდინარე, რომ ნაშრომში განხილულია მხოლოდ შავი ზღვის აუზში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები და ნაშრომის ერთ-ერთი ძირითადი საკითხია საქართველოს ეროვნული ინტერესები და უსაფრთხოება, შავი ზღვის რეგიონზე საუბრისას მოვიაზრეთ სანაპირო სახელმწიფოები: საქართველო, რუსეთი, თურქეთი, უკრაინა, რუმინეთი და ბულგარეთი. ხოლო რეგიონულ საერთაშორისო აქტორებად მოიაზრება ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია (ნატო) და ევროკავშირი, რადგან სანაპირო სახელმწიფოებიდან სამი (რუმინეთი, ბულგარეთი და თურქეთი) ამ ორგანიზაციების წევრები არიან. შავ ზღვაში რამდენიმე ნახევარკუნძულია, რომლებიც გეოსტრატეგიულად მნიშვნელოვან როლს ასრულებენ: მცირე აზიის, ბალკანეთის და ყირიმის.

ლიტერატურის მიმოხილვა

ცივი ომის დასრულების შემდეგ მეცნიერთა და პოლიტიკოსთა ყურადღება შავი ზღვის რეგიონმა აქტიურად მიიქცია. რეგიონში ძალთა ბალანსის ცვლამ და ახალი კონფლიქტური კერების წარმოქმნამ, ვითარება სრულიად შეცვალა, ამიტომ მკვლევარებმა ახალი რეალობის კვლევა და აღწერა დაიწყეს. შავი ზღვის თემაზე არსებული ლიტერატურა უცხოურ ენაზე მრავლადაა, რასაც ვერ ვიტყვით ქართულ ენაზე დაწერილ ლიტერატურაზე. ნაშრომზე მუშაობისას მიმოვიხილეთ როგორც ქართული, ისე უცხოური ლიტერატურაც, რომელთა ნაწილსაც აქ განვიხილავთ.

ადრინდელ კვლევებშიც ჩანს, რომ ანალიტიკოსები ჯერ კიდევ 2010 წელს ერთიანი რეგიონალური სისტემის ჩამოყალიბების აუცილებლობაზე წერდნენ. კვლევის „A 2020 Vision for the Black Sea Region“ ავტორებს მიაჩნდათ, რომ რეგიონალური სტაბილურობისთვის აუცილებელი იყო 2020 წლამდე ჩამოყალიბებულიყო შავ ზღვის რეგიონის ერთიანი სტრატეგია. კვლევის ავტორებს მიაჩნიათ, რომ შავი ზღვის პოლიტიკის საკითხების გადაჭრის ოპტიმალური მიდგომა რეგიონალური მიდგომაა. მათი აზრით, აუცილებელია წახალისდეს რეგიონალური პრობლემების რეგიონშივე გადაჭრის გზები. ანალიტიკოსები წერენ, რომ დაინტერესებული აქტორები პრობლემების ერთად გადაჭრის საჭიროების წინაშე უნდა დამდგარიყვნენ და ნება უნდა დაერთოთ არასახელმწიფო აქტორებისთვის (ბიზნესექტორისთვის, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის და სამოქალაქო საზოგადოებისთვის) ეთამაშათ რეალური როლი გადაწყვეტილების ფორმირებაში. ამისთვის მკვლევარებმა შემდეგი რეკომენდაციები შეიმუშავეს: ქვეყნებს და სხვა აქტორებს უნდა შეექმნათ ახალი პოლიტიკა და ყოვლისმომცველი კონცეფცია - შავი ზღვის განზომილება - რომელიც ფოკუსირებული იქნებოდა 2020 წელზე. ასეთი პოლიტიკის ძირითადი მიზანი უნდა ყოფილიყო სამომავლო ცვლილებების გათვალისწინებით რეგიონალური თანამშრომლობის გაძლიერება. მკვლევარები ჯერ კიდევ 2010 წელს წერდნენ, რომ საჭირო იყო შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის (BSEC) რესტრუქტურირაცია და განახლება. ასევე

ფიქრობდნენ, რომ ფოკუსირება უნდა ყოფილიყო საერთო და რეალური საჭიროების მქონე ეკონომიკურ პრობლემებზე. კვლევის ავტორების აზრით, ერთიანი რეგიონალური პოლიტიკის ჩამოყალიბებისთვის აუცილებელი იყო რეგიონალური თანამშრომლობის სქემების პოპულარიზაცია და კოორდინაცია ყველა დონეზე. ასევე კულტურათაშორისი დიალოგის ხელშეწყობა და კარგი მმართველობის, სამოქალაქო საზოგადოებისა და სოციალური დიალოგის ხელშეწყობა. ადრინდელი კვლევებიდანაც ჩანს, რომ მიგნებები ცალსახად მიუთითებდნენ რეგიონის სტაბილურობისთვის აქტორთა თანამშრომლობის აუცილებლობაზე და შავი ზღვის საკითხების აქტუალიზებაზე (Commission on the Black Sea, 2010).

საერთაშორისო ურთიერთობებისა და სამხედრო მიმომხილველის, პროფესორ კეიმს ბოსბოტინის ნაშრომი „Assessing the Strategic Importance of The Black Sea Region“ შეისწავლის შავი ზღვის რეგიონის სტრატეგიულ მნიშვნელობას. ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია ძირითად გეოპოლიტიკურ, გეოსტრატეგიულ ფაქტორებზე და რეგიონალური უსაფრთხოების სისტემის გავლენაზე. იგი აფასებს შავი ზღვის რეგიონის როლს და მნიშვნელობას ნატო-სა და ევროკავშირის, ამერიკისა და რუსეთისათვის, განსაკუთრებით კი უკრაინისა და სამხრეთ კავკასიისათვის. ნაშრომში ასევე განხილულია რეგიონში სამხედრო ძალთა ბალანსის განვითარება, განსაკუთრებით სამხედრო თანამშრომლობა რუმინეთს, ბულგარეთსა და შეერთებულ შტატებს შორის, ასევე რუსეთის შეიარაღებული ძალების მდებარეობა. ამ ნაშრომის ძირითადი მიზანია შეაფასოს შავი ზღვის სტრატეგიული მნიშვნელობა და განსაზღვროს ძირითადი პოლიტიკური, სამხედრო, სტრატეგიული და ეკონომიკური გავლენის დინამიკა რეგიონზე. შეაფასოს პოტენციური ტაქტიკა, რათა უზრუნველყოს რეგიონალური უსაფრთხოება, ისევე როგორც, შავი ზღვის აუზის ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაცია (Bosbotinis).

„ევროპული პოლიტიკის ანალიზის ცენტრი“ (CEPA) დიდი ხანია შავი ზღვის პოლიტიკას იკვლევს და აქვეყნებს არაერთ კვლევას ამ რეგიონში მიმდინარე მოვლენებზე. 2016 წელს გამოქვეყნებულ დოკუმენტში „BLACK SEA RISING Russia's Strategy in Southeast Europe“ განხილულია შავი ზღვის სტრატეგიული მნიშვნელობა და შესწავლილია რუსეთის

რევიზიონისტული და მილიტარისტული პოლიტიკა. მკვლევარები აღნიშნავენ, რომ შავი ზღვის რეგიონზე წვდომა სასიცოცხლო მნიშვნელობისაა ყველა სანაპირო ქვეყნისათვის, მათ შორის ახლომდებარე მეზობელი სახელმწიფოებისათვისაც. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ის ვინც აკონტროლებს შავი ზღვის რეგიონს ან წარმოადგენს გაბატონებულ ძალას რეგიონში, მას ძალუმს, განახორციელოს ძალაუფლება ევროპის კონტინენტის მიმართაც, განსაკუთრებით ბალკანეთისა და ცენტრალური ევროპის მიმართ, ასევე აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის რეგიონზე, სამხრეთ კავკასიასა და ჩრდილოეთ შუა აღმოსავლეთზეც. მკვლევარები წერენ, რომ ცივი ომის შემდეგ, პირველად, რუსეთს აქვს შესაძლებლობა, შავი ზღვის რეგიონის ჩრდილოეთ სანაპიროზე კონტროლი კიდევ უფრო მეტად გააფართოვოს, რაც თავის მხრივ რუსეთს ნატო-ს წევრებზე - რუმინეთსა და ბულგარეთზე, ასევე რუმინეთის ექსკლუზიური ეკონომიკური ზონის საზღვაო ენერგეტიკულ ველებზე, კიდევ უფრო მეტი ზეწოლის მოხდენის შესაძლებლობას აძლევს. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ რუსეთის მიერ პორტების და საზღვაო სანაპიროების კონტროლი კრემლს გარკვეულ სარგებელს ანიჭებს: ის საფრთხეს უქმნის არაპროგნოზირებადი ქვეყნების სავაჭრო და ენერგეტიკულ გზებს, ასევე ხელს უშლის ნატო-ს განახორციელოს კოლექტიური უსაფრთხოება შავი ზღვის რეგიონის წევრი სახელმწიფოებისათვის. ნაშრომში აღნიშნულია, რომ შავ ზღვაზე არსებულმა მილიტარისტულმა სტრატეგიამ შესაძლოა ასევე შეაფერხოს ენერჯის მიწოდება მილსადენების საშუალებით კასპიის აუზსა და ევროპას შორის, რაც კიდევ უფრო შეზღუდავს ამერიკულ და ევროპულ კავშირებს ცენტრალურ აზიასთან და ძირს გამოუთხრის სამომავლოდ ევროპისათვის თურქმენეთიდან და აზერბაიჯანიდან ბუნებრივი გაზის მიწოდების პერსპექტივებს. მკვლევარები აღნიშნავენ, რომ შავი ზღვის რეგიონს აქვს უზარმაზარი ეკონომიკური მნიშვნელობა და სამომავლო პოტენციალი, რადგან ის არის რესურსებისთვის სატრანზიტო კორიდორი, რომელიც თავის მხრივ, უხვად შეიცავს ბუნებრივ რესურსებს, ბუნებრივი გაზის საბადოების ჩათვლით. ამიტომ, სამხედრო-საზღვაო ძალების ზრდით მოსკოვს შეუძლია შეაჩეროს ენერგორესურსების მილსადენების გამოყენებით კასპიის აუზისა და ევროპის მომარაგება და ამით ჩაახშოს ევროპის მცდელობები მოსკოვის ორბიტის მიღმა ენერგეტიკული მრავალფეროვნება

გამოიყენოს. ამასთან, დოკუმენტში დეტალურად არის განხილული რუსეთის სახელმწიფო დოკუმენტებში განხორციელებული ცვლილებები და შავი ზღვის რეგიონში გადადგმული ნაბიჯები. კვლევის ავტორები ასევე აღნიშნავენ, რომ ყირიმის ანექსიამ რუსეთისათვის კიდევ ერთი სტრატეგიული საკითხი გადაწყვიტა, რაც უკავშირდება ქერჩის სრუტეში და აზოვის ზღვაში დემარკაციის საკითხებს - „ფაქტობრივად ქერჩის სრუტე ახლა რუსულია, ისევე როგორც აზოვის ზღვა, რომელიც ვირტუალურად რუსეთს ეკუთვნის“ (Bugajski & Peter, 2016).

„საგარეო პოლიტიკის კვლევის ინსტიტუტის“³ მკვლევარის ჯულია ჟოჟას ნაშრომში „Black Sea strategic volatility: players and patterns“ გაანალიზებულია შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების, საშინაო პოლიტიკური და ეკონომიკური პერსპექტივები. ასევე შავი ზღვის სახელმწიფოების პოლიტიკა, ორიენტაცია, უსაფრთხოების პოლიტიკა და სტრატეგიები. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ დღესდღეობით შავი ზღვა „არასტუმართმოყვარე ზღვად“ იწოდება, რადგან „იქ ცხოვრობენ ველური ტომები, რის გამოც ის არაკეთილგანწყობილ რეგიონად ითვლება დასავლეთ ქვეყნებისათვის, რომლებიც ცდილობენ რეგიონში მშვიდობის დამყარებას“. ასეთი დაუცველობის მთავარ მიზეზს რუსეთის ფედერაცია წარმოადგენს, რომელიც ყოველთვის დამაბულობის მთავარი წყარო და დამნაშავე იყო რეგიონში განვითარებული კონფლიქტების, როგორცაა: 1991 წლის მოლდოვის რესპუბლიკის ტერიტორიების ნაწილის ოკუპაცია, 2008 წლის ცხინვალის და აფხაზეთის რეგიონების ოკუპაცია, 2014 წლის ყირიმის ანექსია. მსგავს ტერიტორიულ დაპყრობებს რუსეთი რეგიონში საკუთარი სამხედრო ძალების გასაძლიერებლად იყენებს და ცდილობს თავი რეგიონალურ ჰეგემონად დაიმკვიდროს. ავტორი წერს, რომ მიუხედავად ამ ვითარებისა, ნატო-ს წევრი ქვეყნები ვერ შეთანხმდნენ რეგიონის უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავებაზე. მაგ: რუმინეთმა გამოაცხადა შავი ზღვის დასავლეთიზაცია ნატო-ს და სხვა დასავლური ინსტიტუტების საშუალებით მაშინ, როდესაც ბულგარეთის რესპუბლიკას სურს შეინარჩუნოს რუსული „მშვიდობა და სიყვარული“ რეგიონში. აღსანიშნავია, რომ ბულგარეთი და თურქეთი ხშირად ინაცვლებენ რუსეთის მხარეს,

³ The Foreign Policy Research Institute

მიუხედავად იმისა, რომ ისინი ნატო-ს ალიანსის წევრები არიან. რაც შეეხება საქართველოს და უკრაინას ისინი ერთგულნი არიან ბუქარესტის სამიტზე მიღებული გადაწყვეტილების და ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციის. შესაბამისად, ეს ორივე ქვეყანა თავდაცვის მიზნით აქტიურად ცდილობს შეიარაღებული ძალების მოდერნიზაციას, რათა გაზარდონ ნატო-ში გაწევრიანების შანსები და დასავლეთის ჩართულობა. ამ ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია იმაზე, რომ შავი ზღვის ქვეყნები ასევე დგანან ორი სახის საფრთხის წინაშე: დეზინფორმაცია და კორუფცია და მიუხედავად იმისა, რომ შავი ზღვის ქვეყნებმა ვერ შეიმუშავეს დღემდე რუსეთის მიმართ თანმიმდევრული სტრატეგია, ისინი ერთ რამეზე მაინც შეთანხმდნენ - „მათ სურთ ეს რეგიონი განვითარდეს და აყვავდეს, თუმცა მათი პოლიტიკა ხშირად რეგიონს ხლეჩს“ (Joja, 2019).

თავდაცვის სფეროში მრავალწლიანი მუშაობის გამოცდილების მქონე ანალიტიკოსი, კახა ესებუა, მის ნაშრომში „რუსეთის სამხედრო გაძლიერება შავ ზღვაზე ალტერნატიული კონტრსტრატეგია ნატო-სთვის“ ვრცლად მიმოიხილავს რუსეთისა და ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სამხედრო შესაძლებლობებსა და სტრატეგიებს შავი ზღვის აუზში. ნაშრომში ასახულია თუ როგორ შეიცვალა 2014 წელს რუსეთის მიერ ყირიმის ოკუპაციის შემდეგ შავი ზღვის რეგიონში ძალთა ბალანსი. დოკუმენტში წარმოდგენილია აშშ-სა და ნატო-სთვის რეკომენდირებული ალტერნატიული სტრატეგია შავ ზღვაზე. ავტორის მიერ შემოთავაზებული სტრატეგია შედგება შავი ზღვის აუზის ნატო-ს წევრ და პარტნიორ სახელმწიფოებს შორის კოორდინირებული ნაბიჯებისგან: სანაპირო სახელმწიფოებმა ნატო-სა და შეერთებული შტატების დახმარებით უნდა გააერთიანონ შესაბამისი წევრი და შემდგომში პარტნიორი სახელმწიფოების სამხედრო რესურსები და შეიძინონ თანამედროვე, შორ მანძილზე მოქმედი, სახმელეთო ბაზირების მობილური ხომალდსაწინააღმდეგო სარაკეტო სისტემები, რადარები, საჰაერო თავდაცვის სისტემები და შესაბამის საავიაციო და საზღვაო საშუალებების უმეტესობასთან ერთად გამოყონ ფინანსები შავი ზღვის უსაფრთხოების ერთიანი მიზნისთვის. დოკუმენტში მოყვანილი

სტრატეგია შექმნის რამდენიმე A2/AD⁴ ზონას შავ ზღვაში, რის შედეგადაც რუსეთის მიმართ არამეგობრულად განწყობილი შესაძლებლობებით დაიფარება ზღვის მნიშვნელოვანი ნაწილი. ავტორი ფიქრობს, რომ ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტები, საჰაერო თავდაცვითი შესაძლებლობები, საჰაერო სივრცის თვალთვალის, საავიაციო და საზღვაო შესაძლებლობებთან ერთდ, რომლებიც ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტების არასაკმარისი რადიუსით გაჩენილ დაუფარავ რაიონებს შეავსებენ, იქნება უფრო ეფექტური, ვიდრე უბრალოდ სახომალდო დაჯგუფების ყოლა, რომლებიც რუსეთის რაკეტებისთვის კარგი სამიზნეა. ამასთან, ავტორის აზრით, შავი ზღვის თავდაცვის მაკოორდინირებელი ცენტრის (BSDCC) შექმნა შეარყევს რუსეთის უსაფრთხოების განცდას შავ ზღვაზე და უარყოფით გავლენას მოახდენს მის ქმედებებზე ხმელთაშუა ზღვაზე, რადგან, მოსკოვს მოუწევს მეტი ძალების კონცენტრირება რეგიონში ხელსაყრელი ბალანსის შესანარჩუნებლად. რაც შეეხება საქართველოს, ნაშრომში აღნიშნულია, რომ თანამედროვე მობილური საჰაერო თავდაცვისა და ხომალდსაწინააღმდეგო სისტემების, ასევე საჰაერო და საზღვაო ბაზირების სათვალთვალ რადარების შექმნა მნიშვნელოვნად ამაღლებს საქართველოს თავდაცვით შესაძლებლობებს და, მეორე მხრივ, ნატო-ს შავი ზღვის უსაფრთხოების შესახებ უფრო კომპლექსურ ინფორმაციას მიაწვდის (ესეზუა, 2016).

ანალიტიკურ ნაშრომში „შავი ზღვის უსაფრთხოება ნატო-ს ყურადღების ცენტრში“ აღნიშნულია, რომ შავი ზღვის უსაფრთხოების უზრუნველყოფა არ ნიშნავს მხოლოდ ნატო-ს წევრი ზღვისპირა სახელწმიფოების უსაფრთხოების გაძლიერებას და მოითხოვს უფრო სტრატეგიულ მიდგომას ევროპული უსაფრთხოებისთვის, რეგიონის მეტად მნიშვნელოვანი როლიდან გამომდინარე. ანალიტიკოსი შოთა ღვინერია წერს, რომ ძალზედ მნიშვნელოვანია, ალიანსმა უმოკლეს პერიოდში შეიმუშაოს რეგიონის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში ნატო-ს პარტნიორი ქვეყნების მაქსიმალურად ჩართულობის სამოქმედო გეგმა. დოკუმენტში ნათქვამია, რომ შავი ზღვის რეგიონში რუსეთის აგრესიულ ქმედებებზე

⁴ A2/AD Anti Access Area Denial სამხედრო ტაქტიკა, რომლის მიზანია, მტერს არ მისცეს საშუალება გადაადგილდეს მოცემულ არეალში (Anti Access) ან შეუზღუდოს ამა თუ იმ ტერიტორიაზე მოქმედების თავისუფლება (Area Denial).

ადეკვატური პასუხი დიდწილად განსაზღვრავს ევროპაში წესებზე დამყარებული უსაფრთხოების სისტემის შემდგომი ფუნქციონირების საკითხს. ღვინერია ფიქრობს, რომ შავი ზღვის რეგიონში ამ ეტაპზე არსებული სტატუს-კვო პირველ რიგში რუსეთის ინტერესებში შედის, რადგანაც ის მეტ-ნაკლებად აკონტროლებს უსაფრთხოების გარემოს მთელ რეგიონში და ნებისმიერ მომენტში შეუძლია სიტუაციის კიდევ უფრო გამძაფრება. დოკუმენტში წერია, რომ აღმოსავლეთ ფლანგის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში წამყვანი როლი დაპირისპირების წინა ხაზის ქვეყნებს ეკისრებათ, თუმცა კვლევაში ერთმნიშვნელოვნად არის ხაზგასმული უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის როლი ევროატლანტიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფაში. შესაბამისად, ნატო-ს ინტერესებში შედის, რომ იქნეს გამოყენებული არა მხოლოდ ნატო-ს წევრი ქვეყნების, არამედ სტრატეგიული პარტნიორების თავდაცვითი პოტენციალი. აქედან გამომდინარე, საქართველოს სამხედრო შესაძლებლობების განვითარება განიხილება ნატო-ს აღმოსავლეთ ფლანგის უსაფრთხოების გაძლიერების კონტექსტში, რათა საქართველოს, როგორც რეგიონის ყველაზე სანდო და გამოცდილ პარტნიორს, მიეცეს დამატებითი შესაძლებლობა ჩაერთოს ევროატლანტიკურ უსაფრთხოებაში. აქედან გამომდინარე, ავტორის აზრით, საქართველოსთვის ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ალიანსთან მჭიდრო კონსულტაციების საფუძველზე შავი ზღვის უსაფრთხოების გაძლიერების ყველა შესაძლო ფორმატში ნატო-სთან აქტიურად მონაწილეობის კონკრეტული სამოქმედო გეგმები ჩამოყალიბდეს და თანამშრომლობის ფორმატები გაძლიერდეს (ღვინერია, 2016).

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტის ანა ჩიტალაძის სამაგისტრო ნაშრომში „შავი ზღვის რეგიონული უსაფრთხოება: პროცესი და შედეგი“ ვრცლად არის განხილული შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების სფეროში მიმდინარე მოვლენები და მისი გავლენა შავი ზღვის რეგიონული უსაფრთხოების კომპლექსად ჩამოყალიბების პროცესზე. ნაშრომში აღნიშნულია, რომ საქართველოსა და უკრაინისათვის შავი ზღვის რეგიონში არსებული გამოწვევები წარმოადგენს, როგორც საფრთხეს ეროვნული უსაფრთხოებისათვის, ასევე შესაძლებლობას ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან თანამშრომლობის გაღრმავებისათვის. სამაგისტრო ნაშრომისთვის წარმოებული კვლევის

შედეგად გამოჩნდა, რომ რუსეთისა და თურქეთის მიერ შავი ზღვის აუზის სეკურტიზაცია რეგიონის ჩაკეტვას გულისხმობს. საპირისპიროდ, ნატო და ევროკავშირი ამ საკითხთან მიმართებაში კოლექტიური თავდაცვის მიდგომებს ემხრობა. შესაბამისად, გასაკვირი არ არის, რომ რეგიონულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები გამოჩნდა მსოფლიო პოლიტიკისა და რეგიონული აქტორების პრიორიტეტულ საკითხებს შორის, მას შემდეგ, რაც 2014 წლის ყირიმის ანექსიისა და ძალთა ბალანსის დარღვევის შედეგად ეს საკითხი აქტუალური გახდა ნატო-სა და ევროკავშირისთვის (ჩიტალაძე, 2018).

პირველი თავი: შავი ზღვის რეგიონის მნიშვნელობა და როლი თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკურ სისტემაში

შავი ზღვა არის ხმელთაშუა, ეგეოსის და კასპიის ზღვის აუზების დამაკავშირებელი დერეფანი ცენტრალურ აზიაში, ახლო აღმოსავლეთში და ევროპაში გასასვლელად. სწორედ მისი გეოპოლიტიკური მდებარეობა განსაზღვრავს შავი ზღვის სტრატეგიულ მნიშვნელობას. ის კონტინენტაშორისი ერთგვარი შემაერთებელია. საუკუნეების განმავლობაში, სხვადასხვა ეტაპზე, ბიზანტიის, ოსმალეთის და რუსეთის იმპერიები შავ ზღვაზე გავლენის მოსაპოვებლად იბრძოდნენ. მოგვიანებით, ცივი ომის დროს, შავი ზღვა იყო დაპირისპირების ერთ-ერთი პოტენციური თეატრი. ამიტომ, ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია (ნატო) და ამერიკის შეერთებული შტატები მას დიდ ყურადღებას უთმობდნენ (ესებუა, 2016). საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რეგიონის სამხედრო აქტუალობა შემცირდა, რადგან დაიშალა „ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაცია“, შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებმა მოიპოვეს პოლიტიკური და სამხედრო დამოუკიდებლობა, შედეგად რუსეთს შეუძლია სანაპირო ზოლის სიგრძე და დაკარგა რიგ პორტებზე კონტროლი. ამავ დროს, მოქმედებდა მონტროს ხელშეკრულება (იხ. დანართი 1), რომლის თანახმად თურქეთი აკონტროლებს ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებს და აკისრებს მას პასუხისმგებლობას მათ უსაფრთხოებაზე. ამ გარემოებების

შედეგად დასავლეთის სამხედრო-პოლიტიკური ინტერესი შავი ზღვის რეგიონის მიმართ შესუსტდა და გაქრა დასავლეთის უმთავრესი ინტერესების ჩამონათვალიდან.

თუმცა, ვითარება დროთა განმავლობაში შეიცვალა. XX საუკუნის ბოლოდან რეგიონში გეოპოლიტიკური არასტაბილურობაა. აფხაზეთის კონფლიქტის, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომისა და 2014 წლის რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიის შემდეგ რეგიონში ძალთა ბალანსი მთლიანად შეიცვალა. ოკუპანტმა ქვეყანამ - რუსეთმა - აქტიურად დაიწყო რეგიონის მილიტარიზაცია. ძალთა ბალანსის ცვლამ და არსებულმა კონფლიქტებმა გაზარდა შავი ზღვის აუზისადმი სანაპირო ქვეყნებისა და სხვა პოლიტიკური აქტორების, ევროკავშირის და ნატოს, სტრატეგიული ინტერესი. შავი ზღვით დაინტერესებულ აქტორებს არ აქვთ რეგიონული თანამშრომლობა, აქედან გამომდინარე ჯერ კიდევ არ არსებობს რეგიონალური განვითარების პერსპექტივის ხედვა. კონფლიქტის მოუგვარებლობა აფერხებს რეგიონის ეკონომიკურ განვითარებას და ზიანს აყენებს რეგიონალურ სტაბილურობასა და უსაფრთხოებას. ამ რეგიონში კი ხდება ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირება, მოქალაქეთა მიმოსვლა და მასზე გადის არაერთი სავაჭრო გზა, ამიტომ მნიშვნელოვანია, ჩამოყალიბდეს შავი ზღვის ერთიანი, განვითარებული, ინტეგრირებული და სტაბილური რეგიონი. შავი ზღვის სივრცეში არ არსებობს ერთიანი რეგიონული იდენტობა, არც საერთო ეკონომიკური ინტერესები, ასევე ზღვისპირა ქვეყნების განვითარებისა და დემოკრატიის დონე სხვადასხვაგვარია. გარდა ამისა, წევრი ქვეყნების საგარეო პოლიტიკური ორიენტაციაც დიდად განსხვავებულია. ასეთი პოლიტიკური ფონი კი შავი ზღვის ერთიან რეგიონად ჩამოყალიბების ხელის შემშლელი ფაქტორია.

სამხედრო და პოლიტიკის მკვლევარები ფიქრობენ, რომ შავი ზღვა დღეისთვის არის ნატოს აღმოსავლეთ ფლანგის ყველაზე მოწყვლადი და ნაკლებად დაცული სეგმენტი. რუსეთის მიერ საქართველოსა და უკრაინის წინააღმდეგ განხორციელებული სამხედრო აგრესიის შედეგად, შავი ზღვის რეგიონის კოლექტიური უსაფრთხოების და ეკონომიკური თანამშრომლობის პერსპექტივები ამ ეტაპზე მნიშვნელოვნად არის შეზღუდული. 21-საუკუნის დასაწყისიდან შავი ზღვის რეგიონში განვითარებული მოვლენები პირდაპირ ზეგავლენას ახდენენ ევროატლანტიკურ უსაფრთხოებაზე. ასევე აღსანიშნავია, რომ „შავი

ზღვის რეგიონში, გეოპოლიტიკური მდებარეობებიდან გამომდინარე, ხდება სამხრეთიდან მომდინარე საფრთხეების რუსეთის საფრთხეებთან შერწყმა და აკუმულირების ეფექტი კიდევ უფრო ამძიმებს რეგიონულ უსაფრთხოებას“ (ღვინერია, გვ. 9). ალიანსის გაფართოების შემდეგ შავი ზღვა ნატო-სა და რუსეთის შეხების ხაზი გახდა. რუსეთის სამხედრო მოდერნიზაციამ და ახალმა სტრატეგიამ, რომელიც საქართველოსთან ომის შემდეგ შეიცვალა და რომლის შედეგადაც მნიშვნელოვნად გაძლიერდა რუსეთის წარმომადგენლობა შავ ზღვაზე, ასევე ყირიმის ანექსიის შემდეგ წვდომის ხელშეშლისა და მანევრის შეზღუდვის ზონის (A2/AD - Anti Access Area Denial)⁵ შექმნამ, მთლიანად შეცვალა შავ ზღვაზე არსებული ძალთა ბალანსი რუსეთის სასარგებლოდ (იხ. დანართი 2). რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიის შემდგომ ნატო რუსეთს განიხილავს საფრთხის მომატებულ წყაროდ და ცდილობს თავისი სამხედრო პოზიცია შავი ზღვის რეგიონში გააძლიეროს თანამედროვე საზღვაო ხომალდების, ახალი წყალქვეშა ნავების, რაკეტებისა და საჰაერო თავდაცვითი სისტემების გამოყენებით. რუსეთის მიერ ყირიმის სწრაფი მილიტარიზაციის შემდეგ ნატო-ს ყურადღება შავი ზღვის რეგიონისადმი კიდევ უფრო გაიზარდა. რეგიონში მიმდინარე გადაუჭრელი კონფლიქტები კრიტიკულად ემუქრება ევროპული უსაფრთხოების წესრიგს. ეს მოვლენები უარყოფით გავლენას ახდენს არა მხოლოდ ნატო-სა და ევროკავშირზე, არამედ ორივე ორგანიზაციის გაფართოების დღის წესრიგზე, რომელიც მიმართულია შავი ზღვის ფართო რეგიონში პოსტ-საბჭოთა სივრცის სახელმწიფოების ინტეგრაციაზე (მაგ: საქართველო, მოლდოვა და უკრაინა). ამგვარად ნატო-მ და ევროკავშირმა დაადასტურეს თავიანთი ვალდებულება რეგიონში მყოფი სახელმწიფოების უფლების შესახებ თვითონ გააკეთონ სუვერენულმა სახელმწიფოებმა არჩევანი თავიანთი ქვეყნების უსაფრთხოების დაცვის გათვალისწინებით, როგორც ძირითადი დემოკრატიული და საერთაშორისო სამართლებრივი პრინციპის განხორციელება. შავი ზღვის რეგიონი დღესდღეობით წარმოადგენს კომპლექსურ და არაპროგნოზირებად უსაფრთხოების სივრცეს. რეგიონში

⁵ A2/AD Anti Access Area Denial სამხედრო ტაქტიკა, რომლის მიზანია, მტერს არ მისცეს საშუალება გადაადგილდეს მოცემულ არეალში (Anti Access) ან შეუზღუდოს ამა თუ იმ ტერიტორიაზე მოქმედების თავისუფლება (Area Denial). A2/AD რაკეტები რუსეთს შესაძლებლობას აძლევს ჩაძიროს თითქმის ყველა მცურავი საშუალება შავ ზღვაზე.

არსებული დინამიკის წყაროები მრავალფეროვანია, რაც ადგილობრივ გადაუჭრელ უსაფრთხოების პრობლემებთან ერთად, რუსეთსა და ევროატლანტიკურ საზოგადოებას შორის ურთიერთობის გაუარესების შედეგია. მაშინ, როდესაც ნატო კვლავ აგრძელებს სამხედრო ძალების გაძლიერებას რეგიონში, რათა გააღრმავოს უკრაინასა და საქართველოსთან უსაფრთხო პარტნიორობა, ალიანსის წევრ სახელმწიფოებს შორის ჯერ კიდევ არ მიღწეულა კონსენსუსი, თუ როგორი პოლიტიკა წარმართონ რუსეთის რეგიონალური სამხედრო ძალების შავ ზღვაში არსებობის წინააღმდეგ (Melvin N. J., 2018).

შავი ზღვის აუზში ძალთა ბალანსის და პოლიტიკური ვითარების მკვეთრი ცვლილების შემდეგ, სანაპირო ქვეყნებმა, ეროვნული ინტერესების შესაბამისი, ერთმანეთისგან განსხვავებული პოლიტიკის გატარება დაიწყეს და ყველა სახელმწიფომ თავისი სტრატეგია შეიმუშავა. ნაწილი რუსეთის წინააღმდეგ კონფრონტაციულ ნაბიჯებს არ შეუშინდა, ზოგიერთი ქვეყანა შედარებით რბილ პოლიტიკას ატარებს. თურქეთი კი სტატუს-კვოს შენარჩუნებას ცდილობს, თუმცა ყველა მათგანმა გაზარდა სამხედრო შეიარაღება და სამხედრო წვრთნებშიც უფრო აქტიურ მონაწილეობას იღებენ.

შემდგომ თავებში „სტოკჰოლმის საერთაშორისო მშვიდობის კვლევის ინსტიტუტის“ (SIPRI) და „საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის“ კვლევებზე დაყრდნობით განხილულია თუ რა ინტერესები აქვთ და როგორ პოლიტიკას აწარმოებენ სანაპირო ქვეყნები და საერთაშორისო ორგანიზაციები შავი ზღვის რეგიონის მიმართ.

მეორე თავი: შავი ზღვის რეგიონის გეოსტრატეგიული ადგილი მოქმედი აქტორების საგარეო და თავდაცვის პოლიტიკაში - სანაპირო სახელმწიფოთა და საერთაშორისო ორგანიზაციათა ინტერესები შავი ზღვის რეგიონის მიმართ

2.1. ევროკავშირი

2007 წელს ბულგარეთი და რუმინეთი ევროკავშირის წევრი ქვეყნები გახდნენ და შესაბამისად, ევროკავშირს აქვს პირდაპირი გასასვლელი შავ ზღვაზე. აქედან გამომდინარე რეგიონში არსებული გამოწვევებს, საფრთხეებს და შესაძლებლობებს ევროკავშირი საკუთარ გამოწვევებად, საფრთხეებად და შესაძლებლობებად აღიქვამს. ეს კარგად ჩანს 2007-2011 წლებში ევროკავშირის მიერ შემუშავებულ სტატეგიებში, ინიციატივებში და სხვა დოკუმენტებში, სადაც შავი ზღვის აუზს ევროკავშირი ერთიან და მისთვის მნიშვნელოვან რეგიონად მიიჩნევს. 2011 წლის 20 იანვარს ევროპარლამენტმა მიიღო რეზოლუცია „ევროკავშირის შავი ზღვის სტრატეგია“⁶, რომელშიც აღნიშნულია, რომ შავი ზღვის რეგიონი სტრატეგიული ხიდია ევროპასა და კასპიის ზღვის აუზს შორის, რომელიც ევროპას აკავშირებს ცენტრალურ აზიასა და ახლო აღმოსავლეთთან. ასევე ამ ხიდით ევროპა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასა და ჩინეთს უკავშირდება. დოკუმენტში წერია, რომ შავი ზღვა გეოგრაფიული თვალსაზრისით ევროპული ზღვაა და შესაბამისად, ევროკავშირსა და შავი ზღვის რეგიონს, უსაფრთხოების თვალსაზრისით, საერთო შესაძლებლობები და გამოწვევები აქვთ. აქედან გამომდინარე, ევროკავშირის ინტერესებშია, შავი ზღვის რეგიონში მშვიდობის, სტაბილურობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა, დემოკრატიული პროცესების განვითარება და სანაპირო ქვეყნებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ევროკავშირმა შავი ზღვის უსაფრთხოების არქიტექტურის ჩამოყალიბებაში უფრო აქტიური როლი უნდა ითამაშოს. აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის ინიციატივებში ხშირად ფიგურირებს შავი ზღვის რეგიონი (ჩიტალაძე, 2018).

⁶ An EU Strategy for the Black Sea. European Parliament. 20.01.2011 - <https://www.europarl.europa.eu/sides/getDoc.do?pubRef=-//EP//TEXT+TA+P7-TA-2011-0025+0+DOC+XML+V0//EN>

2019 წლის ევროკომისიის ანგარიშის თანახმად 2015-2018 წლებში შავი ზღვის თანამშრომლობა წარმატებით ვითარდებოდა ისეთ სფეროებში როგორცაა საზღვაო პოლიტიკა, საზღვაო კვლევა და ინოვაციები, თევზჭერა, გარემოს დაცვა და კლიმატის ცვლილება, საზღვრისპირა თანამშრომლობა და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა. ანგარიშის თანახმად განათლება, მეცნიერება და კვლევები (საზღვაო საკითხების მიღმა), კულტურა და ტურიზმი, ენერგეტიკა და ტრანსპორტი წარმოადგენს ევროკავშირის პარტნიორების განსაკუთრებული ინტერესის საგანს. ანგარიში ხაზს უსვამს შავი ზღვის რეგიონის როგორც ევროპისა და აზიის მაკავშირებელი რგოლის მნიშვნელობას ევროკავშირისთვის (Black Sea Synergy: review of a regional cooperation initiative - period 2015-2018).

ევროკავშირისთვის შავი ზღვის რეგიონი მნიშვნელოვანია ეკონომიკური კუთხით. „რონდელის ფონდის“ ევროპული კვლევების ცენტრის დირექტორი კახა გოგოლაშვილი აღნიშნავს, რომ შავი ზღვის აუზის რიგი ქვეყნები მდიდარი არიან ბუნებრივი რესურსებით, ხოლო ზოგი წარმოადგენს სატრანზიტო ქვეყანას, რაც მნიშვნელოვანია ევროკავშირის ენერგეტიკული უსაფრთხოებისათვის, რადგან შავი ზღვის ქვეყნები კასპიისა და ცენტრალური აზიის რეგიონისთვის სატრანსპორტო დერეფნისა და ერთგვარი ხიდის ფუნქციას ასრულებენ. აღსანიშნავია, რომ ორივე რეგიონი მდიდარია ბუნებრივი, მათ შორის, ენერგორესურსებით. ამიტომ ევროკავშირისთვის შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოებას სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. ამასთან ერთად, ევროკავშირის სტრატეგიული გამოწვევები და მიმართულებებია: ეკონომიკური განვითარება და ვაჭრობა, საზღვრისპირა და შიდა დავების და რყევების პრევენცია და მოგვარება, ტერორიზმისა და იარაღის გავრცელების აღმოფხვრა, ნარკოტიკების ბრუნვასთან და ადამიანებით ტრეფიკინგთან ბრძოლა, ნავიგაციის ხელშეწყობა და სამხედრო დაპირისპირების შეკავება, ასევე გარემოს, მიგრაციის, დასაქმებისა და თანასწორობის დაცვა და ბუნებრივი რესურსების გამოყენება. აქედან გამომდინარე შავ ზღვაზე უსაფრთხოებასა და სტაბილურობას მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ევროკავშირის მომავალზე (გოგოლაშვილი, 2018). ევროპული კვლევების ცენტრის დირექტორი კახა გოგოლაშვილი თავის ნაშრომში

„ევროკავშირის შავი ზღვის პოლიტიკა“ აღნიშნავს, რომ „ევროკავშირმა თანამშრომლობის მხარდასაჭერად შავი ზღვის აუზში რამდენიმე ფინანსური ინსტრუმენტი აამოქმედა, რომელიც მოიცავს ცენტრალური ევროპის, აღმოსავლეთ ევროპისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებს:

- TRACECA⁷ და INOGATE⁸ – მრავალწლიანი სახელმწიფოთაშორისი პროექტები შავი ზღვისა და კასპიის ზღვის რეგიონებში, შესაბამისად, სატრანსპორტო და ენერგოდერეფნების განვითარებისთვის.
- პანევროპული სატრანსპორტო სივრცის (PETrA) შავ ზღვაზე გავრცელების გეგმები.
- დუნაი-შავი ზღვის გარემოსდაცვით დავალებათა ჯგუფის (DANBLAS) ინიციატივა.
- ევროკავშირის დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების (EIDHR) პროგრამა.
- სტაბილურობის ინსტრუმენტი რეგიონში კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების ხელშეწყობისთვის“ (გოგოლაშვილი, 2018, გვ. 4).

“შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია” (BSEC) 1990-იანი წლებში შეიქმნა და პრაქტიკულად ერთადერთ ინკლუზიური ფორმატია შავი ზღვის ფართო რეგიონის ქვეყნების თანამშრომლობისათვის. რომლის დამკვირვებელი წევრი ევროკავშირი 2007 წელიდან გახდა. კახა გოგოლაშვილი მიიჩნევს, რომ ბისეკის აქტივობებში მონაწილეობა ევროკავშირისთვის პოლიტიკურად სწორი გადაწყვეტილება იყო. რაც შეეხება სხვა ფორმატებს, გოგოლაშვილის ნაშრომში აღნიშნულია, რომ „სქემები, როგორებიცაა შავი ზღვის საზღვაო თანამშრომლობის დავალებათა ჯგუფი (BlackSeaFor), ოპერაცია შავი ზღვის ჰარმონია, შავი ზღვის სანაპირო და სასაზღვრო დაცვის ფორუმი და შავი ზღვის კომისია, ადასტურებს საზღვაო თანამშრომლობას სანაპირო სახელმწიფოებს შორის. მართლაც, ზემოთ აღნიშნული თანამშრომლობის ყველა ფორმატი წარმოადგენდა ინკლუზიურ

⁷ TransportCorridorEurope-Caucasus-Asia

⁸ Interstate Oil and Gas Transport to Europe

ინიციატივებს, თუმცა რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიის შემდეგ პრაქტიკულად ყველა აღმოჩნდა წარუმატებელი“ (გოგოლაშვილი, 2018, გვ. 4).

კიდევ ერთ-ერთი მთავარი რეგიონული ინიციატივა „შავი ზღვის სინერგია“⁹ 2007 წელს დაარსდა. სინერგია ხელს უწყობს ევროკავშირის თანამშრომლობის გაღრმავებას სხვადასხვა სფეროებში შავი ზღვის აუზის სახელმწიფოებთან. შავი ზღვის სინერგია წარმოადგენს ევროკავშირის რეგიონალური თანამშრომლობის ინიციატივას, რომელიც 2007 წელს ბულგარეთისა და რუმინეთის ევროკავშირში გაწევრიანების შედეგად ჩამოყალიბდა. ინიციატივას ოფიციალურად საფუძველი 2008 წლის თებერვალში ქალაქ კიევში ევროკავშირისა და შავი ზღვის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრთა შეხვედრაზე ჩაეყარა. ინიციატივა შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობის გაფართოებასა და ხელშეწყობას ისახავს მიზნად. შავი ზღვის სინერგია განიხილება როგორც ევროპული სამეზობლო პოლიტიკის ნაწილი და აღმოსავლეთ პარტნიორობის ხელშეწყობი ინიციატივა, თუმცა ის მაინც ცალკე რეგიონული ინიციატივაა, რომელიც ღიაა შავი ზღვის ყველა ქვეყნისთვის, მათ შორის თურქეთისა და რუსეთისთვის. შავი ზღვის სინერგია თანამშრომლობს BSEC-თან და “შავი ზღვის კომისიასთან შავი ზღვის დაცვის შესახებ”¹⁰. სინერგია მონაწილე ქვეყნებს სთავაზობს ფორუმს, სადაც განიხილება რეგიონული და გლობალური მნიშვნელობის საკითხები და პრაქტიკული გზები მათ გადასაჭრელად. სინერგიის ფარგლებში ხდება რეგიონული პროექტების იდენტიფიცირება და განხორციელება პარტნიორების საჭიროებებიდან გამომდინარე. ინიციატივის კონკრეტული მიზნებია ნდობის აღდგენა, რეგიონული დიალოგის ხელშეწყობა და ქვეყნების/მოსახლეობისთვის ხელშესახები შედეგების მიღწევა. უნდა აღინიშნოს, რომ შავი ზღვის სინერგია 2008 წლის ამბიციური დასაწყისის მიუხედავად, არ წარმოადგენს ქმედით ინიციატივას, მითუმეტეს, როდესაც მისი ერთ-ერთი მონაწილე - რუსეთი, მალე ოკუპანტ ძალად იქცა. სინერგია შეიძლება ითქვას ეფემერულ პროექტად იქცა და შავი ზღვის რეგიონში თანამშრომლობა რეალურად ევროკავშირის სხვადასხვა ინსტრუმენტების

⁹ Black Sea Synergy. European External Action Service - https://eeas.europa.eu/diplomatic-network/black-sea-synergy/346/black-sea-synergy_en

¹⁰ Black Sea Commission for the protection of the Black Sea

საშუალებით ხორციელდება, უმთავრესად შავი ზღვის საზღვრისპირა თანამშრომლობით, რომელიც ევროკავშირის დახმარების რეგიონულ ინსტრუმენტს წარმოადგენს. ეს ინიციატივები მიზნად ისახავდა თანამშრომლობის გაღრმავებას შავი ზღვის ქვეყნებს შორის, რაც მშვიდობის დამყარების და რეგიონის განვითარების წინაპირობა იქნებოდა.

ევროპის სამეზობლო პოლიტიკის თვალსაზრისით, **აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივამ**, რომელიც 2009 წელს შეიქმნა, ევროკავშირს შესაძლებლობა მისცა განსხვავებული პოლიტიკა ეწარმოებინა სამხრეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის და აღმოსავლეთ ევროპის, მათ შორის, შავი ზღვის მიმართ. ამ ინიციატივამ ევროკავშირის ქვეყნებს გზა გაუხსნა აღმოსავლეთ ევროპასთან გაზრდილ პოლიტიკურ თანამშრომლობას და ეკონომიკურ ინტეგრაციას, რომელიც შესაძლოა გახდეს ევროკავშირის სამომავლო გაფართოების წინაპირობა. ანალიტიკოსების აზრით, აღმოსავლეთ პარტნიორობა ქმნის აღმოსავლეთ ევროპულ სახელმწიფოებთან ორმხრივი და რეგიონული ურთიერთობების უფრო მაღალი დონისა და ამბიციის ჩარჩოს, ვიდრე ნებისმიერი წინა ინიციატივა (გოგოლაშვილი, 2018).

Heritage Foundation-ის მკვლევარი ლუკ კოფი გამოცემა mei.edu-ში გამოქვეყნებულ სტატიაში წერს, რომ შავი ზღვის რეგიონისადმი ევროკავშირის გამოკვეთილ ყურადღებას ორი ძირითადი საკითხი განაპირობებს. პირველი - უსაფრთხოება და რუსეთის მიერ რეგიონის უკანონო ოკუპაცია და მეორე - „სამი ზღვის ინიციატივა“ (Coffey, 2020). **„სამი ზღვის ინიციატივა“** არის მოქნილი პოლიტიკურ პლატფორმა პრეზიდენტების დონეზე, რომელიც 2015 წელს შეიქმნა. ინიციატივა მოიცავს ადრიატიკის ზღვის, ბალტიის ზღვისა და შავი ზღვის მიმდებარე 12 ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს. სამი ზღვა ინიციატივა მიზნად ისახავს აღნიშნულ ზღვებს შორის რეგიონის უფრო სწრაფი განვითარების სტიმულირებას. კერძოდ, წევრ სახელმწიფოებს შორის კავშირის გაღრმავებას განსაკუთრებით, ინფრასტრუქტურის, ენერგეტიკის და ციფრული ურთიერთკავშირის მიმართულებით. „სამი ზღვის ინიციატივის“ ძირითადი საყრდენებია - ეკონომიკური განვითარება, ევროპული ერთობა და ტრანსატლანტიკური კავშირები. პირველ რიგში, ინიციატივას წვლილი შეაქვს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ეკონომიკურ

განვითარებაში ინფრასტრუქტურული კავშირის საშუალებით, ძირითადად, სამ მთავარ დარგში - ტრანსპორტი, ენერგეტიკა და ციფრული ტექნოლოგია. მეორე მიზანი ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის რეალური კონვერგენციის გაზრდაა და ამით ხელს უწყობს ევროკავშირის შიგნით ერთიანობას, რაც ქმნის საშუალებას თავიდან იქნას აცილებული აღმოსავლეთ-დასავლეთის ხელოვნური განხეთქილებები და ხელს უწყობს ევროკავშირის ინტეგრაციის ზრდას. მესამე - ინიციატივა გამიზნულია ტრანსატლანტიკური კავშირების განმტკიცებაში. რეგიონში აშშ-ს ეკონომიკური ყოფნა კატალიზატორის ფუნქციას ასრულებს გაძლიერებული ტრანსატლანტიკური პარტნიორობისთვის.

Heritage Foundation-ის მკვლევარი ლუკ კოფი წერს, რომ შავი ზღვა მრავალი მიზეზის გამოა მნიშვნელოვანი რეგიონი ევროკავშირისთვის და ეს მიზეზები მოიცავს ეკონომიკურ, უსაფრთხოების, ენერგეტიკულ და სატრანსპორტო ფაქტორებს. მკვლევარი აღნიშნავს, რომ შავი ზღვის ფსკერზე ასობით მილის სიგრძის მილსადენები და ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელებია გადებული, ხოლო მსხვილი ევროპული პორტები რეგიონის ეკონომიკური საქმიანობის მნიშვნელოვან წყაროდ გვევლინება. ლუკ კოფი მიიჩნევს, რომ ევროპას საფუძვლიანი ინტერესი გააჩნია შავი ზღვის რეგიონში უსაფრთხოების, დაცულობისა და კეთილდღეობის მიმართ (Imedinews, 2020). როდესაც ევროკავშირი ავითარებდა არაერთ ინიციატივას, მათ შორის შავი ზღვის სინერგიასა და აღმოსავლეთ პარტნიორობას, ევროკავშირს ჰქონდა მოლოდინი, რომ რუსეთის ფედერაცია იქნებოდა სანდო პარტნიორი და ითანამშრომლებდა ახლო სამეზობლოში მშვიდობისა და სტაბილურობის დამყარებისთვის. ამ მოლოდინის საწინააღმდეგოდ, რუსეთმა გააძლიერა პოლიტიკური და სამხედრო წნეხი მეზობელი ქვეყნების მიმართ. რუსეთი ევროკავშირის აღმოსავლეთ ევროპული და შავი ზღვის რეგიონის მიმართ იყენებს ჰიბრიდული ომის ყველა საშუალებას: პროპაგანდას, მედიასა და სამოქალაქო ორგანიზაციებზე გავლენას, სუვერენული სახელმწიფოების და მათი უსაფრთხოების სტრუქტურების კიბერსივრცეზე შეტევას და სხვა. ამ ვითარების გამო შავი ზღვა ერთ-ერთი ყველაზე მოწყვლადი სივრცეა. რუსეთი ღიად ცდილობს დაიბრუნოს საბჭოთა კავშირის დროინდელი პოზიციები, რისთვისაც აქტიურად

ცდილობს შეაჩეროს საქართველოს, უკრაინის და მოლდოვას დასავლეთთან - ნატო-სთან და ევროკავშირთან - ინტეგრაცია. ანალიტიკოსები აღნიშნავენ, რომ აღმოსავლეთ უკრაინის კონფლიქტი ხანგრძლივი სამხედრო დაპირისპირების კერაა, ხოლო ყირიმის ნახევარკუნძული, გაძლიერებული საზღვაო, სახმელეთო და სარაკეტო შეიარაღებით, სტრატეგიული სამხედრო ობიექტია, რომელიც საფრთხეს უქმნის ყველა მშვიდობიან პროექტს შავ ზღვაზე. მიუხედავად ევროკავშირის მრავალმხრივი მცდელობისა, გაატაროს სამშვიდობო პოლიტიკა შავი ზღვის რეგიონში და დაეხმაროს ამ რეგიონის ქვეყნებს განვითარებაში, მას არ გააჩნია საკმარისი ძალა და ინსტრუმენტები წინ აღუდგეს რუსეთიდან მომდინარე საფრთხეებს და გამოწვევებს. აქედან გამომდინარე, ნატო რჩება ევროკავშირის უსაფრთხოების გარანტორად და ერთადერთ აქტორად, რომელსაც შეუძლია რეგიონში ევროპული ინტერესებისა დაცვა და ევროპული კოლექტიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა (გოგოლაშვილი, 2018).

2.2. NATO

როგორც უკვე აღინიშნა, გეოპოლიტიკური თვალსაზრისით შავი ზღვის რეგიონი ხმელთაშუა, ეგეოსის და კასპიის ზღვის აუზების დამაკავშირებელია და ხელსაყრელი დერეფანია ახლო აღმოსავლეთში და ცენტრალურ აზიაში გასასვლელად. აქედან გამომდინარე, ძლიერი სახელმწიფოების ინტერესებში ყოველთვის შედიოდა შავ ზღვაზე გამავალი მნიშვნელოვანი სავაჭრო გზების კონტროლი. ანალიტიკოსები წერენ, რომ, „ცივი ომის დასრულების შემდეგ, შავი ზღვის რეგიონი აშშ-ს და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ალიანსის ინტერესებში სამი ძირითადი მიზეზით მოხვდა: დემოკრატიის გავრცელება, თანამშრომლობა უსაფრთხოების სფეროში და ენერგომატარებლების დივერსიფიკაცია“ (ღვინერია, გვ. 6). იქიდან გამომდინარე, რომ შავი ზღვის რეგიონის სამი ქვეყანა ნატო-ს წევრია, ხოლო ორი - პარტნიორი, რეგიონში რუსეთის მიერ ძალისმიერ პოლიტიკას, კონფრონტაციულ ქმედებებს და შავი ზღვის აუზში მილიტარიზაციის ზრდას ალიანსი აღიქვამს საფრთხედ და შესაბამისად, ევროატლანტიკური კოლექტიური უსაფრთხოების გამოწვევად (ღვინერია, 2016).

ცივი ომის შემდეგ, შავი ზღვის რეგიონს დასავლეთი ნაკლებ ყურადღებას აქცევდა. თუმცა, “რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებულმა აგრესიამ შავი ზღვა ნატო-ს ყურადღების ცენტრში დააბრუნა. რუსეთ საქართველოს ომის დასრულებისთანავე, 2008 წლის 21 სექტემბერს, ნატო-ს მუდმივი საზღვაო ჯგუფ ერთის¹¹ ოთხი ხომალდი შავ ზღვაში შევიდა. თუმცა, შავ ზღვაზე ნატო-ს აქტივობა მხოლოდ დროებითი წვრთნებით შემოიფარგლებოდა” (ესებუა, გვ. 14). ყირიმის ანექსიამდე შავ ზღვაში ძირითადად ერთფეროვანი სამხედრო წვრთნები მიმდინარეობდა, ხოლო ნატო-ს საზღვაო ძალების აქტივობა შავი ზღვის სანაპირო ქვეყნებში საპორტო ვიზიტებით შემოიფარგლებოდა. აშშ და ნატო შავი ზღვის რეგიონში ყირიმის ანექსიის შემდეგ გააქტიურდნენ. რუსეთის სამხედრო ძალების დასაბალანსებლად და მოსალოდნელი აგრესიის თავიდან ასაცილებლად, აშშ და ნატო თავის ხომალდებს როტაციული წესით აგზავნიდა რეგიონში, რათა უზრუნველყო პარტნიორთა უსაფრთხოება. თუ 2014 წლამდე ნატო-ს წვრთნების მიზანი იყო ანტიტერორისტული, ან ანტიმეკობრული და საზღვაო გადაჭერის ოპერაციები, ყირიმის ოკუპაციის შემდეგ, დაიწყო ტრადიციული, კონვენციური საზღვაო საფრთხეებთან გამკლავების სიმულაციური ჰაერსაწინააღმდეგო და ნავსაწინააღმდეგო წვრთნები. ნატო-ს წვრთნები და სამხედრო აქტივობები ეფუძნებოდა პოლიტიკურ კონსენსუსს და გადაწყვეტილებებს, რომლებიც მიიღებოდა ნატო-ს სამიტებზე. ნატო-ს მიერ მიღებული დოკუმენტები და კომუნიკაციები ნათლად ასახავს ნატო-ს პოზიციებს არსებული პრობლემებისა და რეგიონების მიმართ. 2016 წლის ვარშავის სამიტის კომუნიკეში, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, პირველად აღიარებულია შავი ზღვის სტრატეგიული მნიშვნელობა. ნატო-მ ღიად დააფიქსირა თავისი შეშფოთება შავ ზღვაზე რუსეთის ქმედებებთან დაკავშირებით. „ვარშავის სამიტის დეკლარაციის მე-10 თავში შავ ზღვაზე რუსეთის გაძლიერება მოხსენიებულია დესტაბილიზაციის წყაროდ ნატო-ს სასაზღვრო რეგიონებში, შავი ზღვის აუზსა და აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში“. (ესებუა, გვ. 15). კომუნიკეში ხაზგასმულია, რომ რუსეთის სამხედრო მოქმედებები ნატო-ს საზღვრებთან და, მათ შორის შავ ზღვაზე, პროვოკაციულია და დესტაბილიზაციას ემსახურება.

¹¹ Standing NATO Maritime Group One SNMG1

დოკუმენტის მეათე მუხლში ასევე აღნიშნულია, რომ რუსეთის სამხედრო ყოფნა შავ ზღვაში, აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში ძალის გასაძლიერებლად, დამატებითი საფრთხე და გამოწვევაა ალიანსის მოკავშირეთა უსაფრთხოებისთვის. სამიტზე აღნიშნეს, რომ რუსეთის ქმედებები ალიანსის წევრი ქვეყნების უსაფრთხოებისთვის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს და განვითარებული მოვლენები კი ზრდის კონფლიქტის რისკს. დოკუმენტში ნათქვამია, რომ ნატო გააძლიერებს შავი ზღვის რეგიონის მონიტორინგს და მხარს დაუჭერს შავი ზღვის ქვეყნებს უსაფრთხოებისა და რეგიონის სტაბილურობის უზრუნველყოფაში. ამასთან, დოკუმენტის 23-ე პარაგრაფში აღნიშნულია, რომ ნატო გააძლიერებს დიალოგს და თანამშრომლობას საქართველოსთან და უკრაინასთან (Warsaw Summit Communiqué, 2016).

მომდევნო წელს, ბუქარესტში გამართულ ნატო-ს 63-ე საპარლამენტო ასამბლეაზე მიიღეს რეზოლუცია „სტაბილურობა და უსაფრთხოება შავი ზღვის რეგიონში“, სადაც ყურადღებაა გამახვილები შავი ზღვის უსაფრთხოების პოლიტიკის გაძლიერებასა და რუსეთის შეკავებაზე. დოკუმენტში არაერთხელ არის ნახსენები საქართველო და უკრაინა და მათი მნიშვნელობა რეგიონის უსაფრთხოებაში. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ნატო შემფოთებულია შავი ზღვის რეგიონში ვითარების დაძაბვის გამო, კერძოდ ყირიმის ანექსიითა და საქართველოს რეგიონების, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ოკუპაციით (NATO Parliamentary Assembly, 2017).

20018 წელს ბრიუსელში გამართული სამიტის დეკლარაციაში შავ ზღვაზე ნატო-ს ძალების გაძლიერებაზე საუბარი 4 სხვადასხვა პარაგრაფშია. მოკავშირეები შეთანხმდნენ, რომ ალიანსი გააძლიერებდა შეკავებისა და თავდაცვის პოლიტიკას ყველა სფეროში. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ნატო აძლიერებს კოლექტიურ საზღვაო ძალებს, მათ შორის, წყალქვეშა საომარი მოქმედებების, სადესანტო ოპერაციებისა და საზღვაო კავშირების დაცვის კუთხით. დეკლარაციაში წერია, რომ რუმინეთში მოქმედებს ნატო-ს ქვეყნების სახმელეთო ჯარების საწვრთნელი მრავალეროვნული ჩარჩო ბრიგადა მოკავშირეთა სახმელეთო ჯარების მოსამზადებლად. მიმდინარეობს მუშაობა ბრიგადის პოტენციალის შემდგომი განვითარებისთვის, რათა განმტკიცდეს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის

პოზიციები შეკავების და თავდაცვის სფეროში. აღნიშნულია, რომ ზომების მიღებამ სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო სფეროში გააძლიერა ნატო-ს წარმომადგენლობა და ჩართულობა შავი ზღვის რეგიონში. ალიანსი მიესალმება პროგრესს შეთანხმებული ზომების სრულად განხორციელებაში, განსაკუთრებით საზღვაო სფეროში. ასევე აღნიშნულია, შემდგომი მუშაობის გაგრძელების აუცილებლობა. 65-ე პარაგრაფში კი საქართველოსა და ნატო-ს ურთიერთობასა და სამომავლო თანამშრომლობაზეა საუბარი, სადაც წარმატებით არის შეფასებული საქართველოს წინსვლა. მეკავშირეები მიესალმებიან ნატო-საქართველოს განვითარებად თანამშრომლობას შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხებში და მნიშვნელოვან პროგრესს ნატო-საქართველოს პაკეტის ქოლგის ქვეშ არაერთი ინიციატივის განხორციელებაში (Brussels Summit Declaration, 2018).

2019 წელს ნატო-ს საგარეო საქმეთა მინისტრებმა ვაშინგტონში გამართულ მინისტრიალზე შეთანხმეს ახალი პაკეტი, რომელიც შავ ზღვაში ნატო-ს სიტუაციური ინფორმირებულობის გაუმჯობესების, მათ შორის, საქართველოსა და უკრაინის მხარდამჭერი ზომების გაძლიერებას ითვალისწინებს. ნატო-ს საგარეო საქმეთა მინისტრებმა რუსეთს მოუწოდეს, შეწყვიტოს საშუალო სიშორის ბირთვული ძალების შესახებ შეთანხმებით¹² ნაკისრი ვალდებულებების დარღვევა. ასევე, გაათავისუფლოს აზოვის ზღვაში დაკავებული უკრაინელი მეზღვაურები (NATO Foreign Ministers agree to enhance security in the Black Sea region, 2019). “ჩვენ განვიხილეთ, კიდევ რა შეგვიძლია გავაკეთოთ შავი ზღვის რეგიონში უსაფრთხოების გაძლიერებისთვის. ჩვენ შევთანხმეთ პაკეტი სიტუაციური ინფორმირებულობის ამაღლებისა და უკრაინისა და საქართველოსადმი ჩვენი მხარდაჭერის გაფართოების შესახებ ისეთ სფეროებში, როგორცაა საზღვაო ძალების და სანაპირო დაცვის წვრთნები, ვიზიტები პორტებში და სწავლებები, ინფორმაციის გაცვლა. ეს დაეფუძნება ჩვენს უკვე არსებულ ახლო თანამშრომლობას”, – განაცხადა ნატო-ს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა მინისტრიალის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე. სტოლტენბერგის თქმით, ნატო-ს გეგმები პატრულირებდნენ შავ ზღვაში, ატარებენ წვრთნებს უკრაინულ და ქართულ მხარესთან

¹² INF Treaty

ერთად და ალიანსი შეინარჩუნებს ფოკუსს ამ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან რეგიონზე (Press conference by NATO Secretary General Jens Stoltenberg, 2019). საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მიესალმა ვაშინგტონის მინისტერიალის შედეგებს და ის საქართველოსთვის მნიშვნელოვნად შეაფასა. “მინისტერიალმა დაამტკიცა შესაბამისი პაკეტი, რომელიც მოიცავს შავ ზღვაზე უსაფრთხოების მიმართულებით ქმედებებს. მინისტერიალი საუბრობს უკრაინასთან და საქართველოსთან თანამშრომლობის გაძლიერებაზე შავ ზღვაში, გულისხმობს უფრო მეტი საზღვაო გემების ვიზიტს, ინფორმაციის გაცვლას, პერსონალის მომზადებას ნატო-ს სტანდარტებთან შესაბამისობაში”, – განაცხადა ზალკალიანმა და დასძინა, რომ ნატო თვისობრივად გაზრდის თავის ყოფნას შავი ზღვის აკვატორიაში, რაც დამატებით შესაძლებლობებს ქმნის შავი ზღვის უსაფრთხოების კონტექსტში (Netgazeti, 2019).

ალიანსის განცხადებები პრაქტიკულ ხასიათსაც იჩენენ. ამავე წელს, ნატო-მ შავ ზღვაზე სამხედრო-საზღვაო წვრთნა Sea Breeze 2019 გაფართოებულად ჩაატარა. მანში მონაწილეობა მიიღო 2000-ზე მეტმა სამხედრო მოსამსახურემ და 27-მა გემმა. ბულგარეთის ხელმძღვანელობით ჩატარებულ წვრთნებში მონაწილეობდა 12 ქვეყანა: ალბანეთი, ბელგია, ბულგარეთი, საბერძნეთი, იტალია, კანადა, პოლონეთი, რუმინეთი, აშშ, დიდი ბრიტანეთი, თურქეთი და საფრანგეთი (NATO ships exercise in the Black Sea, 2019). ნატო აგრძელებს სამხედრო წარმომადგენლობის ზრდას შავი ზღვის რეგიონში და რეგულარულად აწარმოებს წვრთნებს წევრ და პარტნიორ ქვეყნებთან ერთად. 2020 წელს ნატო-მ არაერთი გემი შეიყვანა შავი ზღვის რეგიონში. შავი ზღვის 3 სანაპირო ქვეყნის მეშვეობით, რომლებიც ნატო-ს წევრები არიან, რამდენიმე გემი რეგულარულად ოპერირებს შავ ზღვაში. მუდმივმოქმედი საზღვაო ძალები ასევე აწარმოებენ რეგულარულ პატრულირებას შავი ზღვის საერთაშორისო წყლებში, რითაც აფართოებენ პარტნიორების შესაძლებლობებს ერთობლივად იმუშავონ საზღვაო სფეროში. სწორედ ამას ადასტურებს ისიც, რომ პანდემიის პირობებშიც კი, 2020 წლის 23 მარტს ნატო-ს მუდმივმოქმედი მეორე საზღვაო შენაერთი 2 (SNMG2) ჩვეული ოპერაციის ფარგლებში შავ ზღვაში შევიდა და წვრთნები ჩაატარა საქართველოს ფლოტთან ერთად (NATO FORCES ENTER BLACK SEA, 2020). SNMG2-ის

შენაერთი საქართველოში ფოთის პორტში 7-დან 9 აპრილამდე იყო. SNMG2-ის შემადგენლობაში შედიოდა 5 ხომალდი ბულგარეთიდან, კანადიდან, იტალიიდან, რუმინეთიდან და თურქეთიდან, რომლებსაც იტალიელი კონტრადმირალი, ნატო-ს SNMG2-ის სარდალი პაოლო ფანტონი ხელმძღვანელობდა (NATO FORCES VISIT GEORGIA, 2020). წვრთნების დასრულების შემდეგ, ნატო-ს მუდმივმოქმედი მეორე საზღვაო შენაერთი ხმელთაშუა ზღვაში დაბრუნდა. ამ წვრთნებიდან 3 თვეში, 2020 წლის 18 ივნისს, აშშ-ის საზღვაო ძალების სადესანტო ხომალდი USS Oak Hill-ი შავ ზღვაში შეუერთდა მართვადი რაკეტებით აღჭურვილ საესკადრო ნაღმოსან USS Porter-ს, რათა ჩაეტარებინათ საზღვაო უსაფრთხოების ოპერაციები და წვრთნები მოკავშირე და პარტნიორ ქვეყნებთან ერთდ. ნატო-ს პრესსპიკერმა ოანა ლუნჯესკუმ აღნიშნულ ოპერაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ნატო მოკავშირე და პარტნიორ ქვეყნებთან ერთად აგრძელებს შავი ზღვის რეგიონში უსაფრთხოების უზრუნველყოფას. „შავი ზღვა ნატო-სთვის სტრატეგიული მნიშვნელობისაა. რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიის შემდეგ, ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა გაზარდა თვისი წარმომადგენლობა რეგიონში. ეს მოიცავს საზღვაო უსაფრთხოების ოპერაციებს, საზღვაო ძალებისა და სასაზღვრო დაცვის წვრთნებს და ინფორმაციის გაცვლას.“ - აღნიშნა ნატო-ს წარმომადგენელმა. USS Oak Hill-ის გამოჩენა 2020 წლის პირველ ნახევარში იყო აშშ-ის საზღვაო ფლოტის მიერ შავ ზღვაში პატრულირების მეოთხე შემთხვევა. აშშ-ის და ნატო-ს სხვა საზღვაო ძალები, საერთაშორისო სამართლის ფარგლებში, რეგულარულად ოპერირებენ რეგიონში და წლის ორი მესამედის განმავლობაში პატრულირებენ შავი ზღვის აუზში (NATO Allied ships patrol in the Black Sea, 2020). ეს არ არის შავ ზღვაში ნატო-ს გემების ბოლო მიმოსვლა. ალიანსი პერიოდულად პატრულირებს რეგიონში, ზრდის მის წარმომადგენლობას და მხარდაჭერას როგორც წევრი ქვეყნების, ისე პარტნიორების. ალიანსი აქტიურად მუშაობს რეგიონში ძალთა ბალანსის დასტაბილურებისთვის და ქმნის ახალ მექანიზმებს, რათა მოკავშირეთა უსაფრთხოება უზრუნველყოს.

2.3. რუსეთი

რუსეთი აღმოსავლეთ ევროპასა და აზიაში მდებარეობს და იგი 17 მილიონი კვადრატული კილომეტრის ფართობის მქონე უდიდესი ქვეყანაა მსოფლიოში. რუსეთის მთლიანი სანაპირო ზოლის სიგრძე 38 000 კმ-ს შეადგენს, საიდანაც მხოლოდ 1 171 კმ ეკუთვნის შავ ზღვას. 2014 წლამდე რუსეთის შავი ზღვის სანაპირო ზოლი გადაჭიმული იყო 500 კმ-ზე, საქართველოდან ყირიმამდე, ხოლო ყირიმის ანექსიის შემდეგ, 2014 წელს, რუსეთმა კიდევ დაიმატა 750 კილომეტრიანი სანაპირო ზოლი. რუსეთისთვის შავი ზღვა არის ხმელთაშუა ზღვასა და ჩრდილოეთ ატლანტიკის ოკეანეზე გასასვლელი უმოკლესი გზა. ასევე ერთადერთი თბილი ზღვა, რომელზეც რუსეთის ფედერაციას აქვს წვდომა. ამასთან, ყირიმის ნახევარკუნძული, რომელიც შავ ზღვაში ღრმადაა შეჭრილი და პრაქტიკულად, ზღვის ცენტრშია განთავსებული, წარმოადგენს მნიშვნელობით მეორე სტრატეგიულ წერტილს მთელი შავი ზღვის გასაკონტროლებლად, ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების შემდეგ. ამიტომ რუსეთისთვის შავ ზღვას ყოველთვის ჰქონდა და აქვს სტრატეგიული მნიშვნელობა (ესეზუა, 2016). კუიმოვა და ვეზემანი „სტოკჰოლმის საერთაშორისო კვლევების ინსტიტუტის“ კვლევით დოკუმენტში აღნიშნავენ, რომ 2014 წელს განვითარებულმა მოვლენებმა საგრძნობლად გააუარესა უსაფრთხოების გარემო - შავი ზღვის რეგიონში გაზარდა დამაბულობა და დაუცველობის განცდა. რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიამ, ასევე მიმდინარე კონფლიქტმა აღმოსავლეთ უკრაინაში, ერთის მხრივ, დამანგრეველი გავლენა იქონია რუსეთის ურთიერთობებზე შავი ზღვის რეგიონის ხუთ სახელმწიფოსთან და მეორეს მხრივ, ნატო-სთან ურთიერთობაში ახალი დაპირისპირება გამოიწვია. რუსეთმა გაფართოების მიზნით ყირიმში განთავსებული შავი ზღვის ფლოტის სამხედრო ბაზა აითვისა, საიდანაც მას შეუძლია გააკონტროლოს შავი ზღვის უმეტესი ნაწილი და წინააღმდეგობა გაუწიოს, რუსეთის მიერ აღქმულ, ნატო-ს ორგანიზებულ ანტი-რუსულ მოქმედებებს რეგიონში. რუსეთს გამიზნული ჰქონდა განემტკიცებინა თავისი რეგიონალური ძალაუფლება და გამკლავებოდა უსაფრთხოების გამოწვევებს, რაც მისი გადმოსახედიდან, 2014 წლის მოვლენების შემდეგ, კიდევ უფრო გაიზარდა. რუსეთმა შავი ზღვის რეგიონში საკუთარი ძალების გაძლიერებაზე გაამახვილა ყურადღება, რაც

გამოიხატა შავი ზღვის ფლოტის მოდერნიზაციასა და ყირიმში სამხედრო ძალების გაზრდაში. რუსეთის გაძლიერებამ რეგიონში გაზარდა მისი შესაძლებლობები გადაენაწილებინა ძალაუფლება სხვა რეგიონებზე, მათ შორის ხმელთაშუა ზღვაზე (Kuimova & Wezeman, Russia and Black Sea Security, 2018).

შავი ზღვის კავშირი ხმელთაშუა ზღვასთან და მისი სტრატეგიული მნიშვნელობა რუსეთისთვის

SIPRI-ს დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ხმელთაშუა ზღვაში რუსეთს სტრატეგიული ინტერესები აქვს. ცივი ომის პერიოდში საბჭოთა კავშირის საზღვაო ფლოტის ძირითადი ნაწილი განლაგებული იყო ხმელთაშუა ზღვაში. სსრკ-ს დაშლის შემდეგ, ხმელთაშუა ზღვაში განთავსებულმა საზღვაო ფლოტმა მალევე დაიხია უკან, თუმცა მცირე საზღვაო ლოგისტიკური დამხმარე საშუალებები კვლავ დარჩა ტარტუსში - სირიაში. 2013 წელს რუსეთმა თავისი საზღვაო ძალები, „ფლოტი“, ხმელთაშუა ზღვის რეგიონში მუდმივი ოპერაციების განსახორციელებლად კვლავ აღადგინა. აღსანიშნავია, რომ შავი ზღვის ფლოტს, ხმელთაშუა ზღვის გავლით, გასასვლელი აქვს ღია ოკეანეში. ხმელთაშუა ზღვაში საზღვაო ძალების არსებობა რუსეთს დამატებით შესაძლებლობას აძლევს, რომ კიდევ უფრო გააფართოვოს თავისი წარმომადგენლობა და გავლენა შუა აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის მისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვან რეგიონებში. უფრო მეტიც, ასეთმა წარმომადგენლობამ შესაძლოა უზრუნველყოს რუსეთის შავი ზღვის რეგიონის საზღვრების დაცვა ნატო-ს საზღვაო საფრთხეებისგან. 2015 წლიდან სირიის სამოქალაქო ომში რუსეთის სამხედრო ინტერვენციამ, სადაც ის მხარს უჭერს სირიის მთავრობას და, აგრეთვე, რუსეთის გაძლიერებულმა ინტერესმა და ზოგადმა ჩართულობამ შუა აღმოსავლეთში, გაზარდა შავი ზღვის მნიშვნელობა, როგორც ხმელთაშუა ზღვის ფლოტის ლოგისტიკური ბაზის. ამავდროს, შავ ზღვაში არსებული ბაზები და ფლოტი გახდა სირიაში მყოფი რუსი სამხედროებისა და სირიის სამთავრობო არმიის მთავარი დამხმარე ძალა და ლოგისტიკური მაშველი რგოლი. ის აერთიანებს შავი ზღვის ბაზებს (ნოვოროსიისკსა და სევასტოპოლს) და სამხედრო-საზღვაო კომპლექსს ტარტუსში. აღსანიშნავია, რომ 2017 წლის იანვარში

რუსეთმა და სირიამ ხელი მოაწერეს 49 წლიან შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც, გააფართოებდნენ ტარტუსის შესაძლებლობებს რუსეთის ხმელთაშუა ზღვის ფლოტის აქტივობის გასაუმჯობესებლად (Kuimova & Wezeman, 2018).

რუსეთის თავდაცვის პოლიტიკა

2014 წელს რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიის შედეგად წარმოქმნილმა უსაფრთხოების გამოწვევებმა მნიშვნელოვანი ცვლილება შეიტანა რეგიონის სახელმწიფოების თავდაცვის პოლიტიკაში. „სტოკჰოლმის საერთაშორისო კვლევების ინსტიტუტმა“ რუსეთის სახელმწიფო დოკუმენტები შეისწავლა და დაადგინა, რომ რუსეთმა, თავის მხრივ, გადახედა თავის თავდაცვის პოლიტიკას, რათა გაემდიერებინა საკუთარი პოზიცია რეგიონში და გამკლავებოდა გარე საფრთხეებს. რუსეთმა განაახლა თავისი ეროვნული დოკუმენტები, რომლებშიც აისახა არსებული და პოტენციური საფრთხეები. განახლებულ დოკუმენტებში საუბარია რუსეთსა და დასავლეთს შორის გაუარესებულ ურთიერთობებზე და გააქტიურებულ სამხედრო მოდერნიზაციაზე, ისევე როგორც სხვა რეგიონებისადმი რეორიენტაციის პოლიტიკაზე. რუსეთის ძირითად პოლიტიკურ დოკუმენტებში განხილულია საფრთხეთა ტრანსფორმაცია, ასევე შავი ზღვის რეგიონისადმი რუსეთის საგარეო და თავდაცვის პოლიტიკის ანალიზი. 2000-იანი წლების დასაწყისიდანვე რუსეთმა მის ერთ-ერთ მთავარ გარე საფრთხედ ნატო-ს სამხედრო შესაძლებლობების ზრდა დაასახელა. კერძოდ, ნატო-ს გაფართოება და ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში შემდგომი გაფართოების პოტენციალი, რომელსაც რუსეთი განიხილავს როგორც ალიანსის საზღვრების გაფართოების მცდელობას. საფრთხეები, რომელსაც რუსეთისთვის ნატო წარმოადგენს, მკაფიოდ არის აღნიშნული რუსეთის სტრატეგიული დაგეგმვის დოკუმენტებში - 2009 წლის მაისში შემუშავებული ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია, რომელიც 2015 წლის დეკემბერში გადაიხედა¹³; სამხედრო დოქტრინა, რომელიც 2010 წლის

¹³ Указ Президента Российской Федерации. О Стратегии национальной безопасности Российской Федерации 31.12.2015 - <http://kremlin.ru/acts/bank/40391/page/1>

თებერვალში იქნა მიღებული და 2014 წლის დეკემბერში განახლდა¹⁴. ამ დოკუმენტებში ცალსახად იდენტიფიცირებული არ არის შავი ზღვის რეგიონი, განსხვავებით არქტიკისა და აზიის რეგიონისა. 2015 წელს შესწორებულ ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიაში, აშშ-ის და ევროკავშირის საგარეო პოლიტიკური ინტერესების ფონზე, ნახსენებია უკრაინის კონფლიქტი და ამავდროულად, ხაზგასმულია უკრაინაში არსებული არასტაბილური გარემოს გავლენა რუსეთის უსაფრთხოებაზე. 2016 წლის ნოემბრის რუსეთის საგარეო პოლიტიკის კონცეფციაში ნახსენებია რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის განვითარების პოტენციალი¹⁵. ამ დოკუმენტის მიხედვით რუსეთი დაინტერესებულია საქართველოსთან ურთიერთობის ნორმალიზებით იმ სფეროებში, სადაც საქართველოც მზად არის ანალოგიური ქმედებების განსახორციელებლად, სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე სათანადო პოლიტიკური გარემოს გათვალისწინებით. ამავე დროს, ყველა ეს დოკუმენტი განსაზღვრავს რუსეთის პარტნიორობის გაძლიერებას ოკუპირებულ აფხაზეთთან და ცხინვალის რეგიონთან, როგორც მისი საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებას და მისი სტრატეგიული თანამშრომლობის ერთ-ერთ ახალ პრიორიტეტს, რომელიც მიზნად ისახავს ამ რეგიონების თავდაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფას. რუსეთი საზღვაო პოლიტიკასთან დაკავშირებულ დოკუმენტებში და დოქტრინებში შავი ზღვა გარკვევითაა ნახსენები. აღსანიშნავია, რომ საზღვაო ოპერაციებზე სახელმწიფო პოლიტიკის პრინციპები 2017 წლის ივლისში დამტკიცდა, რითაც შავი ზღვა არქტიკის, ხმელთაშუა და კასპიის ზღვებს შორის სტრატეგიულად მნიშვნელოვან ობიექტად განისაზღვრა¹⁶. დოკუმენტში წერია, რომ შავი ზღვის ფლოტის თავდაცვითი შეიარაღების გასაძლიერებლად ყირიმში შეიქმნა შეიარაღებული ძალების გაერთიანებული დაჯგუფებები, როგორც „კონფლიქტის პრევენციისა და შეკავების სტრატეგიის“ ერთ-ერთი შესაძლებლობა. რაც შეეხება 2015 წლის

¹⁴ Президент Российской Федерации В.Путин. Военная доктрина Российской Федерации. 19.12.2014 - <http://static.kremlin.ru/media/events/files/41d527556bec8deb3530.pdf>

¹⁵ Концепция внешней политики Российской Федерации. министерство иностранных дел российской федерации. 30.11.2016 - https://www.mid.ru/foreign_policy/official_documents/-/asset_publisher/CptICk6BZ29/content/id/2542248

¹⁶ Указ Президента Российской Федерации Об утверждении Основ государственной политики Российской Федерации в области военно-морской деятельности на период до 2030 года. 20.07.2017 - <http://kremlin.ru/acts/bank/42117/page/1>

რუსეთის საზღვაო დოქტრინას¹⁷, დოკუმენტში ასახულია კავშირი შავ ზღვასა და ხმელთაშუა ზღვის რეგიონს, შუა აღმოსავლეთს, ჩრდილოეთ აფრიკასა და ცენტრალურ ატლანტიკას შორისაც კი (Kuimova & Wezeman, Russia and Black Sea Security, 2018).

რუსეთის შეიარაღებული ძალების სტრუქტურა

SIPRI-ს კვლევით დოკუმენტში განხილულია რუსეთის სამხედრო შეიარაღება და მისი განვითარების დინამიკა. კუიმოვა და ვეზემანი წერენ, რომ როდესაც რუსეთის შეიარაღებული ძალები 1992 წელს ჩამოყალიბდა, მან მემკვიდრეობით მიიღო საბჭოთა კავშირისგან სამხედრო ინვენტარის უმეტესი ნაწილი, ჯარი და საბჭოთა კავშირის დროინდელი სამხედრო სტრუქტურა. რუსეთის შეიარაღებული ძალები დღესდღეობით სამხედრო პერსონალისა და მძიმე შეიარაღების, ისევე როგორც უდიდესი ბირთვული იარაღის არსენალის კუთხით, ერთ-ერთ უდიდეს არმიას წარმოადგენს მსოფლიოში. დოკუმენტის თანახმად, 2014 წლიდან შეიარაღებულ ძალებში მომსახურე პერსონალის რაოდენობა გაიზარდა.

კუიმოვა და ვეზემანი აღნიშნავენ, რომ შავი ზღვის რეგიონი მიეკუთვნება რუსეთის სამხრეთით არსებულ სამხედრო ოლქს, რომელიც ყველაზე პატარაა არსებულ ხუთ სამხედრო ოლქს შორის. ის მოიცავს სამხრეთ-დასავლეთ რუსეთს, მათ შორის ჩრდილოეთ კავკასიას, შავ ზღვას და კასპიის ზღვას, ხოლო 2014 წლის აპრილიდან - ყირიმს. შავი ზღვის ფლოტის მოდერნიზებასთან ერთად, რუსეთის მთავრობამ გამოყო სახსრები შავ ზღვაზე არსებული ბაზების განახლებისა და ყირიმის სამხედრო ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციისთვის. 2017 წლისათვის რუსეთმა 28 000 სამხედრო განათავსა ყირიმში. ბევრი მათგანი შავი ზღვის ფლოტის სამხედრო-საზღვაო პერსონალია. აღსანიშნავია, რომ შავი ზღვის ფლოტი ისტორიულად რუსეთის სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე საზღვაო ფლოტის ნაწილია, რომელიც უზრუნველყოფს რუსეთის სამხედრო უსაფრთხოებას შავი

¹⁷ Морская доктрина Российской Федерации. 26.07.2015 - <http://static.kremlin.ru/media/events/files/ru/uAFi5nvux2twagiftS5yrIZUVTJan77L.pdf>

ზღვისა და ხმელთაშუა ზღვის რეგიონებში. 2014 წლის 18 მარტის შემდეგ, ანუ მას შემდეგ, რაც რუსეთმა ყირიმი დაიპყრო, კრემლმა სრული კონტროლი დაამყარა სევასტოპოლის ბაზებზე. 2014 წლის 2 აპრილს რუსეთმა გააუქმა 2010 წლის შეთანხმება, რის საფუძველზეც მან დაიტოვა შავი ზღვის გემებზე კონტროლი. იმავე დღეს ყირიმი და სევასტოპოლი დაემატა რუსეთის სამხრეთ სამხედრო ოლქს. 2018 წლის დასაწყისში შავი ზღვის ფლოტი შედგებოდა დაახლოებით 21 ძირითადი საბრძოლო ხომალდისა და 7 წყალქვეშა ნავისაგან, რომლებიც, ძირითადად, სევასტოპოლში იყვნენ განთავსებული. ყირიმში განლაგებულ ყველაზე მნიშვნელოვან იარაღს წარმოადგენს დიდი სიშორის სანაპირო და საჰაერო თავდაცვის სარაკეტო სისტემები (A2/AD). სანაპირო დაცვის სისტემები ასევე შეიცავს 120 კილომეტრიანი დიაპაზონის მქონე სისტემის Kh-35U რაკეტებს. 2015 წელს რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ ბევრად უფრო მძლავრი სამხედრო სისტემების განთავსება იგეგმება 2020 წლისათვის. 2016 წელს ყირიმში განთავსდა საზენიტო სარაკეტო სისტემა S-400, რომელიც 2018 წელს განახლდა. S-400 არის ყველაზე განვითარებული საზენიტო სისტემა, რომელიც აქვთ რუსეთში. მისი დიაპაზონი 400 კილომეტრია და ყირიმიდან ფარავს შავი ზღვის დიდ ნაწილს (იხ. დანართი 2). სარაკეტო სისტემების პარალელურად, რუსეთმა ყირიმში განათავსა საბრძოლო რეაქტიული თვითმფრინავები Su-30SM და KA-27/29 ვერტმფრენები (Kuimova & Wezeman, 2018).

SIPRI-ს დოკუმენტში საუბარია რუსეთ-საქართველოს ომზეც და წერია, რომ 2008 წლის აგვისტოში საქართველოს და რუსეთს შორის ცხინვალის რეგიონში მიმდინარე ომის დასრულებისთანავე, რუსეთმა ოკუპირებული აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა გამოცხადა. 2009 წელს რუსეთმა ხელი მოაწერა ოკუპირებულ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან სამხედრო თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც, რუსეთს უფლება ქონდა მათ ტერიტორიაზე განეთავსებინათ სამხედრო ძალები, შესაბამისად, 2017 წლისათვის 7000 რუსული სამხედრო იყო განთავსებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში არსებულ ბაზებზე. 2015 წლის ნოემბერში რუსეთმა და არაღიარებულმა აფხაზეთმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას

შეიარაღებული ძალების ერთობლივი ჯგუფის შექმნის შესახებ¹⁸, რომელიც ძალაში 2016 წლის დეკემბერში შევიდა. 2017 წლის მარტში რუსეთმა და არაღიარებულმა სამხრეთ ოსეთმა ხელი მოაწერეს მსგავს შეთანხმებას¹⁹ - სამხრეთ ოსეთის არმიის გარკვეული დანაყოფების რუსეთის შეიარაღებულ ძალებში ჩართვის შესახებ. ეს შეთანხმება 2018 წლის თებერვალიდან დამტკიცებული და რატიფიცირებულია რუსეთის დუმის მიერ. შეთანხმება რუსეთს და ფაქტო სამხრეთ ოსეთის ე.წ შეიარაღებულ ძალებზე უფრო მეტი კონტროლის საშუალებას აძლევს, რაც ნიშნავს იმას, რომ ოკუპირებული სამხრეთ ოსეთის ჯარები შესაძლოა შევიდნენ რუსეთის სამხრეთ სამხედრო ოლქის სისტემაში. თავის მხრივ, საქართველომაც გადახედა რუსეთთან შეთანხმებას ოკუპირებულ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონთან მიმართებაში, როგორც რუსეთის აგრესიული პოლიტიკის გაგრძელებას (Kuimova & Wezeman, 2018).

რუსეთის სამხედრო ბიუჯეტზე საუბრისას მკვლევარები აღნიშნავენ, რომ რუსეთი მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე მოწინავე სახელმწიფოა სამხედრო შეიარაღებაზე გაწეული დანახარჯების კუთხით - 2017 წელს იგი მე-4 უმსხვილესი სახელმწიფო იყო. 1999-2016 წლებში რუსეთის მიერ შეიარაღებაზე გაწეული დანახარჯები საგრძნობლად გაიზარდა წინა წლებთან შედარებით და 2016 წელს ის 5-ჯერ მაღალი იყო ვიდრე 1998 წელს. შეუძლებელია შეაფასო რუსული სამხედრო ხარჯების რა ნაწილია დახარჯული შავი ზღვის რეგიონში არსებულ სამხედროებზე. აღნიშნულთან დაკავშირებით მხოლოდ შეზღუდული ინფორმაციაა ხელმისაწვდომი. 2014 წლის შემდეგ რუსეთის მიერ ყირიმის აღებიდან მცირე ხნის შემდეგ, რუსეთმა შავი ზღვის ფლოტის მოდერნიზაციის ადრეული გეგმის განხორციელების ღონისძიებები გამოაცხადა. სწორედ, რუსეთის მიერ აღქმული, ნატო-ს მხრიდან გაზრდილი საფრთხეები წარმოადგენდა მთავარ ფაქტორს შავი ზღვის ფლოტის მოდერნიზაციის საკითხში (Kuimova & Wezeman, Russia and Black Sea Security, 2018).

¹⁸ Соглашение между Российской Федерацией и Республикой Абхазия об Объединенной группировке войск (сил) Вооруженных Сил Российской Федерации и Вооруженных Сил Республики Абхазия 21.11.2015 - https://www.mid.ru/foreign_policy/international_contracts/2_contract/-/storage-viewer/bilateral/page-26/43758

¹⁹ О ратификации Соглашения между Российской Федерацией и Республикой Южная Осетия о порядке вхождения отдельных подразделений Вооруженных Сил Республики Южная Осетия в состав Вооруженных Сил Российской Федерации. 05.02.2018 - <http://publication.pravo.gov.ru/Document/View/0001201802050028>

2.4. უკრაინა

უკრაინა აღმოსავლეთ ევროპაში მდებარეობს, რომელსაც ესაზღვრება: სამხრეთ-დასავლეთით რუმინეთი და მოლდოვა, ჩრდილო-აღმოსავლეთით რუსეთი, დასავლეთით - უნგრეთი და სლოვაკეთი, ბელორუსი და პოლონეთი კი - ჩრდილოეთით. უკრაინას სამხრეთით აქვს 1006 კილომეტრიანი შავი ზღვის სანაპირო. 2014 წლამდე, როდესაც ყირიმი უკრაინის შემადგენლობაში იყო, ითვლებოდა, რომ ყირიმის 750 კილომეტრიანი სანაპირო ზოლი უკრაინას თურქეთთან ზღვით აკავშირებდა. უკრაინა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, 1991 წელს, კვლავ ჩამოყალიბდა. SIPRI-ს დოკუმენტის მიხედვით, უკრაინას მეზობელ სახელმწიფოებთან, ძირითადად, მშვიდობიანი და კონსტრუქციული ურთიერთობა ჰქონდა, თუმცა იყო ერთი გამონაკლისი - რუსეთ-უკრაინის ურთიერთობები ხასიათდებოდა ცვალებადობით მეგობრული ურთიერთობებიდან, დამაბულ და მტრულ ურთიერთობებამდე. როდესაც უკრაინას კარგი ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობა ჰქონდა რუსეთთან, ის მაშინაც ეძებდა კავშირებს ევროკავშირთან და ნატო-სთან. შესაბამისად, ახორციელებდა ისეთ პოლიტიკას, რომელიც ამ ორ ორგანიზაციებში გაწევრიანებას შეუწყობდა ხელს. 1998 წელს უკრაინამ ხელი მოაწერა ევროკავშირთან პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებას, რომელსაც 2014 წელს თან მოჰყვა ასოცირების ხელშეკრულების დადება ევროკავშირთან. უკრაინასა და ნატო-ს შორის ურთიერთობა საკმაოდ ძლიერია: 1994 წელს უკრაინა გახდა „ნატო-ს პარტნიორობის წევრი მშვიდობის პროგრამის განხორციელებაში“, ხოლო 2017 წელს ოფიციალურად ითხოვა, რომ ნატო-ს წევრი სახელმწიფო გამხდარიყო. ვეზემანი და კუიმოვა აღნიშნავენ, რომ როდესაც რუსეთ-უკრაინის ურთიერთობაში დამაბულობამ იმატა, დღის წესრიგში დადგა სამი ძირითადი საკითხი: 1) ფასი, რომელსაც ითხოვდა რუსეთი გაზის მიწოდებისთვის; 2) უკრაინის ნაბიჯები ევროკავშირისა და ნატო-ში გაწევრიანებისთვის; 3) რუსეთის საზღვაო ბაზების სტატუსი ყირიმში, რომლის გამოყენებასაც რუსეთი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგაც განაგრძობდა. SIPRI-ს კვლევითი დოკუმენტის ავტორები წერენ, რომ 2010-2014 წლებში, მაშინ როდესაც უკრაინის

პრეზიდენტმა ვიქტორ იანუკოვიჩმა პრორუსული კურსი აიღო, რუსეთ-უკრაინის ურთიერთობები მკვეთრად გაუმჯობესდა. 2014 წლის თებერვალში იანუკოვიჩი გადააყენეს და ურთიერთობები რუსეთთან მკვეთრად გაუარესდა. კერძოდ, რუსეთმა დაიპყრო ყირიმის ნახევარკუნძული და უკრაინის აღმოსავლეთში მცხოვრები უკრაინის რუსულენოვანი და რუსეთის მემკვიდრე მოქალაქეების აქტიური მხარდაჭერა მოიპოვა. ეს დამაბულობა და სამხედრო დაპირისპირება გაგრძელდა პრეზიდენტ პეტრო პოროშენკოს მმართველობის პერიოდშიც. მან პრეზიდენტის თანამდებობა 2014 წლის ივნისში დაიკავა და მკვეთრად პრო-ევროპული და პრო-დასავლური საგარეო პოლიტიკური კურსი დაიჭირა (Wezeman & Kuimova, 2018).

ყირიმის ანექსია

2008 წელს უკრაინამ ოფიციალურად განაცხადა, რომ რუსეთის შავი ზღვის ფლოტს უნდა დაეტოვებინა 2017 წლის მაისისთვის, რადგან ამ დროისთვის, სევასტოპოლის საზღვაო ბაზის იჯარის ხელშეკრულებას გასდიოდა ვადა, რაც რუსეთისთვის სერიოზული სტრატეგიული დანაკარგი იქნებოდა. 2013 წელს ვიქტორ იანუკოვიჩის ხელისუფლების დამხობის შემდეგ, რუსეთი იდგა მთლიანად უკრაინისა და ყველაზე მნიშვნელოვანი თბილი ზღვის პორტის - სევასტოპოლის დაკარგვის ზღვარზე. ეს რუსეთისთვის სტრატეგიულად დიდი დანაკარგი და პოლიტიკურად მიუღებელი იყო. რუსეთმა დაიწყო სამხედრო მოქმედებები აღმოსავლეთ უკრაინაში, ასევე მოახდინა ყირიმის ოკუპაცია და ოფიციალურად გამოაცხადა ყირიმის ანექსია და რუსეთთან მიერთება. ამავდროულად სეპარატისტულმა ძალებმა დაიწყეს კონფლიქტები უკრაინის აღმოსავლეთით - ლუგანსკისა და დონეცკის ოლქებში. ყირიმის ოკუპაციისას რუსულმა ფლოტმა ბლოკადაში მოაქცია დონუზლავის ტბაში განთავსებული უკრაინის ფლოტის უმეტესი ნაწილი და თითქმის საზღვაო შესაძლებლობების გარეშე დატოვა უკრაინა. 2014 წელს განვითარებული მოვლენების შემდეგ, რუსეთი სრულიად აკონტროლებს ყირიმის ნახევარკუნძულს (ესებუა, 2016).

უკრაინის თავდაცვის პოლიტიკა

ვეზემანი და კუიმოვა წერენ, რომ 2014 წელი უკრაინის ისტორიაში მისი ამჟამინდელი და სამომავლო უსაფრთხოების პოლიტიკის განმსაზღვრელი წერტილია. ყირიმის დაკარგვამ და ქვეყნის აღმოსავლეთში არსებულმა კონფლიქტმა დრამატულად შეცვალა უკრაინის ურთიერთობა რუსეთთან და ასევე უკრაინის პოზიცია შავი ზღვის რეგიონში. სამოქალაქო ომი უკრაინის უსაფრთხოების კუთხით იმდენად მნიშვნელოვანი საკითხი გახდა, რომ იმ დროისათვის ყველა სხვა საფრთხე დაჩრდილა, თუმცა ამან ხელი შეუწყო უკრაინის ნატო-სთან კიდევ უფრო მეტად დაახლოებას. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, უკრაინა შეეცადა კარგი ურთიერთობა დაემყარებინა ნატო-სთან. უკრაინა ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოში 1991 წელს გაწევრიანდა, ხოლო „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამაში 1994 წელს ჩაერთო. 1997 წელს უკრაინამ და ნატო-მ ხელი მოაწერეს „განსხვავებული თანამშრომლობის ქარტიას“²⁰, ხოლო 2002 წლის ნოემბერში მჭიდრო თანამშრომლობისა და ნატო-ში გაწევრიანებისათვის მიიღეს ნატო-უკრაინის სამოქმედო გეგმა²¹. უკრაინისთვის ნატო-ს წევრობა სტრატეგიული მიზანი გახდა მას მერე, რაც 2003 წელს უკრაინის პარლამენტმა მიიღო კანონი „უკრაინის ეროვნული უსაფრთხოების ძირითადი პრინციპების შესახებ“, რომელიც მიზნად ისახავდა ნატო-ს წევრობას. 2008 წელს, ბუქარესტში, ნატო-ს წევრი სახელმწიფოები შეთანხმდნენ, რომ უკრაინა მიეღოთ, როგორც წევრი სახელმწიფო თუ გარკვეულ პირობებს დააკმაყოფილებდა. SIPRI-ს დოკუმენტში აღნიშნულია, რომ აღებული კურსი შეიცვალა 2010 წელს, როდესაც ახლად არჩეულმა პრეზიდენტმა იანუკოვიჩმა რუსეთთან მჭიდრო კავშირების ძებნა დაიწყო. მან განაცხადა, რომ ნატო-სთან პარტნიორობის გაგრძელება კვლავ სურდა, მაგრამ ნატო-ში გაწევრიანება მთავარ მიზანს აღარ წარმოადგენდა. მას შემდეგ, რაც იანუკოვიჩის ხელისუფლება დაემხო და ახალი ხელისუფლება აირჩიეს, 2014 წელს რუსეთის მიერ

²⁰ Charter on a Distinctive Partnership between the North Atlantic Treaty Organization and Ukraine. NATO. 09.07. 1997 - https://www.nato.int/cps/en/natolive/official_texts_25457.htm

²¹ NATO-Ukraine Action Plan. NATO. 22.11.2002 - https://www.nato.int/cps/ar/SID-40166323-FEE6CCD2/natolive/official_texts_19547.htm

ყირიმის ანექსიის შემდგომ, უკრაინისთვის ნატო-ს წევრობა კვლავ მთავარი პრიორიტეტი გახდა, რაც 2014 წლის დეკემბერში ევროპასა და ნატო-ში გაწევრიანების შესახებ შესაბამისი კანონმდებლობის შემუშავებით დასრულდა. 2017 წლის ივნისში ნატო-ში გაწევრიანება კიდევ უფრო მაღალი პრიორიტეტულობის მქონე გახდა, როდესაც უკრაინის პარლამენტმა საგარეო პოლიტიკის შესახებ ახალი კანონი მიიღო. 2017 წლის ივლისში პოროშენკო აქტიურად შეუდგა ნატო-ს წევრობის სამოქმედო გეგმაზე მოლაპარაკებებს, ხოლო 2018 წლის თებერვალში მან ოფიციალურად მოითხოვა მისი წევრობა. ამავდროულად უკრაინა და ნატო ერთობლივად ახორციელებდნენ წვრთნებს და სამხედრო-სამამშველო ოპერაციებს. უკრაინამ სამხედრო ძალების რეფორმირებაც დაიწყო - შეცვალა სამხედრო აღჭურვილობა, რათა ისინი შესაბამისობაში მოეყვანა ნატო-ს სტანდარტებთან (Wezeman & Kuimova, 2018).

როგორც SIPRI-ს დოკუმენტშია აღნიშნული, უკრაინას შავი ზღვის უსაფრთხოების დასაცავად ბევრი დოკუმენტი არ აქვს შემუშავებული - 2012 წლის უკრაინის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიაში საუბარია რუსეთის მიერ უკრაინის ტერიტორიაზე შავი ზღვის რეგიონში საზღვაო ფლოტის განლაგებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე. უკრაინის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია²² განახლებული იქნა 2015 წელს და მასში ყურადღება მახვილდება ყირიმის ანექსიასა და აღმოსვლეთ უკრაინის კონფლიქტის მოგვარებაზე. ეს სტრატეგია რუსეთს, როგორც მთავარ საფრთხეს და გრძელვადიანი საფრთხის მომცველი ბუნების მქონე ქვეყნად მოიხსენიებს. თუმცა, დოკუმენტში შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოებაზე არაფერია ნახსენები. 2015 წლის ახალი სამხედრო დოქტრინა²³ ისევ ამახვილებს ყურადღებას რუსეთ-უკრაინის ურთიერთობებზე და დამატებით განიხილავს სრულმასშტაბიან შეიარაღებულ აგრესიას რუსეთის მხრიდან უკრაინისადმი. თავდაცვის სამინისტროს „თეთრი წიგნი“²⁴, რომელიც აღწერს უკრაინის

²² Про рішення Ради національної безпеки і оборони України від 6 травня 2015 року "Про Стратегію національної безпеки України". Верховна Рада України. 26.05.2015 -

<https://zakon.rada.gov.ua/laws/show/287/2015?test=4/UMfPEGznhhVxe.Zid5ZTXQH14U2s80msh8Ie6#Text>

²³ УКАЗ ПРЕЗИДЕНТА УКРАЇНИ Про рішення Ради національної безпеки і оборони України від 2 вересня 2015 року «Про нову редакцію Воєнної доктрини України». 24.09.2015 - <https://www.mil.gov.ua/diyalnist/reformi-ta-planuvannya-u-sferi-oboroni/voenna-doktrina.html>

²⁴ The White Book 2015: The Armed Forces of Ukraine -

https://www.mil.gov.ua/content/files/whitebook/WB_2015_eng_WEB.PDF

შეიარაღებული ძალების და თავდაცვის პოლიტიკის აქტივობებს, თითქმის ყოველწლიურად ყურადღებას ამახვილებს აღმოსავლეთ უკრაინაზე. 2018 წელს აზოვის ზღვა, რომელიც შავი ზღვის რეგიონს ჩრდილო-აღმოსავლეთიდან ქერჩის სრუტით უკავშირდება, რუსეთ-უკრაინას შორის ახალი დავის საგანი გახდა (იხ. დანართი 3). აღსანიშნავია, რომ უკრაინამ ამ არეალში დამატებითი საზღვაო და სანაპირო ძალები განათავსა. შესაბამისად, შესაძლოა უკრაინის თავდაცვის პოლიტიკამ მომავალში უფრო მეტი ყურადღება დაუთმოს საზღვაო პრობლემებს და გამოწვევებს (Wezeman & Kuimova, *Ukraine and Black Sea Security*, 2018).

2.5. თურქეთი

თურქეთი სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპასა და შუა აღმოსავლეთში მდებარეობს. დასავლეთით ესაზღვრება ბულგარეთი და საბერძნეთი, სამხრეთით - ერაყი და სირია, ჩრდილო-აღმოსავლეთიდან - საქართველო და აზერბაიჯანი (ნახიჩევანის ა/რ). აღმოსავლეთით კი - სომხეთი და ირანი. მას აქვს 1700 კილომეტრიანი სანაპირო შავი ზღვის გასწვრივ. თურქეთი ბოსფორის და დარდანელის სრუტეების მეშვეობით აკონტროლებს შავ ზღვაზე შესასვლელს და გასასვლელს. ვეზემანი და კუიმოვა წერენ, რომ ცივი ომის დასრულებამ თურქეთს შესაძლებლობა მისცა ეთამაშა წამყვანი როლი შავი ზღვის უსაფრთხოების ფორმირებაში, თუმცა თურქეთის უსაფრთხოების პოლიტიკისთვის უფრო მნიშვნელოვანია უსაფრთხოების შენარჩუნება ისეთ რეგიონებში, როგორცაა ეგეოსის ზღვა, შუა აღმოსავლეთი და ქურთი მოსახლეობით დასახლებული ტერიტორია. თურქეთის ურთიერთობა შავი ზღვის რეგიონის სხვა სახელმწიფოებთან დროთა განმავლობაში იცვლებოდა. ბულგარეთთან მიმდინარე ხანგრძლივი დავა 1990-იანი წლების დასაწყისში გადაწყდა. ჩრდილო-აღმოსავლეთით საქართველოსთან თურქეთის ურთიერთობა კონსტრუქციულად განვითარდა. ხოლო თურქეთის ბოლოდროინდელი ურთიერთობა რუსეთთან კვლავ დაძაბულია იქიდან გამომდინარე, რომ ორივე სახელმწიფო ჩართულია სირიის სამოქალაქო კონფლიქტში, სადაც ორივე სახელმწიფო კონფლიქტის სხვადასხვა მხარეს იბრძვის. თურქეთი ჩრდილოატლანტიკურ ორგანიზაციასთან აქტიურად

თანამშრომლობს და ალიანსის წევრი სახელმწიფოა 1952 წლიდან. თურქეთი ასევე იბრძვის ევროკავშირის წევრობისთვის. პირველად თურქეთმა ევროპის ეკონომიკურ თანამეგობრობას (ევროკავშირის წინამორბედს) 1987 წელს მიმართა გაწევრიანების მოთხოვნით, ხოლო სრული მოლაპარაკებები ევროკავშირის წევრობისთვის 2005 წლიდან დაიწყო. მოლაპარაკებები ნელა მიმდინარეობდა, თუმცა, 2016 წელს თურქეთში მომხდარი პრეზიდენტ ერდოღანის ხელისუფლების დამხობის მცდელობის შემდეგ შეჩერდა (Wezeman & Kuimova, 2018).

შავ ზღვა თურქეთისთვის დიდი სატრანსპორტო, ეკონომიკური და ენერგეტიკული მნიშვნელობის რეგიონია, რადგან 1990-იანი წლებიდან თურქეთის ტერიტორიაზე დაიწყო ჩრდილოეთ-სამხრეთის და აღმოსავლეთ-დასავლეთის ენერგეტიკული დერეფნების და სამომავლო ენერგო მარშრუტების განვითარება. ამ პროექტების უსაფრთხოება პირდაპირ არის დაკავშირებული შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოებასთან. „თურქეთის დამოკიდებულება შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების მიმართ განისაზღვრება ორი იმპერატივით: მონტროს კონვენციით და რეგიონული ძალის სტატუსით. რეგიონში საკუთარი მიზნის მიღწევის შესაძლებლობად თურქეთს ესახება მონტროს კონვენციით განსაზღვრული სტატუს-კვოს შენარჩუნება, ამ დოკუმენტის საფუძველზე დამყარებული ძალთა ბალანსის უზრუნველყოფა და გარე ძალების ჩარევის შეზღუდვა“ (ჩიტალაძე, გვ. 16).

მონტროს კონვენცია

მონტროს კონვენციას²⁵ ხელი 1936 წელს, შვეიცარიაში, მონტროში, გამართულ შავი ზღვის სრუტეების კონფერენციაზე მოეწერა. კონფერენციაში მონაწილეობას იღებდნენ თურქეთი, საბჭოთა კავშირი, საბერძნეთი, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, ბულგარეთი, რუმინეთი, იუგოსლავია, ავსტრია და იაპონია. მონტროს კონვენცია თურქეთს ანიჭებს უფლებებს ბოსფორისა და დარდანელის სრუტეები აკონტროლოს. ხელშეკრულება

²⁵ Convention regarding the Régime of Straits.UNTC. 20.07.1936 - <https://treaties.un.org/pages/showDetails.aspx?objid=0800000280166981>

თურქეთს ასევე აკისრებს პასუხისმგებლობას უზრუნველყოს სრუტეების უსაფრთხოება. კონვენციის თანახმად, შავ ზღვაში სავაჭრო და სამგზავრო გემების თავისუფალი გადაადგილება შეზღუდული არ არის. თუმცა, კონვენციის მიხედვით, იმ ქვეყნების სამხედრო გემებს, რომლებსაც შავ ზღვაზე გასასვლელი არ გააჩნიათ და რომლებსაც არაუმეტეს 45 000 ტონა წყალრწყვა აქვთ, შავი ზღვის აუზში ყოფნა, მხოლოდ, 21 დღის განმავლობაში შეუძლიათ. მონტროს კონვენციით ნატო-ს და აშშ-ის ქმედებები შავ ზღვაზე შეზღუდულია. ამას კი კრემლი დასავლეთზე წნეხისა და კრიტიკისთვის იყენებს. (იხ. დანართი 1)

თურქეთის თავდაცვის პოლიტიკა

თავდაცვის საკითხებისადმი თურქეთის ინტერესი საკამოდ მაღალია. SIPRI-ს კვლევითი დოკუმენტის ავტორები აღნიშნავენ, რომ თურქეთის თავდაცვის პოლიტიკა, ძირითადად, ჩამოყალიბებულია „დახურულ კარს“ მიღმა პრეზიდენტის, ზოგიერთი მინისტრის, სამხედრო და სადაზვერვო სამსახურების მიერ. თურქეთის თავდაცვითი თეთრი წიგნი გამოიცა ჯერ კიდევ 2000 წელს²⁶. ვეზემანი და კუიმოვა წერენ, რომ ეს დოკუმენტი, მსგავსად სხვა იმდროინდელი ევროპის ქვეყნების პოლიტიკური დოკუმენტებისა, ხაზს უსვამდა თურქეთის ნატო-სთან თანამშრომლობას, ევროკავშირთან, ეუთოსთან ურთიერთობას და სხვა ჩარჩო თანამშრომლობას მშვიდობისა და ეკონომიკური თანამშრომლობისთვის, რომელიც ევროპაში უსაფრთხოების საფუძველს ქმნიდა. თურქეთის მიერ გატარებული ღონისძიებები ემსახურება შავი ზღვის რეგიონის მშვიდობის, სტაბილურობისა და კეთილდღეობის მქონე რეგიონად გარდაქმნას. ეს დოკუმენტი უფრო მეტად პოზიტიური შინაარსისაა და რუსეთს ან სხვა შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებს არ მოიხსენიებს პოტენციურ საფრთხედ ან პრობლემად. მკვლევარები აღნიშნავენ, რომ 2000 წლის შემდეგ თურქეთის თავდაცვის პოლიტიკა უნდა შეფასდეს თურქეთის პოლიტიკური

²⁶ Turkey: Defense White Paper 2000. Turkish Ministry of National Defense. 2000 - https://www.files.ethz.ch/isn/154907/Turkey_2000eng.pdf

და სამხედრო ლიდერების შეფასებების საფუძველზე. განსაკუთრებით თურქეთის პრეზიდენტის და ასევე თურქეთის შეიარაღებული ძალების მოქმედებების მიხედვით. ყოველივე ეს, ბოლო წლებში კარგად აჩვენებს, თუ როგორ გაუარესდა თურქეთის ურთიერთობები ნატო-ს პარტნიორებთან, განსაკუთრებით შეერთებულ შტატებთან და ეს მაშინ, როდესაც რუსეთთან თურქეთის ურთიერთობები მეგობრულიდან ჯერ ლამის ომში გადაიზარდა და შემდეგ კვლავ მეგობრულ ურთიერთობებს დაუბრუნდა. ამავე დროს, თურქეთი კვლავ ცდილობს შეინარჩუნოს კარგი ურთიერთობა უკრაინასთან, რასაც აფიქსირებს უკრაინის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის (ყირიმის ჩათვლით) მხარდაჭერის გამოცხადებით. თურქეთს, შეერთებულ შტატებსა და სხვა მოკავშირეებს შორის არ არსებობს სრული თანხმობა ერაყსა და სირიაში მემარჯობე ძალების მხარდაჭერაზე, რადგან აშშ და ნატო-ს სხვა წევრი სახელმწიფოები დაეხმარნენ ქურთების დაჯგუფებებს ერაყსა და სირიაში ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლაში. თავის მხრივ, ამერიკის და ნატო-ს მოკავშირე ქვეყნები თურქეთს აკრიტიკებდნენ იმ გადაწყვეტილებისთვის, რომელიც უკავშირდებოდა რუსეთისგან საზენიტო-სარაკეტო სისტემების (S-400) შეძენას და არა შეერთებული შტატებისგან ან ნატო-ს წევრი ევროპული ქვეყნებისგან. 2018 წელს აშშ-მ კვლავ დააყენა თურქეთისთვის სანქციების დაწესების საკითხი, რუსეთთან მსგავსი შეთანხმების გაგრძელების შემთხვევაში, თუმცა თურქეთის ოფიციალურმა პირებმა ამ გამოწვევას უპასუხეს იმით, რომ თურქეთის მიმართ გამოყენებული ნებისმიერი სანქცია უპასუხოდ არ დარჩებოდა. საბოლოოდ, ნატო-მ აღიარა, რომ ასეთი შეთანხმება და გარიგება თურქეთის ეროვნული გადაწყვეტილებაა და თავი უნდა შეეკავებინათ რაიმე სახის სანქციებისგან იმ ღვაწლის გათვალისწინებით, რაც თურქეთს მიუძღოდა ნატო-ს ოპერაციებში შუა აღმოსავლეთში (Wezeman & Kuimova, 2018).

2016 წლისათვის, როდესაც თურქეთის საზოგადოებრივი კვლევის შედეგად გამოკითხულთა 34.9% რუსეთს თურქეთისათვის ძირითად საფრთხედ მოიხსენიებდა, უკვე აშკარად ჩანდა თურქეთის პოზიცია შავი ზღვის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით (Gurcan, 2017). SIPRI-ს დოკუმენტის თანახმად, ერდოღანი 2016 წლის მაისში უკვე წუხდა იმასთან დაკავშირებით, რომ შავი ზღვის რეგიონი ნატო-ს ძალების ნაკლებობას განიცდიდა

და რომ ის თითქმის „რუსეთის ტბად“ გადაიქცა. შესაბამისად, თუ დასავლეთი არ მიიღებდა დროულ გადაწყვეტილებას, ისტორია ამას მათ არ აპატიებდა. ერდოლანი მხარს უჭერდა რუმინეთის ინიციატივას შავ ზღვაში შეექმნათ ერთობლივი ბულგარულ-რუმინულ-თურქული ფლოტი, მაგრამ ეს გეგმა არ განხორციელდა მაშინ, როდესაც 2017 წლის დასაწყისში, ბულგარეთმა ამ ინიციატივაზე უარი განაცხადა. 2016 წლის თურქეთში მომხდარი გადატრიალების მცდელობის შემდეგ, აშშ-მ გადატრიალების ჩახშობის მეთოდების და შემდეგ საყოველთაო რეპრესიების გატარება მიიჩნია თურქეთისათვის ნატო-ს წევრობის საკითხის გადახედვის საფუძვლად, ხოლო ევროკავშირმა - როგორც თურქეთის ევროკავშირის წევრად მიღების მთავარ დამაბრკოლებელ ფაქტორად. გარდა ამისა, თურქეთის შეხედულებებმა, თუ როგორ უნდა მოგვარდეს კონფლიქტი სირიასა და ისლამურ სახელმწიფოს შორის, მკვეთრად დააშორა ის ნატო-სა და მის მოკავშირეებს. სანაცვლოდ, თურქეთი დაინტერესდა უფრო მეტად რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესების საკითხის მოგვარებით. 2017 წელს თურქეთმა, ირანმა და რუსეთმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას სირიაში კონფლიქტის დეესკალაციის შესახებ, სადაც ეს სამი სახელმწიფო ცეცხლის შეწყვეტის გარანტორის ფუნქციას ითავსებდა. მოგვიანებით, სექტემბერში, ნატო-ს პროტესტის მიუხედავად, თურქეთმა რუსეთისგან შეიძინა S-400 საჰაერო თავდაცვის სისტემა, ხოლო 2017 წლის ოქტომბერში ერდოლანი პუტინს უკვე ღირებულ მეგობრად მოიხსენიებდა. მიუხედავად იმისა, რომ უთანხმოება ნატო-ს მოკავშირეებთან საკმაოდ გაზრდილია, თურქეთი კვლავ აგრძელებს ნატო-ს წვრთნებში მონაწილეობის მიღებას შავი ზღვის რეგიონში. თავის მხრივ, ნატო ასევე ისწრაფვის თურქეთთან გაფუჭებული ურთიერთობების გამოსწორებისკენ. მკვლევარები წერენ, რომ დღესდღეობით თურქეთის თავდაცვის პოლიტიკა დიდწილად მიმართულია სამხრეთისკენ და შუა აღმოსავლეთისკენ, ხოლო რუსეთი, ნატო და შავი ზღვის რეგიონი მისთვის მეორეხარისხოვანი რჩება. ვიანიდან თურქეთის პოლიტიკა მისი მეზობელი სახელმწიფოების მიმართ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში სწრაფად შეიცვალა და შესაძლებელია კვლავ შეიცვალოს მომავალშიც, როგორც ეს მოხდა თურქეთის რუსეთთან ურთიერთობის დათბობის კუთხით (Wezeman & Kuimova, 2018).

2.6. რუმინეთი

გეოგრაფიულად რუმინეთი მდებარეობს სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში და მას ესაზღვრება აღმოსავლეთით უკრაინა და მოლდოვა, სამხრეთით - ბულგარეთი, ხოლო უნგრეთი და სერბეთი - დასავლეთით. აღმოსავლეთით მას აქვს 256 კმ-იანი შავი ზღვის სანაპირო ზოლი. როგორც მკვლევარები წერენ, ცივი ომის დასრულების შემდეგ, რუმინეთს ზოგადად კარგი ურთიერთობა ჰქონდა მეზობელ სახელმწიფოებთან. რუმინეთი 2004 წელს ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის წევრი გახდა, ხოლო 2007 წელს - ევროკავშირის. იგი არის ნატო-ს აქტიური წევრი, შესაბამისად, მხარს უჭერს შავი ზღვის რეგიონში ნატო-სა და ნატო-ს არაწევრ სახელმწიფოებს შორის მჭიდრო ურთიერთობის ჩამოყალიბებას. რუმინეთს მონაწილეობა აქვს მიღებული ნატო-ს უამრავ სამხედრო წვრთნასა და სამხედრო ოპერაციაში, ხოლო 2005 წლიდან ამერიკის შეერთებულ შტატებთან უთმობს თავის სამხედრო ბაზებს. აღსანიშნავია, რომ 1997 წლის დასაწყისში რუმინეთმა აშშ-სთან ხელი მოაწერა სტრატეგიულ პარტნიორობას, ხოლო 2009 წელს რუმინეთი ამერიკის მიერ შეფასდა, როგორც ყველაზე სანდრო და საპატიო პარტნიორი. ბოლო წლებში რუმინეთისა და ამერიკის თავდაცვითი ხასიათის ურთიერთობები კიდევ უფრო მჭიდრო გახდა. 2014 წლის ყირიმის მოვლენების შემდეგ, ასევე რუსეთის სირიაში ინტერვენციის გამო, კიდევ უფრო გაიზარდა რუმინეთის ინტერესი შავი ზღვის რეგიონში და მის გარშემო უსაფრთხოების საკითხისადმი. SIPRI-ს დოკუმენტში აღნიშნულია, რომ რუმინეთმა 2014 წლიდან გაზარდა სამხედრო ხარჯები და დაიწყო სამხედრო ძალების მოდერნიზაციაზე ზრუნვა. ის დღემდე აქტიურად მონაწილეობს ნატო-ს სამხედრო წვრთნებში. ვეზემანი და კუიმოვა წერენ, რომ შავი ზღვა რუმინეთის მთავარ სავაჭრო გზას წარმოადგენს, ხოლო რუმინეთის ექსკლუზიური ეკონომიკური ზონა, სავარაუდოდ, შეიცავს შეზღუდულ, მაგრამ არა უმნიშვნელო რაოდენობის ნავთობსა და გაზს. აღსანიშნავია, რომ რუმინეთის ექსკლუზიური ეკონომიკური ზონიდან 2019 წელს დაწყებული გაზის წარმოება წარმოადგენს პირველი გაზის წარმოების შემთხვევას შავი ზღვის რეგიონში (Wezeman & Kuimova, 2018).

რუმინეთის თავდაცვის პოლიტიკა

„სტოკჰოლმის მშვიდობის კვლევის ინსტიტუტის“ კვლევის მიხედვით, როდესაც რუმინეთი ნატო-ში გაწევრიანდა, ალიანსის სხვა წევრი ქვეყნებისგან განსხვავებული სამხედრო აღჭურვილობა ჰქონდა. რადგან ის, ძირითადად, ემყარებოდა დიდი ოდენობით მოძველებულ სარეზერვო სამხედრო სისტემასა და 1991 წლამდე დათარიღებულ მოძველებულ ტექნიკას. ანალიტიკოსები წერენ, რომ შეიარაღებული ძალების ტრანსფორმაცია და რუმინეთის ნატო-სა და ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესი 2004 წლიდან მიმდინარეობს. 2013 წელს რუმინეთის მიზანი იყო 2015 წლისათვის ოპერაციული ინტეგრაციის, ხოლო 2025 წლისათვის ტექნიკური ინტეგრაციის მიღწევა. აღსანიშნავია, რომ რუმინეთის ნახევრად საპრეზიდენტო მმართველობით სისტემაში პრეზიდენტს მნიშვნელოვანი გავლენა აქვს თავდაცვის პოლიტიკის შემუშავებაში. პრეზიდენტი შეიარაღებული ძალების უმაღლესი მეთაურია ომის დროს, და ეროვნული თავდაცვის უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელი, რომელიც ორგანიზებას უწევს თავდაცვასა და უსაფრთხოებას. 2015 წლის ივნისში პრეზიდენტმა კლაუს იოჰანისმა 2015-2019 წლების ეროვნული უსაფრთხოების გეგმა წარადგინა²⁷. დოკუმენტში, რომლის სათაურია „ძლიერი რუმინეთი, ევროპასა და მსოფლიოში“, აღნიშნულია, რომ რუმინეთის მიზანია, კვლავ წარმოადგენდეს ისეთი სამხედრო სტატუსის ძალას, როგორც ეს იყო ცივი ომის დროს. რუმინეთი იმ პერიოდში იყო „ვარშავის ხელშეკრულების“ წევრი სახელმწიფო, საკმაოდ ძლიერი სამხედრო ინფრასტრუქტურით. ეს ახალი სტრატეგია ხაზს უსვამს რუმინეთის სტრატეგიულ პარტნიორობას შეერთებულ შტატებთან და განამტკიცებს რუმინეთის ნატო-სა და ევროკავშირის ფარგლებში რეგიონალურ თანამშრომლობას სამხრეთ აღმოსავლეთ ევროპაში. დოკუმენტი აღწერს ნატო-სა და რუსეთს შორის ურთიერთობების გაუარესების საკითხს, რეგიონში აქტიურ კონფლიქტებს და ტერორიზმს, როგორც ცვლილებების ნიმუშს უსაფრთხოების გარემოში. იგი შავ ზღვას მოიაზრებს როგორც რეგიონს, სადაც რუმინეთს

²⁷ National Defence Strategy 2015-2019. Romania The Presidential Administration - https://www.presidency.ro/files/userfiles/National_Defense_Strategy_2015_-_2019.pdf

სტრატეგიული და ეკონომიკური მნიშვნელობის ინტერესები გააჩნია. ამ დოკუმენტით შემოთავაზებულია ახალი, ისეთი მოქმედებების განხორციელების გეგმა, რომელიც ცდილობს გაუმკლავდეს ახალ და გაზრდილ უსაფრთხოების გამოწვევებს. კერძოდ:

- 2017 წლისათვის გაზარდოს სამხედრო ხარჯები მთლიანი შიდა პროდუქტის მინიმუმ 2 % მდე, რომელიც 2016 წელს 1.4% იყო, რათა მოახდინოს სამხედრო ძლების მოდერნიზაცია;
- უფრო მეტად დაუკავშირდეს ნატო-სა და ამერიკას;
- ასევე განავითაროს რუმინეთის სამხედრო უსაფრთხოების ინდუსტრია ნატო-სა და ევროკავშირის წევრებთან თანამშრომლობის გზით, რათა უზრუნველყოს თავისი სამხედრო შეიარაღების შესაბამისი აღჭურვილობით უზრუნველყოფა;

ვეზემანი და კუიმოვა აღნიშნავენ, რომ მთავრობამ, რომელმაც 2016 წლის არჩევნების შემდეგ დაიკავა თანამდებობა, იგივე თავდაცვის პოლიტიკის გატარება გააგრძელა. აღნიშნული ეროვნული თავდაცვის სტრატეგიას შემდგომში მოჰყვა თავდაცვისა და უსაფრთხოების კონკრეტულ სექტორების შესახებ პოლიტიკური დოკუმენტები, მათ შორის, 2015 წლის თავდაცვის თეთრი წიგნი²⁸, რომელიც რუმინეთის პარლამენტმა 2016 წლის აპრილში დაამტკიცა და რასაც მოჰყვა 2016 წლის სამხედრო სტრატეგიის²⁹ შემუშავება. 2017 წლის სექტემბერში ახალმა მთავრობამ გამოაქვეყნა 2015 წლის თეთრი წიგნის განახლებული ვერსია და დაამტკიცა იგი 2015-2019 წლების პერიოდისთვის. აღნიშნული სამხედრო სტრატეგია და თეთრი წიგნის განახლებული ვერსია უფრო მეტ დეტალურ ინფორმაციას შეიცავს, როგორ გაუმკლავდეს რუმინეთი და მისი სამხედრო შეიარაღება არსებულ პრობლემებს უახლოეს წლებში. 2017 წელს რუმინეთის თავდაცვის მინისტრმა გაბრიელ ბენიამინ ლეისმა ხმამაღლა ისაუბრა და აღწერა ის გაზრდილი რისკები და გამოწვევები, რომელიც გამოწვეულია შავი ზღვის რეგიონში რუსეთის აგრესიული ქმედებებით. მინისტრმა ასევე ისაუბრა რუსეთის მიერ შავი ზღვის მილიტარიზაციაზე. მისი მემკვიდრე

²⁸ White Paper on Defence 2015. The Romanian Armed Forces - https://www.eda.europa.eu/docs/default-source/Defence-Procurement-Gateway/ro_white-paper-on-defence.pdf

²⁹ Military Strategy of Romania. The Ministry of National Defence - https://www.eda.europa.eu/docs/default-source/Defence-Procurement-Gateway/ro_milstrategy.pdf

მიჰაი ფიფორი კიდევ უფრო შორს წავიდა, როდესაც 2018 წლის იანვარში განაცხადა, რომ შავი ზღვის რეგიონში რუსეთის განსაკუთრებულად აგრესიული ქმედებები რუმინეთის საზღვაო შესაძლებლობების გაძლიერების მიზეზს წარმოადგენს (Wezeman & Kuimova, Romania and Black Sea Security, 2018).

2.7. ბულგარეთი

ბულგარეთი მდებარეობს სამხრეთ აღმოსავლეთ ევროპაში. სამხრეთით მას ესაზღვრება საბერძნეთი და თურქეთი, დასავლეთით - სერბეთი და ჩრდილოეთ მაკედონია. ხოლო ჩრდილოეთით - რუმინეთი. ბულგარეთს აღმოსავლეთით 414 კილომეტრიანი შავი ზღვის სანაპირო ზოლი გასდევს. ბულგარეთი წარმოადგენდა „ვარშავის ხელშეკრულების“ ორგანიზაციის ყოფილ წევრს და საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ უახლოეს მოკავშირეს. ვეზემანი და კუიმოვა აღნიშნავენ, რომ ცივი ომის პერიოდის დასრულების შემდეგ, ბულგარეთის ურთიერთობები მეზობლებთან ზოგადად პოზიტიური იყო: ბულგარეთი 2004 წელს გახდა ჩრდილო-ატლანტიკური ორგანიზაციის წევრი, ხოლო ევროკავშირის წევრი - 2007 წელს. მიუხედავად ამისა, იგი ისტორიულად ყოველთვის კარგ ურთიერთობას ინარჩუნებდა და ახლაც ინარჩუნებს რუსეთთან. პარალელურად, როგორც ნატო-ს წევრი სახელმწიფო, იგი მხარს უჭერს ალიანსის ინიციატივებს და მოქმედებებს რეგიონში, რომელსაც ბულგარეთი რეგიონის უსაფრთხოებისათვის გარდამტეხი მნიშვნელობის მქონედ მიიჩნევს. ბულგარეთმა ასევე დაიწყო სამხედრო ხარჯების გაზრდა, საკუთარი სამხედრო ძალების აღჭურვილობის მოდერნიზაციისათვის, თუმცა საკმაოდ ნელი ტემპით. ამასთან 2014 წლის მოვლენების მიუხედავად, მას სურს კვლავ შეინარჩუნოს კეთილმეზობლური, ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობები რუსეთთან (Wezeman & Kuimova, 2018).

ბულგარეთის თავდაცვის პოლიტიკა

SIPRI-ს კვლევითი დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ ნატო-სა და ევროკავშირში გაწევრიანების შემდეგ, ბულგარეთმა გადახედა სახელმწიფო თავდაცვის სტრატეგიას. შედეგად, ბულგარეთმა შეიმუშავა შეიარაღებული ძალების განვითარების გეგმა³⁰, რომელიც 2008 წელს გამოქვეყნდა და ევროკავშირსა და ნატო-ს სტანდარტებზე მორგებული თავდაცვის ახალი პოლიტიკა შეიმუშავა, რომელიც 2009 წელს მიიღო. 2010 წელს ბულგარეთმა გამოაქვეყნა თავდაცვის თეთრი წიგნი³¹, რომელსაც 2011 წელს მოჰყვა ეროვნული ასამბლეის მიერ შემუშავებული ათ წლიანი ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია³². ეს დოკუმენტი გაცილებით ფართო მნიშვნელობის დოკუმენტია და შეიცავს განახლებულ სამხედრო დოქტრინას და სამხედრო სტრატეგიას. იგი ხაზს უსვამს საომარი რისკების შემცირებას და ვერ ხედავს ბულგარეთის მეზობელ სახელმწიფოებს, პირდაპირი სამხედრო საფრთხის შემცველად, თუმცა საუბრობს სხვადასხვა რეგიონებიდან მომავალი გაზრდილი საფრთხეების შესახებ. აღსანიშნავია, რომ 2011 წლის აპრილში ბულგარეთის მინისტრთა საბჭომ დამოუკიდებელი ეროვნული თავდაცვის სტრატეგია შეიმუშავა. 2014 წელს რუსეთის მიერ ყირიმის აღების შემდეგ, მალევე და ნატო-ს სამიტამდე რამდენიმე დღით ადრე, ბულგარეთის მთავრობამ შეიმუშავა „არაოფიციალური“ დოკუმენტი, რომელსაც 2015 წლის ოქტომბერში მოჰყვა ოფიციალური და უფრო დეტალური თავდაცვის პროგრამის შემუშავება, რომელიც ასახავდა გეგმებს 2020 წლამდე. დოკუმენტი, სახელწოდებით "ხედვა: ბულგარეთი ნატო-ში და ევროპულ თავდაცვა 2020"³³ აღიარებს ბულგარეთის სამეზობლოში ვითარების გაუარესებას უსაფრთხოების კუთხით, თუმცა პირდაპირ საფრთხეებს მისი და ნატო-ს მისამართით ვერ ხედავს (Wezeman & Kuimova).

³⁰ Law on Defence and Armed Forces of the Republic of Bulgaria. 12.05.2009 -

https://www.mod.bg/en/doc/zakoni/20100226_ZOVSRB.pdf

³¹ White Paper on Defence and Armed Forces of the Republic of Bulgaria -

https://www.mod.bg/en/doc/misc/20101130_WP_EN.pdf

³² National Security Strategy of the Republic of Bulgaria -

https://www.me.government.bg/files/useruploads/files/national_strategy1.pdf

³³ "Vision: Bulgaria in NATO and in European Defence 2020". 2.09.2014 -

<file:///C:/Users/ADMIN/Downloads/Bulgaria%20in%20NATO%20and%20in%20European%20Defence%202020.pdf>

ბულგარეთი ნატო-ს აქტიური წევრია და მონაწილეობს ალიანსის შეიარაღებულ წვრთნებში. ასევე, 2006 წლის შეთანხმების საფუძველზე, უთმობს სამხედრო ბაზებს ამერიკის შეერთებულ შტატებს. ბულგარეთში ასევე გახსნილია მთავარი სასწავლო სივრცე ნატო-ს წევრი სახელმწიფოების ჯარების გადასამზადებლად. ბულგარეთს მივლენილი ჰყავს თავისი ჯარები ნატო-ს სხვადასხვა მისიებში. ბულგარეთს სურს გაზარდოს ნატო-ს წარმომადგენლობა შავი ზღვის რეგიონში და ამის მხარდასაჭერად ბოლო წლების განმავლობაში უფრო მეტი და მეტი სამხედრო სწავლება ტარდება. SIPRI-ს დოკუმენტში მკვლევარები ბულგარეთის სამხედრო სტრატეგიასაც მიმოიხილავენ და წერენ, რომ 2016 წელს ნატო-მ ჩამოაყალიბა ბულგარულ-რუმინული მულტიეროვნული რაზმი. ამასთან, უკრაინამ მხარეებს შესთავაზა, რომ შეექმნათ უკრაინულ-რუმინულ-ბულგარული რაზმი, თუმცა ამ ინიციატივამ ნატო-სგან და ბულგარეთისგან მხარდაჭერა ვერ მიიღო. 2017 წელს ბულგარეთმა ასევე უარი თქვა რუმინეთის ინიციატივაზე, რომ შექმნილიყო რუმინულ-ბულგარულ-თურქული ფლოტი შავი ზღვის რეგიონში. აღნიშნულის მიზეზს წარმოადგენდა რეგიონის გაზრდილი გასამხედროების შიში, რასაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოეხდინა ბულგარეთის ეკონომიკაზე, ხოლო რეგიონის სანაპიროზე გაზრდილ სამხედრო-საზღვაო ხომალდების მომრავლებას ასევე ნეგატიური გავლენა მოეხდინა ტურიზმის ინდუსტრიის მნიშვნელობაზე. ვეზემანი და კუიმოვა აღნიშნავენ, რომ ბულგარეთს უსაფრთხოების პოლიტიკა ნათლად ჩამოყალიბებული ყოველთვის არ ჰქონია. 2012-2017 წლებში, პრეზიდენტი როსენ პლეველინელიევი უაღრესად კრიტიკულად იყო განწყობილი რუსეთის ქმედებებისადმი. იგი რუსეთის ქმედებებს ევროკავშირისადმი პირდაპირ საფრთხეებად განიხილავდა და მხარს უჭერდა ნატო-ს როლის გაძლიერებას შავი ზღვის რეგიონში. ხოლო მისი მემკვიდრე რუმენ რადევი, რომელიც საჰაერო ძალების ყოფილი მეთაური იყო, ცდილობდა შეენარჩუნებინა ახლო ურთიერთობა რუსეთთან, მაშინ როდესაც ასევე კარგი ურთიერთობის დამყარებას ცდილობდა ევროპულ და ნატო-ელ პარტნიორებთან. აღსანიშნავია, რომ მან გააკეთა განცხადება, რომლითაც ის ნაწილობრივ მხარს უჭერდა ყირიმის ოკუპაციას. ამასთან, იგი მხარს უჭერს ბულგარეთის სამხედრო ხარჯების გაზრდას სამხედრო აღჭურვილობის მოდერნიზაციისათვის და ნატო-ს

სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. 2017 წელს მან ხაზი გაუსვა ძლიერი საზღვაო ძალების არსებობის აუცილებლობას, რომელიც დაიცავს ბულგარეთის სუვერენიტეტს, ეკონომიკურ და ენერგეტიკულ ინტერესებს (Wezeman & Kuimova, Bulgaria and Black Sea Security, 2018).

მესამე თავი: საქართველოს ეროვნული ინტერესები და მათი რეალიზაციის სტრატეგია შავი ზღვის რეგიონში

გეოგრაფიულად საქართველო მდებარეობს კავკასიის რეგიონში, რომელსაც სამხრეთით ესაზღვრება სომხეთი და თურქეთი, სამხრეთ-აღმოსავლეთით აზერბაიჯან, ხოლო ჩრდილოეთით - რუსეთი. საქართველოს დასავლეთით შავი ზღვის 132 კილომეტრიანი სანაპირო გასდევს. საქართველოს ტერიტორიები ოკუპირებულია რუსეთის მიერ და შესაბამისად, საზღვაო და სასაზღვრო პრეტენზიები კვლავ გართულებულია აფხაზეთის ოკუპირებული რეგიონის სტატუსის გამო. ასევე, საქართველოს საზღვრები ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე შეთანხმებული ყველა მეზობელ სახელმწიფოსთან. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული ე.წ. რესპუბლიკები დე იურე წარმოადგენენ საქართველოს ავტონომიურ რეგიონებს. 1990 წლიდან რუსეთსა და საქართველოს შორის გამწვავებული კონფლიქტის შემდეგ, ორივე ავტონომიამ არაღიარებული დამოუკიდებლობა გამოაცხადა და დღესდღეობით ისინი თვითაღიარებულ „დამოუკიდებელ სახელმწიფოებს“ წარმოადგენენ დე ფაქტო მთავრობებით, სასამართლო სისტემებით, შეიარაღებული ძალებითა და სხვა სახელმწიფოებრივი ინსტიტუტებით, რომლებსაც დე იურე არ ცნობს მსოფლიოს არცერთი სახელმწიფო, რუსეთის, ნიკარაგუას, ვენესუელას, ნაურუს და სირიის გარდა. 2008 წლიდან მათი ე.წ. დამოუკიდებლობა აღიარა რუსეთმა და რამდენიმე სახელმწიფომ, თუმცა მათ დე-იურე სტატუსი კვლავ არ გააჩნიათ, რადგან საქართველო დღემდე არ აღიარებს მათ დამოუკიდებლობას, ისევე როგორც, გაეროს წევრი და არაწევრი სახელმწიფოების უდიდესი ნაწილი. საქართველოსა და მის ყოფილ ავტონომიურ და ამჟამად ოკუპირებულ რეგიონებს შორის ურთიერთობა ყველაზე მეტად

გართულდა 2008 წელს რუსეთ-საქართველოს ომის პერიოდში ცხინვალის რეგიონის ტერიტორიაზე. რუსეთი კვლავ აღიქმება საფრთხის შემცველ სახელმწიფოდ საქართველოსთვის, თავისი წარსულითა და სამომავლო პოტენციური საფრთხეებით. მას შემდეგ, რაც რუსეთმა საქართველოს ამ ორი ყოფილი ავტონომიის ოკუპაცია მოახდინა და მათი ე.წ. დამოუკიდებლობა აღიარა, იქ თავისი ჯარები განათავსა. 2018 წლისათვის ამ ორივე რეგიონის შეიარაღებული ძალები დიდწილად ინტეგრირდა რუსეთის სამხედრო ძალებში. როგორც „სტოკჰოლმის საერთაშორისო მშვიდობის კვლევის ინსტიტუტის“ მკვლევარები წერენ, აღსანიშნავია, რომ 2003 წლიდან საქართველომ პრიორიტეტად დასახა გაეზარდა კავშირები ევროპელ პარტნიორებთან, ისევე როგორც, აშშ-სთან. ჩრდილოატლანტიკურ ორგანიზაციაში გასაწევრიანებლად საქართველო აქტიურად მუშაობს ნატო-ს სტანდარტებთან მიახლოების გასაუმჯობესებლად, რის გამოც თავდაცვის სისტემის რეფორმაც კი გაატარა ქვეყანაში (Kuimova & Wezeman, 2018). შავი ზღვის რეგიონის წევრობა საქართველოსთვის დიდი შესაძლებლობა და ხელსაყრელი ფორმატია, ევროატლანტიკური მისწრაფებების განსახორციელებლად. ამასთან, შავი ზღვის რეგიონში არსებულ უსაფრთხოების გარემოს დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს სავაჭრო, ეკონომიკური და სატრანზიტო პოლიტიკისთვის. შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების საკითხის მიმართ ნატო-სა და აშშ-ის ინტერესის ზრდამ მნიშვნელოვნად გაზარდა საქართველოს როლი შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების საკითხებში.

საქართველოს თავდაცვის პოლიტიკა

2008 წლის აგვისტოში, ცხინვალის რეგიონში მომხდარმა რუსეთ-საქართველოს შორის შეიარაღებულმა დაპირისპირებამ რადიკალურად შეცვალა შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოება და იგი დააყენა ახალი გამოწვევების წინაშე. მკვლევარები აღნიშნავენ, რომ ამ კონფლიქტმა თავის მხრივ გამოიწვია საქართველოს თავდაცვის პოლიტიკის გადახედვა, მათ შორის იმ დებულების, რომელიც არეგულირებს შეიარაღებული ძალების მოქმედებებს. შესაბამისად, თავდაცვის სისტემის მოდერნიზაცია აუცილებელი გახდა. SIPRI-ს კვლევაში განიხილეს საქართველოს სახელმწიფო დოკუმენტები. ვეზემანი და კუიმოვა აღნიშნავენ,

რომ 2011 წლის დეკემბერში საქართველოს პარლამენტმა ახალი ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია დაამტკიცა³⁴, რომელიც განსაზღვრავს ეროვნულ ფასეულობებსა და ღირებულებებს. დოკუმენტი შედგენილია 2008 წლის რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომის გამოცდილებაზე დაყრდნობით. რუსეთის აგრესიული საგარეო პოლიტიკა საქართველოს წინააღმდეგ, საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია, კიბერშეტევები, რომლებიც განხორციელდა აგვისტოს ომის დროს რუსეთის მხრიდან საქართველოს მიმართ, კავკასიაში მიმდინარე კონფლიქტები და საერთაშორისო ტერორიზმი წარმოადგენენ ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან რისკ-ფაქტორს საქართველოს ეროვნული უსაფრთხოებისთვის. ახალ კონცეფციაში ასევე აღნიშნულია, რუსეთთან კარგი მეზობლური ურთიერთობის დამყარების შესაძლებლობაც, თუმცა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემის გათვალისწინებით. დოკუმენტი ასევე ითვალისწინებს რუსეთის შეიარაღებული ძალების საქართველოს ტერიტორიებიდან გაყვანას. ეს კონცეფცია ასევე ხაზს უსვამს საქართველოს სტრატეგიულ პარტნიორებთან: აშშ-თან, უკრაინასთან, თურქეთთან და აზერბაიჯანთან სამომავლო ურთიერთობების განვითარებას. 2014 წელს საქართველოს მთავრობამ ახალი ეროვნული სამხედრო სტრატეგია³⁵ დაამტკიცა, რომელიც ემყარება 2011 წლის ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციას, ისევე როგორც, 2013 წლის საფრთხეების შეფასების დოკუმენტს. ამ დოკუმენტში, სხვა სტრატეგიულ დოკუმენტებთან ერთად აღნიშნულია, რომ რუსეთმა საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია განახორციელა, რითაც რეგიონში არასტაბილურობა შემოიტანა. აღსანიშნავია, რომ 2017-2020 წლების სტრატეგიული თავდაცვის მიმოხილვის დოკუმენტმა ოფიციალურად ცნო რუსეთის მიერ „რბილი ძალის“ გამოყენება, როგორც საქართველოს უსაფრთხოებისათვის მთავარი გამოწვევა. ეს გახლდათ საქართველოს მიერ 2017 წელს გამოცემული მეორე დოკუმენტი, რომელშიც საუბარია რუსეთის „რბილი ძალის“ გავლენაზე. საქართველოს თავდაცვისა და საგარეო პოლიტიკის მთავარ პრიორიტეტად კვლავ რჩება ნატო-სა და

³⁴ საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო - <https://mod.gov.ge/uploads/2018/pdf/NSC-GEO.pdf>

³⁵ საქართველოს ეროვნული სამხედრო სტრატეგია. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო - <https://mod.gov.ge/uploads/2018/pdf/NMS-GEO.pdf>

ევროკავშირში ინტეგრაცია. ყველა სტრატეგიული მნიშვნელობის დოკუმენტი ხაზს უსვამს ასეთი ინტეგრაციის მნიშვნელობას შავი ზღვისა და კავკასიის რეგიონში სტაბილურობის და მშვიდობის უზრუნველსაყოფად. 2008 წლის აპრილში, ნატო-ს სამიტზე, ბუქარესტში, ნატო-ს წევრი სახელმწიფოები შეთანხმდნენ, რომ საქართველო აუცილებლად გახდებოდა ნატო-ს წევრი ქვეყანა, თუ ყველა აუცილებელ მოთხოვნას დააკმაყოფილებდა. 2008 წლის სექტემბერში, რუსეთ-საქართველოს ომის დასრულებიდან ცოტა ხნის შემდეგ, ნატო-მ და საქართველომ ჩამოაყალიბეს ნატო-საქართველოს კომისია³⁶. ეს კომისია, პოლიტიკური კონსულტაციებისა და პრაქტიკული თანამშრომლობის კუთხით, ეხმარება საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების პროცესის მომზადებაში. მთავარი ნაბიჯი ნატო-საქართველოს თანამშრომლობის გაზრდისკენ გადაიდგა 2014 წელს, როდესაც ნატო-ს სამიტზე მიღებული იქნა გადაწყვეტილება ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის³⁷ მიღების შესახებ, რომელიც მოიცავს რიგ ღონისძიებებს, რომელიც მიმართული იყო საქართველოს თავდაცვის უნარიანობის გაუმჯობესებისკენ, მათ შორის, სტრატეგიული და ოპერაციული დაგეგმარების, ავიაციის, საჰაერო თავდაცვის და საზღვაო უსაფრთხოების განვითარებისკენ. მომდევნო წელს, 2015 წლის აგვისტოში, ნატო-საქართველოს წვრთნებისა და შეფასების ერთობლივი ცენტრი (JTEC)³⁸ გაიხსნა, რომელსაც ერთობლივად ხელმძღვანელობენ ქართველი და ალიანსის წევრი ქვეყნების ოფიცრები. ცენტრის მიზანია, გააძლიეროს საქართველოს თავდაცვის უნარიანობა და გააუმჯობესოს საქართველოსა და მოკავშირე ძალების თავსებადობა, რაც პარტნიორებს ერთობლივად ეფექტური მუშაობის შესაძლებლობას აძლევს. 2016 წლის ივლისში, ნატო-ს სამიტზე, ვარშავაში, ნატო-ს წევრმა სახელმწიფოებმა საქართველოსთან ახალი თანამშრომლობის გეგმა შეიმუშავეს³⁹. ნატო-ს წევრი სახელმწიფოების ერთ-ერთ ვალდებულებას წარმოადგენდა დახმარებოდნენ

³⁶ NATO-Georgia Commission. NATO. 04.12.2012 - https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_52131.htm

³⁷ Substantial NATO-Georgia Package (SNGP). NATO - <http://acge.ge/wp-content/uploads/2014/12/Factsheet-SNGP-GEO.pdf>

³⁸ NATO-Georgian Joint Training and Evaluation Center (JTEC). NATO. 27.08.2015 - https://www.nato.int/nato_static_fl2014/assets/pdf/pdf_topics/20150827_150827-jtec-georgia.pdf

³⁹ Joint statement of the NATO-Georgia Commission at the level of Foreign Ministers. 08.07.2016 - https://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_133175.htm

საქართველოს საჰაერო თავდაცვის საკითხებში და სამხედრო წვრთნების განხორციელებაში. მათ ასევე განიხილეს ის ღონისძიებები, რომლებიც ალიანსს დაეხმარებოდა შავი ზღვის რეგიონში, საქართველოს მონაწილეობით, ნატო-ს როლის გაძლიერებაში. 2017 წლის მაისში, თბილისში, ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის შეხვედრაზე, ნატო-მ კიდევ ერთხელ დაადასტურა თავისი მტკიცე მხარდაჭერა საქართველოს ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციისადმი⁴⁰, ხოლო, თავის მხრივ, საქართველომ მზადყოფნა გამოხატა შავი ზღვის რეგიონში ნატო-ს გაზრდილი სამხედრო წარმომადგენლობის არსებობის მხარდასაჭერად. საქართველოს აქტიური ჩართულობის მნიშვნელობა შავი ზღვის უსაფრთხოების სტრატეგიის განხილვაში მოგვიანებით განიხილეს 2018 წლის, ბრიუსელის, ნატო-ს სამიტზე⁴¹ (Kuimova & Wezeman, Georgia and Black Sea Security, 2018).

ნატო-საქართველოს თანამშრომლობა შავი ზღვის უსაფრთხოების მიმართულებით

საქართველო მიესალმება ნატო-ს მონაწილეობას შავი ზღვის უსაფრთხოების გაძლიერების პროცესში, რაც რუსეთის საუკეთესო შემაკავებელი ფაქტორია და აქვს ძლიერი ეფექტი რეგიონის სტაბილურობის უზრუნველყოფისთვის. საქართველოს აქვს განსაკუთრებული ინტერესი შავი ზღვის მიმართ - ეს უნდა იყოს მშვიდობისა და განვითარების ზღვა, სადაც ერები შეიკრიბებიან და ითანამშრომლობენ რეგიონში სტაბილურობისა და კეთილდღეობის გასაძლიერებლად. ევროპის უსაფრთხოება ვერ იქნება სრული უსაფრთხო და სტაბილური შავი ზღვის გარეშე. ალიანსთან თანამშრომლობა შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხებში არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განზომილება, სადაც საქართველო, ნატო-ს ხელმძღვანელობით ოპერაციებში მონაწილეობასთან ერთად, უსაფრთხოების უზრუნველყოფელია. საქართველომ გამოთქვა მზადყოფნა, ხელი შეუწყოს

⁴⁰ NATO Parliamentary Assembly on Stability and Security in the Black Sea Region. NATO. - <https://www.nato-pa.int/download-file?filename=sites/default/files/2017-10/2017%20-%20RESOLUTION%20437%20-%20BLACK%20SEA%20-%20SCHMIDT%20%20-%20%20219%20CDS%2017%20E.pdf>

⁴¹ NATO-Georgia Commission Declaration at the Brussels Summit. NATO. 12.07.2018 - https://www.nato.int/cps/ic/natohq/official_texts_156627.htm

და წვლილი შეიტანოს ნატო-ს ძალისხმევაში შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების განსამტკიცებლად. საქართველო მონაწილეობს ნატო-სთან სტრატეგიულ დისკუსიებში შავი ზღვის უსაფრთხოების შესახებ და რეგულარულად აზიარებს მოკავშირეებთან ინფორმაციას და ანალიტიკას რეგიონში არსებული ვითარების შესახებ. ნატო-საქართველოს თანამშრომლობის შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხის კონკრეტული მასალებია:

- მეტი საპორტო ვიზიტები საქართველოს შავი ზღვის პორტებში (ფოთი და ბათუმი);
- საქართველოს სანაპირო დაცვის ეკიპაჟების ტრენინგი;
- ინფორმაციის რეგულარული გაცვლა ერთობლივი საზღვაო ოპერაციების ცენტრთან (JMOC) და ნატო-ს გადაზიდვის ცენტრთან;

2019 წელს ვაშინგტონში ნატო-ს საგარეო საქმეთა მინისტრიალზე მოკავშირეებმა მიიღეს გადაწყვეტილება ზომების პაკეტის შესახებ, რომელიც მიმართულია შავი ზღვის რეგიონში ნატო-ს სიტუაციური ცნობიერების ამაღლებისა და საქართველოსა და უკრაინისთვის დახმარების გაძლიერებისკენ. თანამშრომლობა გააქტიურდა ისეთ სფეროებში, როგორებიცაა:

- საზღვაო ძალების და სანაპირო დაცვის თანამშრომლების ტრენინგი;
- საპორტო ვიზიტები და წვრთნები;
- ინფორმაციის გაზიარება;

ნატოს საგარეო საქმეთა მინისტრიალზე 2020 წლის აპრილში, მოკავშირეები შეთანხმდნენ დამატებითი ზომების შესახებ საქართველოსა და უკრაინის მხარდასაჭერად ისეთ სფეროებში, როგორებიცაა:

- წვრთნები შავი ზღვის სტრატეგიულ რეგიონში;
- ერთობლივი მუშაობა ჰიბრიდული ომის წინააღმდეგ;
- მეტი საჰაერო მოძრაობის რადარის მონაცემების გაზიარება;

საქართველოს ინიციატივები შავი ზღვის, როგორც მაკავშირებელი რეგიონის პოტენციალის გამოყენებისთვის

შავ ზღვაზე საბორნე/საკონტინერო გადაზიდვების ხელშეწყობა ერთი მხრივ საქართველოსა და მეორე მხრივ რუმინეთს, ბულგარეთსა და უკრაინას შორის. ამ მარშრუტის ხელშეწყობის თაობაზე საქართველოსა და უკრაინის პრემიერ-მინისტრების წერილი 2019 წლის მაისში გაეგზავნა ევროკომისიის პრეზიდენტს. ამავდროულად, პროცესის დასაჩქარებლად, ქართულმა მხარემ დაიქირავა საკონსულტაციო კომპანია KPMG საქართველოს, რუმინეთის, ბულგარეთისა და უკრაინის პორტებს შორის აღნიშნული გადაზიდვების ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის ჩატარების მიზნით. ამასთან, კომპანია „მაერსკი“-ს ინიციატივით, საქართველოსა და უკრაინის პორტებს (ფოთი-ოდესა) შორის რეგულარული საკონტინერო გემის მიმოსვლა დაიწყო, რაც ხელს შეუწყობს ევროპასა და აზიას შორის სატრანზიტო ტვირთების მინიმალურ დროსა და ხელსაყრელი ტარიფებით გადაზიდვას. საჭიროა, ბულგარეთის მიმართულების მეტი სიხშირით დატვირთვა და რუმინეთის მარშრუტის ათვისებაც, რაც ოპერირების ხარჯებთანაა დაკავშირებული.

შავი ზღვის წყალქვეშა ელექტროგადამცემი კაბელის პროექტი (Black Sea Submarine Project) - ეს პროექტი ევროპის ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოს მიერ აღიარებულ იქნა, როგორც რენტაბელობის კარგი ინდექსის მქონე ბენეფიციარი პროექტი (beneficial project with good/positive Profitability index). 2020 წლის თებერვალში საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემამ და რუმინეთის გადამცემი სისტემის ოპერატორმა „CNTEE“-იმ პროექტი ერთობლივად წარადგინეს “საერთო ინტერესების მქონე პროექტის” სტატუსის მოსაპოვებლად ენერგეტიკული გაერთიანების მიერ გამოცხადებულ PECI/PMI კონკურსში. აქვე აღსანიშნავია, რომ მსოფლიო ბანკმა ჩაატარა დამოუკიდებელი ეკონომიკური კვლევა, რის საფუძველზეც პროექტი კიდევ ერთხელ შეფასდა დადებითად, არა მხოლოდ საქართველოს და ჩართული მხარეებისთვის, არამედ კავკასიის რეგიონის ფარგლებში.

შავი ზღვის აუზის პროგრამა 2014-2020 არის ევროკავშირის საზღვრისპირა თანამშრომლობის ნაწილი (CBC) მისი ევროპული სამეზობლო ინსტრუმენტის (ENI) ქვეშ. შავი ზღვის აუზის ENI CBC პროგრამა 2014-2020 აგებულია წინა თანამშრომლობის ჩარჩოზე, შავი ზღვის აუზის ENPI CBC პროგრამა 2007-2013, რომლის მიხედვითაც 62 პროექტი დაფინანსდა და განხორციელდა შავი ზღვის აუზის 8 ქვეყანაში. ENI ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის შავი ზღვის აუზის პროგრამის 2014-2020 მიზნებია: შავი ზღვის აუზის რეგიონში მცხოვრები ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესება მდგრადი განვითარების და ერთობლივი გარემოს დაცვის მეშვეობით. ასევე, შავი ზღვის აუზის ფარგლებში ბიზნესისა და წარმოების ხელშეწყობა, ტრანს-სასაზღვრო ვაჭრობის შესაძლებლობების გაზრდა და სოფლის მეურნეობისა და ურთიერთკავშირის სექტორების მოდერნიზაცია, შავ ზღვაში გარემოს დაცვითი და საზღვაო ნაგვის ერთობლივი შემცირების ღონისძიებების კოორდინაციის ხელშეწყობა.

საქართველოს თავდაცვის ძალები

SIPRI-ს დოკუმენტში აღნიშნულია, რომ საქართველოს თავდაცვის ძალები, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან მალევე, 1991 წელს, შეიქმნა. მკვლევარები წერენ, რომ 1992 წლისათვის საქართველოს გააჩნდა მცირე რაოდენობის მძიმე სამხედრო ტექნიკა, რომელიც ქვეყანას საბჭოთა კავშირისგან მემკვიდრეობით ერგო. საზღვაო ძალები საქართველოს ფაქტობრივად არ გააჩნდა. აღსანიშნავია, რომ სამხედრო აღჭურვილობის უმეტესი ნაწილი 1992-93 წლებში, საქართველომ აფხაზეთში მიმდინარე კონფლიქტის დროს დაკარგა. სამხედრო კონფლიქტის შემდეგ, საქართველომ დაიწყო თავდაცვის ძალების რეორგანიზაცია და მოდერნიზაცია. 2008 წლის აგვისტოს ომის დროს, ცხინვალის რეგიონში მიმდინარე ბრძოლამ მნიშვნელოვნად დააზიანა საქართველოს თავდაცვის ძალები, რის შედეგადაც საქართველოს საზღვაო ფლოტისა და საჰაერო ძალების უმეტესი ნაწილი განადგურდა, ხოლო ტექნიკის ნაწილი და დიდი ოდენობით შეიარაღება და სამხედრო ამუნიცია, რუსეთს

ჩაუვარდა ხელში, როგორც სამხედრო ნადავლი. კუიმოვა და ვეზემანი აღნიშნავენ, რომ 2009 წელს სანაპირო დაცვის სამსახური და საზღვაო ძალები მთლიანად ინტეგრირებულნი იყვნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს საზღვაო ძალებში და მოქმედებდნენ უფრო მეტად, როგორც პოლიციური ძალები, ვიდრე საზღვაო ძალები. დღესდღეობით გაერთიანებული ქართული თავდაცვის ძალები მოიცავს აღმოსავლეთ და დასავლეთ სახმელეთო სარდლობას, სამხედრო მოსამზადებელ და საგანმანათლებლო სარდლობას, ჯარების ლოგისტიკური დახმარების სარდლობას, საავიაციო და საჰაერო თავდაცვის სარდლობას, სპეციალურ ოპერატიულ ძალებსა და ეროვნულ გვარდიას. SIPRI-ს დოკუმენტის მიხედვით, 2018 წლისათვის საერთო აქტიურ პერსონალთა რიცხვი შეადგენდა - 20 650 ერთეულს. საქართველოს თავდაცვის ძალები შედგება, როგორც პროფესიონალი ჯარისკაცებისგან, ისე წვევამდებლებისგან, რომელთა 90% საკონტრაქტო მოსამსახურეა. აღსანიშნავია, რომ საქართველომ 2018 წლისათვის სამშვიდობო ოპერაციებში 900-მდე სამხედრო მოსამსახურე გაგზავნა ავღანეთში, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში, მალიში, სერბეთსა და უკრაინაში. საქართველოს თითქმის მუდმივად ჰყავს განლაგებული სამშვიდობო ჯარები კოსოვოში და ერაყში. საქართველო ასევე, აქტიურად მონაწილეობს ხმელთაშუა ზღვაში ნატო-სთან ერთად ანტიტერორისტულ ოპერაციებში. საქართველო ასევე მონაწილეობს ნატო-ს სწრაფი რეაგირების ძალების და შავი ზღვის მრავალეროვნული სამხედრო-საზღვაო ოპერატიული ჯგუფის („ბლექსიფორი“) წვრთნებში. მას შემდეგ რაც საქართველომ ნატო-ში გაწევრიანების სურვილი გამოთქვა, ის რეგულარულად მასპინძლობს და მონაწილეობს ნატო-ს სამხედრო წვრთნებში. 2018 წელს საქართველოში ნატო-ს ათი წევრი სახელმწიფო და პარტნიორი ქვეყნები მონაწილეობდნენ სამხედრო წვრთნებში. იმავე წელს ვაზიანის სამხედრო ბაზაზე სამხედრო წვრთნებში ნატო-ს ცამეტი პარტნიორი ქვეყნის 3000-ზე მეტი სამხედრო მოსამსახურე მონაწილეობდა. 2017 წლის მსგავსად წვრთნებში მონაწილეობდნენ ამერიკული ტანკები, თვითმფრინავები და გერმანული ჯავშანტექნიკა. აღსანიშნავია, აშშ-ის წვლილი საქართველოს თავდაცვის სფეროს გაძლიერებაში. საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამის ფარგლებში 2018-2020 წლებში საქართველოს ჯარები გადამზადდნენ ამერიკელი სამხედრო ოფიცრების მიერ, რომლებიც განლაგებულნი იყვნენ

ვაზიანის საწვრთნელ ცენტრში. საქართველო სამხედრო სფეროში ასევე თანამშრომლობს მეზობელ ქვეყნებთანაც. აზერბაიჯანი, საქართველო და თურქეთი 2014 წლიდან აქტიურად ავითარებენ თავდაცვის პოლიტიკას. 2017 წლის ივნისში ამ სამმა სახელმწიფომ საქართველოში სპეციალური ოპერატიული ქვედანაყოფების მონაწილეობით ერთობლივი სამხედრო სწავლება „კავკასიური არწივი 2017“ ჩაატარა. ამ წვრთნების მთავარი მიზანი იყო სტრატეგიულად გაემლიერებინათ ნავთობსადენების დასაცავად ურთიერთთანამშრომლობა. მას შემდეგ, რაც ნატო-ს წევრი სახელმწიფოები შეთანხმდნენ, რომ გაემლიერებინათ თავიანთი როლი შავი ზღვის რეგიონში, საქართველოს საზღვაო ძალების განახლებამ ახალი მნიშვნელობა შეიძინა. საქართველოს მთავრობა ამჟამად არ გეგმავს საზღვაო ფლოტის განახლებას, რომელიც თითქმის მთლიანად განადგურდა აგვისტოს ომის დროს. კუიმოვა და ვეზემანი წერენ, რომ საბოლოოდ, საქართველოს თავდაცვის პოლიტიკის ძირითადი მიმართულება იგივე რჩება, რაც იყო 2008 წელს. პოლიტიკური და ფინანსური დახმარების პოვნის თვალსაზრისით საქართველო საერთაშორისო ორგანიზაციებზე წვდომას მიიჩნევს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანად. ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის გადაუჭრელი კონფლიქტები დღემდე რჩება მთავარ დამაბრკოლებელ ფაქტორად საქართველოსთვის ნატო-ში გაწევრიანების გზაზე. ვინაიდან საქართველოს არც მნიშვნელოვანი ძალის მქონე საჰაერო და არც საზღვაო ძალები არ გააჩნია, ის ყურადღებას ამახვილებს თავისი სახმელეთო საზღვრების უსაფრთხოებაზე. კვლევით დოკუმენტში აღნიშნულია, რომ საფრანგეთის საჰაერო თავდაცვის სისტემის და აშშ-ს საჰაერო და ტანკსაწინააღმდეგო სისტემის ბოლოდროინდელმა შესყიდვამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოს თავდაცვისუნარიანობის მშენებლობაში (Kuimova & Wezeman, Georgia and Black Sea Security, 2018).

3.1 შავი ზღვის როლი საქართველოს სახელმწიფო დოკუმენტებში

2018 წლის 16 დეკემბერს საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია კონსტიტუციური ვალდებულება გახდა. საქართველოს კონსტიტუციის 78-ე მუხლში წერია: „კონსტიტუციურმა ორგანოებმა თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში მიიღონ ყველა ზომა ევროპის კავშირსა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში საქართველოს სრული ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად” (საქართველოს კონსტიტუცია). ამასთან საქართველოს ყველა სახელმწიფო დოკუმენტში ცალსახად წერია, რომ ქვეყნის ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია უმთავრესი პრიორიტეტია. ქართველ ხალხს მტკიცედ სჯერა, რომ ევროკავშირისა და ნატო-ს წევრობა საქართველოს უსაფრთხოების, განვითარებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფის უმთავრესი გარანტია, რომელიც ეფუძნება საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილის არჩევანს, არის ფართო საზოგადოებრივი თანხმობის შედეგი და გამყარებულია ქვეყნის კონსტიტუციით. საქართველო აქტიურად არის ჩართული ევროპული და ევროატლანტიკური კოლექტიური უსაფრთხოების მშენებლობაში და აქტიურ მონაწილეობას იღებს საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში, სხვადასხვა ოპერაციებსა და სამხედრო წვრთნებში. საქართველოსთვის შავი ზღვა არის ერთადერთი შეხების წერტილი ევროპასთან და ასევე, მნიშვნელოვანი სივრცეა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. საქართველო ყოველწლიურად უფრო მეტ ყურადღებას უთმობს შავი ზღვის აუზს და რეგიონის უსაფრთხოებას, რაც კარგად ჩანს საქართველოს სახელმწიფო დოკუმენტებში, რომლებსაც ქვემოთ განვიხილავთ.

„საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია“⁴² პარლამენტმა 2011 წლის 23 დეკემბერს დაამტკიცა, რომელმაც 2005 წელს მიღებული კონცეფცია ჩაანაცვლა. დოკუმენტი განმარტავს ფუნდამენტურ ეროვნულ ღირებულებებს და ეროვნულ ინტერესებს, აყალიბებს ქვეყნის უსაფრთხო განვითარების ხედვას, განსაზღვრავს მის წინაშე არსებულ საფრთხეებს,

⁴² საქართველო ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო - <https://mod.gov.ge/ge/page/70/sagartvelos-erovnuli-usaftrxoebis-konceficia>

რისკებსა და გამოწვევებს და ადგენს უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს. ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის შესავალში აღნიშნულია, რომ რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიამ გააუარესა მთელი კავკასიის რეგიონის უსაფრთხოების გარემო. საქართველოსთვის კი რეგიონში პროცესების მშვიდობიანი განვითარება და თანამშრომლობის ატმოსფეროს ჩამოყალიბება უსაფრთხოებისათვის მნიშვნელოვანი შესაძლებლობაა. დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ საქართველო ევროპული და ევროატლანტიკური სივრცის ნაწილია და შესაბამისად, მისი უსაფრთხოებისთვის მნიშვნელოვანია ევროპაში მიმდინარე ინტეგრაციული პროცესები, კერძოდ, ნატო-ს და ევროკავშირის აღმოსავლეთით გაფართოება. უსაფრთხოების კონცეფციაში განმარტებულია საქართველოს ეროვნული ინტერესები, სადაც აღნიშნულია, რომ საქართველოს ეროვნულ უსაფრთხოებაზე უშუალო გავლენას ახდენს ევროპაში, შავი ზღვის რეგიონსა და კავკასიაში მიმდინარე პროცესები. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია შუა აზიასა და ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესების გავლენა. ხოლო ამ რეგიონებში სტაბილურობისა და უსაფრთხოების შენარჩუნება და არსებული უთანხმოებების მშვიდობიანი მოგვარება საქართველოს ინტერესშია. დოკუმენტის მიხედვით, ქვეყნის ერთ-ერთი ეროვნულ ინტერესია საქართველოს სატრანზიტო ფუნქციის გაძლიერება, რაც საქართველო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს, როგორც სატრანზიტო ფუნქციის ქვეყანას. ამ მიზნით საქართველო მზადაა, კიდევ უფრო აქტიურად ჩაერთოს საერთაშორისო ენერგეტიკულ, სატრანსპორტო და საკომუნიკაციო პროექტებში. ამასთან, დოკუმენტში წერია, რომ ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის საქართველოს პრიორიტეტია ენერჯის წყაროებისა და ტრანსპორტირების გზების დივერსიფიკაცია. საქართველოს ენერგეტიკული პოტენციალის გაზრდა დადებით გავლენას ახდენს ქვეყნის უსაფრთხოებასა და ეკონომიკურ განვითარებაზე, ასევე მოქალაქეთა კეთილდღეობაზე. დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ სამ უმნიშვნელოვანეს რეგიონულ ენერგეტიკულ პროექტს: ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენს, ბაქო-თბილისი-ერზერუმის და ბაქო-სუფსის გაზსადენებს არ აქვთ მხოლოდ ეკონომიკური განზომილება, არამედ ეს პროექტები, მათი მნიშვნელობიდან გამომდინარე, რეგიონში სტაბილურობის განმტკიცებასაც

ემსახურება და რეგიონის უსაფრთხოებას უწყობს ხელს. დოკუმენტში ასევე ნათქვამია, რომ საქართველოსა და აზერბაიჯანის ინტერესია ნაბუკოს, თეთრი ნაკადის, ევრაზიული ნავთობის სატრანსპორტო დერეფნის და AGRI⁴³-ს პროექტების რეალიზაცია. ხოლო, ენერგეტიკული უსაფრთხოების პოლიტიკაზე საუბრისას აღნიშნულია, რომ „საქართველოს შავი ზღვის პორტები, ბაქო-სუფსისა და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენები, ასევე ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენი უკვე მოქმედი, სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე პროექტებია და საქართველოს ხელისუფლება მოწოდებულია, უზრუნველყოს მათი ეფექტიანი ფუნქციონირება და პერსპექტიული პროექტების განვითარება“ (გვ. 26). დოკუმენტში, სადაც საუბარია საქართველოს წინაშე არსებულ საფრთხეებზე, რისკებსა და გამოწვევებზე, წერია, რომ საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის პრიორიტეტულია ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობის განმტკიცება. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ენერგომატარებლების მოწოდების წყაროების დივერსიფიკაციის შენარჩუნება.

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში განსაზღვრულია საქართველოს უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები, რომელთა შორისაა ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში გაწევრიანება და ევროკავშირში ინტეგრაცია. დოკუმენტის მიხედვით, საქართველოს საგარეო და ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტი ქვეყნის ნატო-ში და ევროკავშირში გაწევრიანებაა. „საქართველო, როგორც შავი ზღვის რეგიონისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფო, არის ევროპის გეოგრაფიული, პოლიტიკური და კულტურული ნაწილი, რომელიც ისტორიული კატაკლიზმების გამო მოწყვეტილი იყო თავისი განვითარების ბუნებრივ გარემოს“ (გვ. 16). ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის თანახმად, საქართველო არა მხოლოდ უსაფრთხოების მომხმარებელია, არამედ იზიარებს კიდევ კოლექტიური უსაფრთხოების პასუხისმგებლობას. აქედან გამომდინარე, საქართველოს, როგორც შავიზღვისპირა სახელმწიფოს პოტენციური მრავალმხრივი თანამშრომლობის ხელშემწყობი გარემოებაა. დოკუმენტში ასევე საუბარია ეკოლოგიური

⁴³ Azerbaijan-Georgia-Romania Interconnector Project

უსაფრთხოების პოლიტიკაზე და აღნიშნულია, რომ მნიშვნელოვანია უზრუნველყოფილი იყოს გარემოს დაბინძურების საწინააღმდეგო ეფექტიანი ღონისძიებების გატარება შავი ზღვის დაბინძურების პრევენციისთვის (საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, 2011).

2019 წლის 28 მარტს გამოქვეყნებული დოკუმენტი „**2019-2022 წლების საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგია**“⁴⁴ განსაზღვრავს ქვეყნის საგარეო პოლიტიკის სტრატეგიულ მიზნებს, პრიორიტეტულ მიმართულებებს და ამოცანებს. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ თანამედროვე საერთაშორისო სისტემაში არსებული გამოწვევები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აღმოსავლეთ ევროპისა და შავი ზღვის რეგიონზე. „2008 წელს რუსეთის მხრიდან საქართველოს მიმართ განხორციელებულმა სამხედრო აგრესიამ, 2014 წელს რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიამ და დონეცკისა და ლუგანსკის რეგიონების დროებითმა ოკუპაციამ კი კიდევ უფრო გააუარესა უსაფრთხოების გარემო რეგიონში“ (გვ. 2). დოკუმენტის მიხედვით, რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის, ოკუპაცია და ანექსიისკენ გადადგმული ნაბიჯები, მზარდი მილიტარიზაცია და რუსეთი მიერ განხორციელებული დესტრუქციული ქმედებები, მათ შორის საერთაშორისო სამართლის პრინციპების უგულვებელყოფა, სერიოზულ საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ რეგიონის, არამედ მთლიანად ევროპული და ევროატლანტიკური სივრცის უსაფრთხოებას. საგარეო პოლიტიკის სტრატეგიაში წერია, რომ სტრატეგიულად მნიშვნელოვანი მდებარეობისა და აღმოსავლეთ-დასავლეთის დამაკავშირებელი სატრანზიტო და სატრანსპორტო დერეფნის ფუნქციის გონივრული გამოყენებით საქართველოს მდგრადი ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობა ეძლევა. (გვ. 3).

დოკუმენტში განსაზღვრულია საგარეო პოლიტიკის სტრატეგიული მიზნები და ამოცანები. ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში გაწევრიანებასთან დაკავშირებულ თავში ცალკე პუნქტია შავი ზღვის უსაფრთხოებაში წვლილის შეტანის

⁴⁴ 2019-2022 წლების საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგია. საგარეო საქმეთა სამინისტრო - <https://mfa.gov.ge/getattachment/MainNav/ForeignPolicy/ForeignPolicyStrategy/2019-2022-clebis-saqartvelos-sagareo-politikis-strategia.pdf.aspx>

მიზნით ალიანსთან თანამშრომლობის გაძლიერებაზე. აღნიშნულია, რომ საქართველო, როგორც შავი ზღვის უსაფრთხოების არქიტექტურის განუყოფელი ნაწილი, ითანამშრომლებს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან და მონაწილეობას მიიღებს სტრატეგიულ დისკუსიებში, რათა პრაქტიკული თანამშრომლობის კონკრეტული ნაბიჯები შემუშავდეს. დოკუმენტის თანახმად, ეს პოლიტიკა განხორციელდება, „2016 წლის ვარშავის სამიტზე ნატო-ს მიერ გაცხადებული შავი ზღვის უსაფრთხოების პოლიტიკის, 2017 წელს საქართველოს მიერ შემუშავებული შავი ზღვის უსაფრთხოების განმტკიცების საკითხზე ნატო-სთან თანამშრომლობის თაობაზე წინადადებებისა და 2018 წლის ბრიუსელის სამიტზე შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხზე საქართველო-ნატოს თანამშრომლობის კონკრეტულ ინიციატივებზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად“ (გვ. 7).

დოკუმენტის მიხედვით, მდგრადი ეკონომიკური განვითარების მიზნის მისაღწევად საგარეო პოლიტიკის ძირითად ამოცანებს წარმოადგენს: „აღმოსავლეთ-დასავლეთის დამაკავშირებელი ჰაბის ფუნქციის განმტკიცება და ეროვნული, რეგიონული და საერთაშორისო სატრანსპორტო, სატელეკომუნიკაციო, ციფრული, ენერგეტიკული და საინვესტიციო პროექტების რეალიზაციის ხელშეწყობა“ (გვ. 8). აღნიშნულია, რომ საქართველოსთვის დიდ მნიშვნელობას იძენს აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის, ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის, ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის პროექტისა და ქვეყანაში მიმდინარე სხვა პროექტებით შექმნილი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენება და არსებული სატრანსპორტო-სატრანზიტო პოტენციალის სრული რეალიზაცია. საგარეო პოლიტიკის დოკუმენტის მიხედვით, ქვეყნისთვის პრიორიტეტულად რჩება: „სამხრეთის ბუნებრივი აირის დერეფნის და სხვა რეგიონული და საერთაშორისო ენერგეტიკული პროექტების ეფექტური განხორციელება, ფუნქციონირება და საქართველოს გავლით, ევროპა-აზიის დამაკავშირებელი ციფრული სატრანზიტო ჰაბის ჩამოყალიბება; ზემოაღნიშნულ მიმართულებებში პოტენციურ დონორებთან აქტიური კონტაქტების დამყარება, ინვესტიციების მოზიდვის და თანამედროვე ტექნოლოგიების ქვეყანაში შემოტანის ხელშეწყობა“ (გვ. 8). საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი ამოცანაა შავი ზღვის ეკონომიკური როლის გაძლიერება. დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ

„მნიშვნელოვანია სატრანზიტო შესაძლებლობების ზრდა, რეგიონის ქვეყნებთან ტვირთბრუნვის მოცულობისა და მიმოსვლის სიჩქარის ზრდა, ლოგისტიკური და სატრანზიტო ინფრასტრუქტურის გაძლიერების ხელშეწყობა და სხვადასხვა რეგიონიდან ტვირთების მოზიდვა. ასევე, ტურისტული პოტენციალის კიდევ უფრო ეფექტური გამოყენება და ევროპასთან ინფრასტრუქტურული ინტეგრაციის ხელშეწყობა“ (გვ. 9).

საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებებზე საუბრისას აღნიშნულია, რომ საქართველოსთვის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია შავი ზღვის რეგიონში სტაბილურობისა და უსაფრთხოების მიღწევა და შავი ზღვის ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის განმტკიცება. დოკუმენტის მიხედვით, ამ კონტექსტში, უფრო მეტად გაღრმავდება თანამშრომლობა ბულგარეთთან და რუმინეთთან. „რუმინეთთან თანამშრომლობის თვალსაზრისით, დიდი მნიშვნელობა მიენიჭება სტრატეგიული პარტნიორობის ჩამოყალიბებას. ხელი შეეწყობა შავი ზღვის სატრანზიტო/სატრანსპორტო და საკომუნიკაციო შესაძლებლობების გაძლიერებასა და ეკონომიკური როლის ზრდას“ (გვ. 13). დოკუმენტის ბოლოს ყურადღება გამახვილებულია ეკონომიკისა და ვაჭრობის მიმართულებით შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის (BSEC) არსებული პოტენციალის მაქსიმალურ გამოყენებაზე (2019-2022 წლების საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგია, 2019).

„თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა 2017-2020“⁴⁵ 2017 წლის აპრილში გამოქვეყნდა. დოკუმენტში წარმოდგენილია გეგმა თუ როგორ უნდა განვითარდეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და საქართველოს თავდაცვის ძალები. ეს 44 გვერდიანი დოკუმენტი ასევე აღწერს არსებულ ვითარებას, მიმოხილავს საფრთხეებსა და გამოწვევებს. თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვის დოკუმენტში საქართველოს უსაფრთხოების გარემოზე საუბრისას აღნიშნულია, რომ უსაფრთხოების გამოწვევებიდან გამომდინარე რეგიონში შექმნილი არასტაბილურობა უარყოფითად აისახება ქვეყნის განვითარებაზე. დოკუმენტში წერია: „შავი ზღვის რეგიონში ბოლო პერიოდში არსებული

⁴⁵ თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა 2017-2020. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო - <https://mod.gov.ge/uploads/archive/pdf/SDR-GEO.pdf>

უსაფრთხოების კომპლექსური და არამდგრადი ვითარება, ყირიმის ანექსია და უკრაინის აღმოსავლეთში განვითარებული პროცესები, ჩრდილოეთ კავკასიაში არსებული არასტაბილურობა და მთიანი ყარაბაღის მოუგვარებელი კონფლიქტი უარყოფით გავლენას ახდენს, როგორც მთლიანად რეგიონის, ისე საქართველოს უსაფრთხოების გარემოზე“ (გვ. 10). დოკუმენტში აღნიშნულია, რომ საქართველოს ენერგოუსაფრთხოების უზრუნველყოფა და სატრანზიტო ფუნქციის შენარჩუნება ქვეყნის ერთ-ერთი გამოწვევაა. რუსეთის სტრატეგიულ მიზნად კი რჩება ენერგორესურსებისა და მათი განაწილების სისტემებზე კონტროლი. ამასთან, დოკუმენტში წერია, რომ შავ ზღვაზე რუსეთის სამხედრო-საზღვაო შესაძლებლობების გაძლიერება ასუსტებს დასავლეთის წვდომას კავკასიის რეგიონზე, რაც ამცირებს დასავლეთის მხრიდან რუსეთის დაბალანსების შესაძლებლობას. აქვე აღნიშნულია, რომ „საქართველო განაგრძობს თანამშრომლობის გაღრმავებას რეგიონის პარტნიორ სახელმწიფოებთან ენერგეტიკის, პოლიტიკის, ეკონომიკისა, სამხედრო პოლიტიკის, ეკონომიკის და სხვა სფეროებში“ (გვ. 13). დოკუმენტში საქართველოსა და ნატო-ს სამომავლო თანამშრომლობასა და პარტნიორული ურთიერთობების გაღრმავებაზე საუბარი და ხაზგასმულია, რომ საქართველო შავი ზღვის რეგიონში უსაფრთხოების განმტკიცებისთვის ალიანსთან მჭიდრო თანამშრომლობას გეგმავს. დოკუმენტის მიხედვით, ახალი გამოწვევების ფონზე, საქართველოსთვის მნიშვნელოვანია ალიანსის წევრ და პარტნიორ ქვეყნებთან შავი ზღვისა და სამხრეთ კავკასიის რეგიონის უსაფრთხოებისა და სტაბილურობის უზრუნველყოფის საკითხებზე მჭიდრო თანამშრომლობა.

თავდაცვის სტრატეგიულ მიმოხილვაში დეტალურად არის განხილული თუ როგორ უნდა განხორციელდეს თავდაცვის ძალების ოპტიმიზაცია. თუმცა, საზღვაო ძალებთან დაკავშირებით მხოლოდ ის წერია, რომ საქართველოს თავდაცვის ძალების J-3 ოპერატიული დაგეგმვის დეპარტამენტში საზღვაო შესაძლებლობების დაგეგმვის განყოფილება შეიქმნა. ხოლო, რეკომენდაციის სახით კი სპეციალური ოპერაციების ძალების რეორგანიზაციაზე საუბრისას აღნიშნულია, რომ მნიშვნელოვანია, სპეციალური ოპერაციების ძალების საბრძოლო ქვედანაყოფების, მათ შორის საზღვაო სპეციალური

დანიშნულების რაზმის, სპეციალური ოპერაციების დავალებებზე ორიენტირებული სტრუქტურისათვის სამტატო რეორგანიზაცია (თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა 2017-2020).

2014 წელს გამოქვეყნებული „საქართველოს ეროვნული სამხედრო სტრატეგია“⁴⁶ წარმოადგენს 2005 წელს გამოცემული ეროვნული სამხედრო სტრატეგიის განახლებულ ვარიანტს. ეს დოკუმენტი ასახავს თავდაცვის ძალების წინაშე არსებულ რეალობებს და უსაფრთხოების სფეროში თავდაცვის დაგეგმვის სტრატეგიული დონის დოკუმენტებით განსაზღვრულ ტენდენციებს. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ „რეგიონული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და ქვეყნის უსაფრთხოების განმტკიცების მიზნით, საქართველო წარმართავს აქტიურ სამეზობლო პოლიტიკას და დაინტერესებულია გააღრმავოს არსებული თანამშრომლობა კავკასიის და შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებთან, განსაკუთრებით, ნატო-ს წევრი ქვეყნებისა და სხვა მეგობარ სახელმწიფოებთან თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში“ (საქართველოს ეროვნული სამხედრო სტრატეგია, 2014, გვ. 11).

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს „თეთრი წიგნი 2017 - 2020“⁴⁷ უწყებრივი დონის კონცეპტუალური დოკუმენტია, რომელიც ეფუძნება ეროვნული დონის სტრატეგიული დოკუმენტებით გაწერილ ღირებულებებს, ინტერესებს, საფრთხეებს და განსაზღვრავს თავდაცვის სამინისტროს და თავდაცვის ძალების სტრატეგიული განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებებსა და ამოცანებს 2017-2020 წლებისთვის. დოკუმენტის მე-5 თავში, სადაც საერთაშორისო და ორმხრივი თანამშრომლობაზეა საუბარი, წერია, რომ „უსაფრთხოების ახალი რეალების გათვალისწინებით, საქართველო, როგორც ჩრდილოატლანტიკური ალიანსის „გამლიერებული შესაძლებლობების პარტნიორი“⁴⁸ ესწრაფვის განავითაროს პრაქტიკული თანამშრომლობის სასარგებლო

⁴⁶ საქართველოს ეროვნული სამხედრო სტრატეგია. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო - <https://mod.gov.ge/uploads/2018/pdf/NMS-GEO.pdf>

⁴⁷ თეთრი წიგნი 2017-2020. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო - https://mod.gov.ge/uploads/archive/2017/maisi_2017/PDF/tetrtsigni2.5_1.pdf

⁴⁸ Enhanced Opportunity Partner

ფორმატები შავი ზღვისა და სამხრეთ კავკასიის რეგიონის უსაფრთხოებისა და სტაბილურობის უზრუნველყოფის საკითხებთან დაკავშირებით“ (თეთრი წიგნი, 2017, გვ. 15).

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს „2017-2020 წლების საკომუნიკაციო სტრატეგიის“⁴⁹ დანიშნულება, თანამედროვე საინფორმაციო გამოწვევების ფონზე, თავდაცვის სამინისტროს პრიორიტეტების კომუნიკაციის პოლიტიკის განსაზღვრაა. ოთხწლიანი საკომუნიკაციო სტრატეგია განსაზღვრავს თავდაცვის სამინისტროსა და თავდაცვის ძალების ერთიან საკომუნიკაციო მიმართულებას, საკომუნიკაციო მიზნებს, სამიზნე აუდიტორიებსა და საკომუნიკაციო თემატიკას. სამინისტროს ერთ-ერთი საკომუნიკაციო მიზანია საქართველოს, როგორც ნატო-ს, ევროკავშირისა და პარტნიორი ქვეყნების სანდო პარტნიორის, ასევე საერთაშორისო უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განმტკიცებაში მონაწილე ქვეყნის იმიჯის გაძლიერება, რისთვისაც მნიშვნელოვანია ალიანსის წევრ ქვეყნებში საქართველოს, როგორც შავი ზღვისა და კავკასიის რეგიონში ნატო-სთვის მნიშვნელოვანი შესაძლებლობების მქონე ქვეყნის იმიჯის კომუნიკაცია (საკომუნიკაციო სტრატეგია 2017-2020, გვ. 8).

საქართველოს თავდაცვის „მინისტრის ხედვა 2020“⁵⁰-ში წერია, რომ საქართველო შავი ზღვის უსაფრთხოების არქიტექტურის განუყოფელი ნაწილია და შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განმტკიცების მიზნით, განაგრძობს ნატო-სთან სტრატეგიულ დისკუსიებში მონაწილეობას და პრაქტიკული ინიციატივების განხორციელებას. დოკუმენტში ნათქვამია, რომ „საქართველოს თავდაცვის ძალების განვითარება საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის, რუსეთის აგრესიული ქმედებების და შავი ზღვის რეგიონში მოწინააღმდეგის სამხედრო შესაძლებლობების ზრდის ფონზე,

⁴⁹ 2017-2020 წლების საკომუნიკაციო სტრატეგიის. თავდაცვის სამინისტრო - https://mod.gov.ge/uploads/2018/pdf/strategia_geo.pdf

⁵⁰ მინისტრის ხედვა 2020. მინისტრის დირექტივები. საგარეო საქმეთა სამინისტრო - https://mod.gov.ge/uploads/ministris_khedva_2020/xedva_2020.pdf

არსებულ საფრთხეებზე საპასუხოდ აუცილებელია საქართველოს თავდაცვის ძალების შესაბამისი განვითარება“ (მინისტრის ხედვა 2020, გვ. 12).

„სამთავრობო პროგრამა 2018 – 2020“⁵¹ 2018 წლის ივლისში გამოქვეყნდა. დოკუმენტში საუბარია ქვეყნის განვითარების სამთავრობო ხედვაზე და განხილულია ის ნაბიჯები, რომელსაც მთავრობა ქვეყნის განვითარებისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად გაატარებს. სამთავრობო პროგრამაში არაერთხელ არის ნახსენები შავი ზღვა და მისი მნიშვნელობა ქვეყნის განვითარებისთვის. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ საქართველოს მთავრობა აქტიურად იმუშავებს საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გასაწევრიანებლად. ამ კუთხით, ალიანსთან გაგრძელება და გაღრმავება თანამშრომლობა შავი ზღვის უსაფრთხოების განმტკიცების მიმართულებით. დოკუმენტში ნახსენებია 2018 წლის ნატო-ს ბრიუსელის სამიტი, სადაც საქართველომ უმაღლესი დონის ფორმატის შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა და შავი ზღვის უსაფრთხოებაში საქართველოს მონაწილეობის შესახებ პრაქტიკული გადაწყვეტილებები იქნა მიღებული. სამთავრობო პროგრამაში წერია, რომ „საფუძველი ჩაეყარა ანაკლიის საზღვაო ნავსადგურის მშენებლობას, რომელიც არა მხოლოდ მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს საქართველოს სატრანსპორტო პოტენციალის ამაღლებაზე, არამედ გაზრდის საქართველოს როლს რეგიონში და აქცევს მას ლოგისტიკურ ჰაბად“ (გვ. 24). ეს ჩანაწერი ცხადყოფს, რომ ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია განვითარდეს შავ ზღვაზე არსებული საქართველოს პორტები. პროგრამის თანახმად, ქვეყნისთვის ასევე მნიშვნელოვანია სატრანსპორტო დერეფნის კონკურენტუნარიანობის ამაღლება. აღნიშნულია, რომ სხვადასხვა ქვეყანასთან გრძელდება მოლაპარაკებები საქართველოს გავლით ახალი სატრანსპორტო დერეფნებისა შექმნასა და მათ განვითარებაზე. რომელთაგან ერთ-ერთია სპარსეთის ყურე-შავი ზღვის სატრანსპორტო დერეფანი. დოკუმენტში წერია: „საქართველოს სატრანსპორტო პოტენციალის გასაგვითარებლად ყველა საზღვაო ნავსადგურში განხორციელდება სამთავრობო სერვისების გაციფროვნება და ერთი ონლაინპლატფორმის ქვეშ გაერთიანება. ეს ხელს შეუწყობს

⁵¹ სამთავრობო პროგრამა 2018 – 2020. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია - http://gov.ge/files/68_67099_111823_2018-2020.pdf

ტვირთების გამტარუნარიანობის გაზრდას ნავსადგურებში“ (გვ. 25). პროგრამის მიხედვით, საქართველოს მთავრობა გეგმავს გააგრძელოს საზღვაო ოპერაციების ერთობლივი მართვის ცენტრის განვითარება სტრატეგიულ პარტნიორებთან თანამშრომლობის გაძლიერების მიზნით (სამთავრობო პროგრამა 2019-2020).

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ 2020 წლის 4 ივნისს „**2019 – 2020 წლების სამთავრობო პროგრამის შესრულების შესახებ მოხსენება**“⁵² გამოაქვეყნა. მოცულობით მოხსენებაში საუბარია მთავრობის მიერ განხორციელებულ პოლიტიკაზე და გატარებული ღონისძიებებზე. დოკუმენტში არაერთხელ არის ნახსენები შავი ზღვა და ხაზგასმულია შავი ზღვის აუზის მნიშვნელობა, როგორც ეკონომიკური პოტენციალის კუთხით, ისე ქვეყნის რეგიონული უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის. მოხსენების დასაწყისშივე აღნიშნულია, რომ შავ ზღვაზე შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან საქართველოს შეუძლია ევროპისთვის შეასრულოს ჰაბის ფუნქცია ფართო რეგიონზე წვდომის უზრუნველსაყოფად. დოკუმენტის თანახმად, 2019 წლის ოქტომბერში ქალაქ ბათუმში გაიმართა ჩრდილოატლანტიკური საბჭოს (NAC) რიგით მეხუთე ვიზიტი, რომელსაც ხელმძღვანელობდა ნატო-ს გენერალური მდივნის მოადგილე, როუზ გოტმიოლერი. გამომდინარე იქიდან, რომ ნატო-საქართველოს თანამშრომლობა შავი ზღვის საკითხებზე გაღრმავდა, ვიზიტის ფარგლებში მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო შავი ზღვის უსაფრთხოების თემაზე საქართველოს ალიანსთან თანამშრომლობის საკითხებს. 2020 წელს ნატო-ს საგარეო საქმეთა მინისტრიალი დისტანციურ რეჟიმში ჩატარდა. „მინისტრიალზე მოკავშირეებმა მიიღეს გადაწყვეტილება შავი ზღვის უსაფრთხოების კონტექსტში საქართველოსა და უკრაინის მხარდაჭერის ახალი ზომების თაობაზე, რომელიც მოიცავს:

⁵² 2019 – 2020 წლების სამთავრობო პროგრამის შესრულების შესახებ მოხსენება. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია - http://gov.ge/files/458_76369_384511_1.3%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%97%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%9D%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98.pdf

- საქართველოსა და უკრაინის მეტად ჩართვას შავ ზღვაზე დაგეგმილ ნატო-სა და წევრი ქვეყნების სწავლებებსა და წვრთნებში;
- ჰიბრიდული საფრთხეების წინააღმდეგ თანამშრომლობის გაღრმავებას;
- საქართველოს ჩართვას შავი ზღვის რეგიონის საჰაერო სივრცის მონაცემთა გაცვლის რეგიონულ პროგრამაში;“ (გვ. 10)

დოკუმენტის თანახმად, 2019 წლის ოქტომბერსა და 2020 წლის აპრილში საქართველოში, ბათუმისა და ფოთის პორტებში, ნატო-ს საზღვაო ძალების ორი საპორტო ვიზიტის ფარგლებში პარტნიორი ქვეყნების გემები შემოვიდნენ. ვიზიტის ფარგლებში ნატო-ს საზღვაო შენაერთების წარმომადგენლებმა საქართველოს სანაპირო დაცვის დეპარტამენტის წარმომადგენლებთან ერთად ერთობლივი წვრთნები ჩაატარეს. დოკუმენტში, საქართველოს თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებაზე საუბრისას, ნატო-ს მუდმივმოქმედი მეორე საზღვაო შენაერთის⁵³ ხომალდების ვიზიტები შავ ზღვაში განხილულია, როგორც შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხებზე ნატო-საქართველოს შორის არსებული წარმატებული თანამშრომლობის მაგალითი.

დოკუმენტი ეხება ორმხრივ დიპლომატიასაც, სადაც ნიდერლანდების სამეფოში საქართველოს პრემიერ-მინისტრის პირველ ვიზიტზეა საუბარი, რა დროსაც გამოვლინდა თანამშრომლობის გაღრმავების შესაძლებლობები სავაჭრო-ეკონომიკურ და საზღვაო სფეროში. დოკუმენტის თანახმად, ასევე „პრიორიტეტული იყო შავი ზღვის ქვეყნებთან, განსაკუთრებით კი ბულგარეთსა და რუმინეთთან ტრანსპორტის, ენერგეტიკისა და კავშირგაბმულობის მიმართულებით ერთობლივი პროექტების განხორციელების ხელშეწყობა. ამ კონტექსტში, აღსანიშნავია, 2019 წლის ოქტომბერში, ბათუმისა და კონსტანცას ნავსადგურებს შორის საზღვაო გადაზიდვების თაობაზე შეთანხმების ხელმოწერა“ (გვ. 13).

მოხსენებითი დოკუმენტი ასევე ეხება საზღვაო ოპერაციების ერთობლივი მართვის ცენტრის (JMOC) განვითარების პროცესს. დოკუმენტის თანახმად ცენტრის განვითარების

⁵³ Standing NATO Maritime Group Two (SNMG2)

პროცესი აქტიურ ფაზაშია, რის ფარგლებშიც შემუშავდა ცენტრის საქმიანობის უზრუნველყოფისათვის აუცილებელი სტანდარტული ოპერაციული პროცედურები (SOP), ასევე დაიწყო ცენტრის მოსამსახურეთა გადამზადება, ცენტრს გადაეცა საოფისე აღჭურვილობა და კომუნიკაციის საშუალებები და აღიჭურვა საზღვაო საინფორმაციო სერვერით. დოკუმენტში წერია, რომ „საქართველო, როგორც ნატო-ს საიმედო პარტნიორი, აქტიურად არის ჩართული შავი ზღვის რეგიონში მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესში. საქართველოს მთავრობა წარმატებით ახორციელებს საზღვაო უსაფრთხოების პროექტს ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის ფარგლებში. როგორც უკვე აღინიშნა, გაიზარდა ნატო-ს მუდმივმოქმედი შენაერთების ვიზიტების ინტენსივობა საქართველოს საზღვაო სივრცეში“ (გვ. 30).

მოხსენებაში ვრცლად არის საუბარი საქართველოზე, როგორც რეგიონულ ჰაბზე და ამ ფუნქციის გასავითარებლად გატარებულ ღონისძიებებზე. დოკუმენტის მიხედვით, „2019 წლის განმავლობაში აქტიურად მიმდინარეობდა მუშაობა საქართველოს სატრანზიტო და ლოგისტიკური პოტენციალის ამაღლების კუთხით, მათ შორის, საერთაშორისო სატრანსპორტო სისტემებში ინტეგრაციისა და საქართველოზე გამავალი სატრანსპორტო მარშრუტების გაფართოების მიმართულებით“ (გვ. 63). საქართველოს მთავრობის პროგრამის თანახმად, სანავსადგურე ინფრასტრუქტურის განვითარებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რათა მოხდეს ქვეყნის სავაჭრო და სატრანზიტო პოტენციალის ათვისება და მზარდი ნაკადების მომსახურებისთვის შესაბამისი გამტარუნარიანობის უზრუნველყოფა. დოკუმენტში საქართველოს საზღვაო პორტების განვითარებაზეა საუბარი და აღნიშნულია, რომ კორპორაცია „ფოთის საზღვაო ნავსადგური“ ჩრდილოეთ გაფართოების პროექტს იწყებს და ნავსადგურის ტვირთების წლიური მოცულობა დამატებით 10 მილიონი ტონით გაიზარდება. ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის პროექტთან დაკავშირებით კი აღნიშნულია, რომ „ინვესტორმა ვერ შეასრულა აღებული ვალდებულებები, შესაბამისად, 2020 წლის 1 იანვრიდან აღნიშნული ხელშეკრულება შეწყდა. იგეგმება ინტერესთა გამოხატვის გამოცხადება ახალი ინვესტორის მოსაძიებლად, ვინაიდან ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის პროექტი წარმოადგენს ქვეყნისთვის

სტრატეგიულად მნიშვნელოვან პროექტს, როგორც ეკონომიკურ, ისე უსაფრთხოების კონტექსტში“ (გვ. 64). დოკუმენტის თანახმად, 2019 წლის ბოლოს საქართველოს, რუმინეთის, ბულგარეთისა და უკრაინის ნავსადგურებს შორის საბორნე/საკონტეინერო მიმოსვლის განვითარების შესახებ ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა დასრულდა. რომელზე დაყრდნობითაც, დაიგეგმება შემდგომი ნაბიჯები საქართველოსა და შავი ზღვის ქვეყნებს შორის საბორნე მიმოსვლის განვითარებისთვის.

დოკუმენტში ასევე საუბარია საქართველოს საზღვაო ნავსადგურების ტვირთბრუნვაზე. მოხსენების თანახმად, „საქართველოს საზღვაო ნავსადგურებში (ფოთი, ბათუმი) და საზღვაო ტერმინალებში (ყულევი, სუფსა) გადამუშავებული ტვირთების ჯამურმა მოცულობამ 2020 წლის პირველ ოთხ თვეში შეადგინა 5.9 მლნ. ტონა, რაც 2019 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 8.9%-ით მეტია. 2020 წლის იანვარ-აპრილის პერიოდში კი საქართველოს საზღვაო ნავსადგურებში (ფოთი/ბათუმი) გადამუშავებულმა კონტეინერების რაოდენობამ შეადგინა 185 655 TEU, რაც 2019 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 1.8%-ით მეტია“ (გვ. 79). ეს მონაცემები ცხადყოფს, რომ საქართველოს პორტებში ტვირთბრუნვა იზრდება, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოს მიმართ ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესი იზრდება. ამისთვის კი საჭიროა ქვეყანაში არსებული პორტების განახლება და განვითარება. ტვირთბრუნვის მაჩვენებელი გაზრდილია შავი ზღვის სხვა სანაპირო ქვეყნებშიც, რაც ცხადყოფს, რომ შავი ზღვის რეგიონის მიმართ ინტერესი იზრდება. (იხ. დანართი 4).

საქართველო, როგორც რეგიონული ჰაბი, მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს ენერგომატარებლების ტრანზიტის კუთხით და ამ მხრივ, შავი ზღვის აუზი მნიშვნელოვან როლს ასრულებს. სამთავრობო პროგრამის შესრულების მოხსენებაში საუბარია საქართველოს გავლით ენერგოდერეფნების განვითარებისა და ევროპულ ბაზრებზე პირდაპირი წვდომის განვითარებისთვის გატარებულ პოლიტიკაზე. დოკუმენტის თანახმად, „აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა შავი ზღვის ელექტროგადამცემი წყალქვეშა კაბელის პროექტთან დაკავშირებით, რომლის განხორციელების შემთხვევაში,

საქართველოს ექნება ფიზიკური კავშირიც ევროკავშირის ენერგეტიკულ სივრცესთან“ (2019-2020 წლების სამთავრობო პროგრამის შესრულების შესახებ მოხსენება, გვ. 65).

სახელმწიფო დოკუმენტები ქვეყნის პოლიტიკას განსაზღვრავენ და ასახავენ იმ პრიორიტეტებს, რომელიც ქვეყნის განვითარებისთვის და უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ჩვენს მიერ განხილულ სახელმწიფო დოკუმენტებში არაერთხელ არის ნახსენები შავი ზღვა, რაც ცხადყოფს, რომ შავი ზღვის რეგიონის მიმართ ქვეყნის ინტერესი იზრდება. დოკუმენტებში აშკარად ჩანს, რომ სახელმწიფო სტრუქტურები უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ შავი ზღვის რეგიონს. სახელმწიფო დოკუმენტებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ საქართველო შავი ზღვის რეგიონს უყურებს, როგორც ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესების დაკმაყოფილების და უსაფრთხოების უზრუნველყოფის სივრცეს.

თუმცა, ერთია ქალაქზე დაწერილი და გაცხადებული ხედვები და მეორეა პრაქტიკაში განხორციელებული პოლიტიკა. ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებები და გატარებული პოლიტიკა ცხადყოფს, რომ შავი ზღვის მიმართ ინტერესი გაიზარდა და მეტი დრო ეთმობა შავი ზღვის პოლიტიკის დახვეწასა და განხორციელებას. მაგალითად, საქართველოს პრემიერმინისტრი, პრეზიდენტი, მთავრობის წევრები თუ სხვა მაღალი თანამდებობის პირები სულ უფრო ხშირად ლაპარაკობენ შავ ზღვასა და მის მნიშვნელობაზე, რაც მიუთითებს იმაზე, რომ რეგიონის მიმართ ქვეყნის ინტერესი გაიზარდა. მაგალითად, 2019 წელს საქართველოს ზღვისპირა ქალაქ ბათუმში თავდაცვისა და უსაფრთხოების მე-13 კონფერენციაზე საქართველოს პრეზიდენტმა განაცხადა, რომ საქართველოს აქვს პოტენციური ევროპასა და აზიას შორის ჰაბის როლი შეასრულოს, რადგან ინფრასტრუქტურის, სატრანსპორტო და საკომუნიკაციო პროექტები უფრო და უფრო პირდაპირ აკავშირებს საქართველოს ევროკავშირთან. აქედან გამომდინარე, შავი ზღვა საქართველოსთვის როგორც მომავალი ეკონომიკური განვითარების პოტენციალს, ისე უსაფრთხოების გამოწვევას წარმოადგენს. „შავი ზღვით და მის გარშემო ეკონომიკურ თანამშრომლობას თან უნდა ერთოდეს უსაფრთხოების გაცნობიერება და სტრატეგიული და

თავდაცვითი თანამშრომლობა, რათა ავიცილოთ ყველანაირი ინციდენტი ან ესკალაცია, როგორც აზოვის ზღვაში ვნახეთ“ - განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა (საქართველოს პრეზიდენტის ვებ-გვერდი, 2019). შავი ზღვის მნიშვნელობაზე აქტიურად ლაპარაკობს საქართველოს პრემიერმინისტრიც. გიორგი გახარიამ დავოსში, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმზე განაცხადა, რომ შავი ზღვის უსაფრთხოება საქართველოსთვის ახალი განზომილებაა და ეს რეგიონი უპირველესი პრიორიტეტია არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ ჩრდილოატლანტიკური ალიანსისთვისაც. ევროპასა და საქართველოს შორის სამომავლო ურთიერთობებზე საუბრისას, პრემიერ-მინისტრმა ყურადღება გაამახვილა როლზე, რომლის შესრულება საქართველოს უსაფრთხოების კუთხით შეუძლია: „ყირიმის შემდეგ, გვესმის რამდენად მნიშვნელოვანია შავი ზღვის რეგიონში უსაფრთხოების საკითხი. მეორე მხრივ, როდესაც საუბარია ეკონომიკაზე, მეტი თანამშრომლობა გვჭირდება ევროკავშირთან და ამიტომ მეტი აქცენტი უნდა გავაკეთოთ დაკავშირებადობაზე... ეს არის ჩვენი მიზანი მომდევნო წლების განმავლობაში და მას შავ ზღვაზე დაკავშირებადობის გაზრდის საშუალებით მოვახერხებთ“ - განაცხადა პრემიერმინისტრმა საერთაშორისო საზოგადოების წინაშე (რადიო თავისუფლება, 2020). 2020 წლის 29 ივნისს საქართველოს პრემიერმა მეზღვაურებს სიტყვით მიმართა და აღნიშნა, რომ შავი ზღვა საქართველოს მომავალია და დიდ როლს ასრულებს სტრატეგიულ პარტნიორებთან ურთიერთობაში. გიორგი გახარიას განცხადებით, საქართველო ვერაფერს მიაღწევს ქვეყნის ძირითადი ფუნქციის - ლოგისტიკური ჰაბის - წარმატებით განხორციელებაში, თუ საზღვაო ინფრასტრუქტურა არ იქნება მძლავრი და განვითარებული. “ეკონომიკურად, პოლიტიკურად, ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორებთან ურთიერთობისთვის, შავი ზღვა არის საქართველოს კარიბჭე და შავი ზღვა არის საქართველოს მომავალი“, - განაცხადა პრემიერმინისტრმა. (ITV, 2020)

2020 წელს შავი ზღვის უსაფრთხოების პოლიტიკა აქტიური განხილვის საგანია ორმხრივი თანამშრომლობისას. საქართველოსა და საფრანგეთის პრეზიდენტებს შორის სატელეფონო კავშირისას საუბარი შეეხო ევროპისათვის შავი ზღვის სტრატეგიულ მნიშვნელობას ტრანსპორტირების, საკაბელო სისტემების (კავშირგაბმულობის) და

უსაფრთხოების თვალსაზრისით (imedinevs, 2020). სატელეფონო საუბრისას შავი ზღვის უსაფრთხოების პოლიტიკა განიხილეს საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა და ნატო-ს გენერალურმა მდივანმა, იენს სტოლტენბერგმაც. „საქართველოს პრეზიდენტის განცხადებით, საქართველო ნატო-სთან ორი ძირითადი პრიორიტეტული მიმართულებით თანამშრომლობს - შავი ზღვის უსაფრთხოება, რომელიც მნიშვნელოვანია, არა მხოლოდ საქართველოსათვის, არამედ ნატო-სა და ევროკავშირისთვისაც და კიბერუსაფრთხოება. სტოლტენბერგის განცხადებით, შავი ზღვის უსაფრთხოებისათვის მხარეებმა უფრო მეტი ინფორმაცია უნდა გაუზიარონ ერთმანეთს და კოორდინაციის პანდემიის დასრულების შემდეგ, უფრო მეტი გეგმა უნდა განახორციელონ“ (Imedinevs, 2020). საქართველოსა და ევროკავშირს შორის სატრანსპორტო და საკომუნიკაციო კავშირების გააქტიურების კუთხით შავი ზღვის როლზე და მნიშვნელობაზე ისაუბრეს საქართველოს პრემიერმინისტრმა გიორგი გახარიამ და ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა შარლ მიშელმა (ITV, 2020). ასევე, მიუნხენის უსაფრთხოების რიგით 56-ე კონფერენციის ფარგლებში საქართველოს პრემიერმინისტრის გიორგი გახარისა და რუმინეთის პრემიერმინისტრის, ლუდოვიკ ორბანის შეხვედრაზე აქტიურად განიხილეს შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხი და აღნიშნა, რომ მხარეები პრიორიტეტულად მიიჩნევენ შავი ზღვის რეგიონში ქვეყნებს შორის დაკავშირებადობის გაუმჯობესებას (Interpressnews, 2020). ეს მხოლოდ მცირე მაგალითია იმისა, თუ როგორი აქტუალურია შავი ზღვის პოლიტიკა მხარეთა ურთიერთობისას.

განცხადებების პარალელურად, საქართველო ასევე აქტიურად ჩაერთო შავ ზღვაში ნატო-ს მიერ უსაფრთხოების პოლიტიკის განხორციელებასა და სამხედრო წვრთნებში. ჯერ კიდევ 2017 წელს ნატო-ს სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარემ, გენერალმა პეტრ პაველმა განაცხადა, რომ საქართველო შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების საკითხში იქნება არა მხოლოდ მონაწილე, არამედ უსაფრთხოების უზრუნველმყოფი და რომ საქართველო თავის წვლილს შეიტანს მთელი რეგიონის უსაფრთხოების შენებაში, ამიტომ საქართველო ნამდვილად არის მოთამაშე (Interpressnews, 2017). მართლაც, ამკარად შეინიშნება, რომ საქართველო უფრო აქტიურად არის ჩართული შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების

უზრუნველყოფაში, რასაც ცხადყოფს თუნდაც ის ფაქტი, რომ საქართველო სულ უფრო აქტიურ მონაწილეობას იღებს შავი ზღვის აუზში ჩატარებულ სამხედრო წვრთნებში. საქართველოს პრემიერმინისტრის მამუკა ბახტაძის მიერ 2019 წელს პარლამენტისთვის წარდგენილ მოხსენებაში ნათქვამია, რომ საქართველომ საკანონმდებლო პროექტი შეიმუშავა, რომელიც ნატო-ს მუდმივმოქმედი საზღვაო შენაერთების, ასევე ნატო-ს ოპერატიულ დაქვემდებარებაში მყოფი ხომალდებისთვის საქართველოს ტერიტორიულ წყლებსა და პორტებში შემოსვლის დიპლომატიური ნებართვებს გაამარტივებს. პრემიერის მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ალიანსის მუდმივმოქმედი საზღვაო შენაერთების საპორტო ვიზიტების ინტენსივობა საქართველოს ტერიტორიულ წყლებში გაიზარდა. ხოლო, თავის მხრივ, საქართველო მზადაა, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს შავი ზღვის აუზის რეგიონის მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებში. ეს ინიციატივები პრაქტიკაშიც აქტიურად ხორციელდება. “2019 წლის აპრილის თვეში საპორტო ვიზიტი ნატო-ს მუდმივმოქმედმა მეორე საზღვაო შენაერთმა განახორციელა. სწავლებებში მონაწილეობდნენ აშშ-ის მიერ საქართველოს შსს-ს გადმოცემული აილენდის კლასის 2 ხომალდი – „დიოსკურია“ და „ოჩამჩირე“, ასევე, ნატო-ს მუდმივმოქმედი მეორე საზღვაო შენაერთის ნიდერლანდების სამეფოს, თურქეთის, ბულგარეთის და რუმინეთის 4 ხომალდი”, – ნათქვამია პრემიერის მოხსენებაში (Netgazeti, 2019).

მხოლოდ 2020 წელს საქართველოს შავი ზღვის პორტებში ნატო-ს და პარტნიორი ქვეყნების სამხედრო ხომალდები რამდენჯერმე შემოვიდნენ. 11 აპრილს შავ ზღვაში ერთობლივი საზღვაო წვრთნები ჩაატარეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვისა და ნატო-ს სამხედრო ხომალდებმა. სწავლება ნატო-ს მუდმივმოქმედი მეორე საზღვაო შენაერთის (SNMG2) საპორტო ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა. ერთობლივ საზღვაო მანევრებში მონაწილეობდა შსს-ს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის აილენდის კლასის 2 ხომალდი - "დიოსკურია" და "ოჩამჩირე" და ნატო-ს მუდმივმოქმედი მეორე საზღვაო შენაერთის 5

ხომალდი⁵⁴. წვრთნების მიზანი იყო ნატო-სა და საქართველოს სანაპირო დაცვის ხომალდების ურთიერთმოქმედებისა და ურთიერთთავსებადობის დონის ამაღლება (შსს, 2020). რამდენიმე თვეში, 23 ივნისს, ბათუმის პორტში აშშ-ის საზღვაო ხომალდი „პორტერი“ (USS Potrer) შევიდა. „სიხარულით მივესალმებით აშშ-ის საზღვაო ხომალდ „პორტერს“ შავ ზღვასა და ბათუმის ულამაზეს პორტში, სადაც უკვე მესამედ შემოდის. ვიზიტის მიზანი საზღვაო უსაფრთხოების ოპერაციებისა და რეგიონული საზღვაო სტაბილურობის გასამდიერებლად ჩვენს ნატო-ს წევრ და მოკავშირე ქვეყნებთან ერთად ერთობლივი მზაობისა და საზღვაო შესამდლებლობების განვითარებაა“, – განაცხადეს აშშ-ის საელჩოში (1TV, 2020). საქართველოში ნატო-ს და პარტნიორი გემების შემოსვლას დადებითად შეაფასა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა. დავით ზალკალიანის თქმით, საქართველო მიესალმება საზღვაო შენაერთს და მზადაა მჭიდროდ ითანამშრომლოს შავი ზღვის რეგიონში უსაფრთხოების განმტკიცების მიმართულებით. „ერთობლივი წვრთნები საქართველოსა და ნატო-ს საზღვაო ძალების ურთიერთთავსებადობის გაზრდასა და ნატო-სთან თანამშრომლობის გაღრმავებას ემსახურება“, – განაცხადა დავით ზალკალიანმა (Interpressnews, 2020). საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავჯდომარე ირაკლი ბერაიას განცხადებით, ნატო-ს მუდმივმოქმედი მეორე საზღვაო შენაერთის 5 სამხედრო ხომალდის და საქართველოს სანაპირო დაცვის მცურავი საშუალებები ერთობლივ წვრთნები საქართველოსა და ალიანსს შორის წარმატებული პრაქტიკული თანამშრომლობის მაგალითია. დეპუტატის თქმით, ნატო-ს ხომალდების ვიზიტები ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ შავი ზღვის უსაფრთხოება წარმოუდგენელია საქართველოს ჩართულობის გარეშე. როგორც პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავჯდომარემ აღნიშნა, ერთობლივი წვრთნები საქართველოსა და ნატო-ს საზღვაო ძალების ურთიერთთავსებადობის გაზრდას და ჩვენი ქვეყნის თავცადვისუნარიანობის ამაღლებას ემსახურება (Interpresnews, 2020). საქართველო

⁵⁴ ITS VIRGINIO FASAN (იტალია), HMCS FREDERICTON (კანადა), ROS REGINA MARIA (რუმინეთი) და BGS VERNI (ბულგარეთი) და TCG SALIHREIS (თურქეთი)

აგრძელებს პარტნიორებთან ერთად სამხედრო წვრთნებში მონაწილეობას და აქტიურად არის ჩართული შავი ზღვის რეგიონის კოლექტიური უსაფრთხოების უზრუნველყოფაში.

უსაფრთხოების განმტკიცებასთან ერთად, საქართველო მონაწილეობს შავი ზღვის რეგიონში ეკონომიკური საქმიანობის განვითარებაში. საქართველო აქტიურად ცდილობს შეასრულოს როგორც რეგიონის ეკონომიკური ჰაზის, ისე სატრანზიტო ქვეყნის როლი. საქართველოს ხელისუფლება ცდილობს მოიზიდოს დასავლური ინვესტიციები და გაზარდოს ეკონომიკური საქმიანობა შავი ზღვის რეგიონში. მაგალითად, ამ ეტაპზე, საქართველო ერთადერთი ქვეყანაა შავი ზღვის აუზში, სადაც ნახშირწყალბადების ძებნა-ძიება არ მიმდინარეობს თუმცა, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინფორმაციით, 2020 წლის 22 ივნისს ევროპის ერთ-ერთი უმსხვილესი ნავთობმოპოვებელი გაერთიანება OMV Group-ში შემავალმა კომპანია OMP Petrom-მა საქართველოს ტერიტორიულ წყლებში, შავი ზღვის შელფზე ნავთობისა და გაზის ძიება-მოპოვების გენერალური ლიცენზია მოიპოვა (Interpressnews, 2020). ანალიტიკურმა პორტალ S&P Global Platts-ში გამოქვეყნებულ ინფორმაციაში აღნიშნულია, რომ OMP Petrom-მა მოიპოვა შავი ზღვის II ბლოკზე ლიცენზია, რომელიც 5,282 კვადრატულ კილომეტრს მოიცავს. „საქართველოში იმედოვნებენ, რომ გაიმეორებენ რუმინეთის წარმატებას შავ ზღვაში გაზის საბადოების კვლევის მიმართულებით და გაზრდიან გაზის მოპოვებას, რათა შემცირდეს იმპორტზე დამოკიდებულება“, - ნათქვამია S&P Global Platts-ის სტატიაში (Elliott, 2020). უმსხვილესი ავსტრიული ენერგეტიკული ჰოლდინგის წევრი კომპანიის ტენდერში გამარჯვებას საქართველოში ავსტრიის ელჩი გამოეხმაურა: "OMV Petrom გამარჯვებულია საქართველოს შავი ზღვის შელფზე ნავთობისა და გაზის ძიებისა და მოპოვების ტენდერში. ეს არის მნიშვნელოვანი ნაბიჯი საქართველოში ინვესტიციების ზრდისა და დივერსიფიკაციისკენ," - აღნიშნა ავსტრიის ელჩმა არად ბენკომ (Rustavi2, 2020). ეს ნათელი მაგალითია იმისა, რომ საქართველო მუშაობს დასავლურ მსხვილ კომპანიებთან, რათ მოიზიდოს ინვესტიციები და ჩაერთოს შავი ზღვის რეგიონში მიმდინარე ეკონომიკურ საქმიანობაში. მსხვილი ინვესტიციები კი განავითარებს რეგიონს და დასავლეთის მეტ ყურადღებას მიიპყრობს, რათა უზრუნველყოს რეგიონის უსაფრთხოება.

მეოთხე თავი: შავი ზღვის რეგიონის გეოპოლიტიკური

მნიშვნელობის ინდიკატორები - მიგნებები

ნაშრომში განვიხილეთ შავი ზღვის რეგიონში მოქმედი აქტორების ინტერესები, ქმედებები, სტრატეგიები და შესაძლებლობები. ეროვნული და საერთაშორისო დონის ოფიციალური დოკუმენტების შესწავლისას გამოიკვეთა შავი ზღვის რეგიონის როლი სანაპირო ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების უსაფრთხოებაში. რეგიონში მიმდინარე დინამიკამ წარმოაჩინა უსაფრთხოების გარემო და ძალთა ბალანსის თანაფარდობა. შავი ზღვის რეგიონში არსებული პოლიტიკური, სამხედრო თუ ეკონომიკური ვითარების შესწავლისა და ანალიზისას რამდენიმე გარემოება გამოვლინდა:

შავი ზღვა საერთაშორისო პოლიტიკურ სისტემაში - 2014 წელს რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიის შემდეგ, შავი ზღვის რეგიონში ძალთა ბალანსი მნიშვნელოვნად შეიცვალა. რუსეთის აგრესიულმა ქმედებებმა და ყირიმის ნახევარკუნძულის ოკუპაციამ უსაფრთხოების გარემო გააუარესა. ყირიმში განთავსებულმა სარაკეტო სისტემებმა რუსეთს შესაძლებლობა მისცა შავ ზღვაზე სრული კონტროლი დაემყარებინა და ე.წ. „რუსეთის ტბად“ ექცია. შესაბამისად გაიზარდა რეგიონის მიმართ ევროკავშირისა და ნატო-ს ინტერესი. სანაპირო ქვეყნებმა გადახედეს საკუთარ თავდაცვის პოლიტიკას და თავდაცვის ძალების მოდერნიზაციაზე დაიწყეს მუშაობა. შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების საკითხზე აქტიური მსჯელობა დაიწყო პოლიტიკურ, სამხედრო და საექსპერტო წრეებში.

ევროკავშირის ინტერესები შავი ზღვის რეგიონში - მას შემდეგ, რაც რუმინეთი და ბულგარეთი ევროკავშირში გაწევრიანდნენ, ევროპა იზიარებს საზღვრებს შავ ზღვასთან და მას საკუთარ ზღვად მიიჩნევს, ამიტომ შავი ზღვის რეგიონში უსაფრთხოების

გაუარესებული გარემო ევროკავშირისთვის საფრთხეებისა და ახალი გამოწვევების წყაროა. ევროკავშირს არაერთი მცდელობა ჰქონდა შავი ზღვის რეგიონში ჩამოეყალიბებინა ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციები და გაემყარებინა ეკონომიკური კავშირები შავი ზღვის წევრ სახელმწიფოებთან, თუმცა რუსეთის დესტრუქციული ქმედებები და მილიტარიზებული გარემო ხელის შემშლელი ფაქტორია. რუსეთი აქტიურად ცდილობს ჩაშალოს როგორც ეკონომიკური ინიციატივები, ისე ქვეყნებს შორის ორმხრივი თანამშრომლობის მცდელობები. მიუხედავად ამისა, ევროკავშირი არაერთ პროექტსა თუ ინიციატივას ახორციელებს რეგიონში და ცდილობს ერთიანი ეკონომიკური გარემო შექმნას. შავ ზღვაზე არაერთი მილსადენი და ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელია გადებული, რაც შავ ზღვას ევროკავშირისთვის სტრატეგიულ მნიშვნელობას ანიჭებს, შესაბამისად შავ ზღვაზე უსაფრთხო გარემო ევროპისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ევროკავშირს არ გააჩნია თავდაცვის მძლავრი ინსტრუმენტები, რათა რუსეთს შესაბამისი წინააღმდეგობა გაუწიოს, ამიტომ ნატო რჩება ერთადერთ თავდაცვით ბერკეტად და უსაფრთხოების უზრუნველყოფელად რეგიონში.

ნატო-ს ინტერესები და ქმედებები შავი ზღვის რეგიონში - შავი ზღვა ნატო-ს ზღვაა, რადგან რეგიონის სამი ქვეყანა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრია, ორი კი - პარტნიორ. რუსეთის აგრესიული ქმედებებისა და შავ ზღვაზე პოზიციების გამყარების შემდეგ, ნატო-მ შავი ზღვის მიმართ ინტერესი გაზარდა და ალიანსის პოლიტიკურ დღის წესრიგში ამ რეგიონს მეტი ყურადღება დაეთმო. ეს კარგად ჩანს როგორც ნატო-ს ოფიციალურ დოკუმენტებში თუ მაღალი თანამდებობის პირთა განცხადებებიდან, ისე შავი ზღვის აუზში ნატო-ს აქტივობის ზრდით. თუმცა, ალიანსს არ აქვს შავ ზღვაზე თავისუფლად მოქმედების შესაძლებლობა, რადგან მონტროს კონვენცია ზღუდავს შავი ზღვის არაწევრი სახელმწიფო გემებისთვის 21 დღეზე მეტ ხანს ყოფნას. მიუხედავად ამისა, ნატო-ს პოზიციები სუსტი არ არის და ის შავ ზღვაში რეგულარულად ახორციელებს წვრთნებს წევრ და პარტნიორ ქვეყნებთან ერთად. ნატო როტაციული წესით პატრულირებს შავი ზღვის აუზში და აკონტროლებს უსაფრთხოების გარემოს რეგიონში. ჩრდილოატლანტიკური ალიანსი

აქტიურად მუშაობს ახალი ინიციატივებსა თუ შესაძლებლობებზე, რათა გააძლიეროს მისი წარმომადგენლობა შავი ზღვის რეგიონში და უზრუნველყოს პარტნიორი ქვეყნების - საქართველოსა და უკრაინის - სამხედრო გაძლიერება, ნატო-ს სტანდარტებთან დაახლოება და უსაფრთხოება.

რუსეთი, როგორც შავი ზღვის ჰეგემონი - რუსეთისთვის შავი ზღვა სტრატეგიული მნიშვნელობისაა, რადგან ერთადერთი თბილი ზღვაა და სჭირდება ის მსოფლიო ოკეანეებზე გასასვლელად. რუსეთი შავი ზღვიდან საკუთარ ძალებს ხმელთაშუაზღვისპირეთში, აფრიკასა და ახლო აღმოსავლეთში - ლიბიასა და სირიაში - უშვებს. რუსეთი შავ ზღვას ამ კუთხით ერთგვარ სამხედრო-ლოგისტიკურ ჰაბადაც იყენებს. ამასთან, შავ ზღვაზე კონტროლით, რუსეთი სამხრეთიდან სამხედრო შეტევებს ზღუდავს. რუსეთმა ყირიმის ნახევარკუნძულზე სარაკეტო სისტემების დაყენებით, რომელიც რუსეთს შესაძლებლობას აძლევს ჩაძიროს თითქმის ყველა მცურავი საშუალება შავ ზღვაზე, სტრატეგიული უპირატესობა მოიპოვა და გააძლიერა შავი ზღვის ფლოტი. რუსეთი ცდილობს შეასუსტოს ნატო-სა და აშშ-ის პოზიციები შავ ზღვაზე და აქტიურად მუშაობს რათა შეაფერხოს საქართველოსა და უკრაინის ევროატლანტიკური ინტეგრაცია. გარდა ამისა, რუსეთი ცდილობს ხელი შეუშალოს შავ ზღვაზე წამოწყებულ ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ ინიციატივებს.

თურქეთი, როგორც შავი ზღვის კარიბჭე - მნიშვნელოვან ყურადღებას იქცევს თურქეთის პოლიტიკა შავი ზღვის მიმართ. აღსანიშნავია, რომ მონტროს კონვენცია თურქეთს მნიშვნელოვან პრივილეგიებს ანიჭებს და ის შავი ზღვის ერთგვარი ცერბერია⁵⁵, რომელიც აკონტროლებს ზღვაზე შესასვლელ და გასასვლელ სრუტეებს. ყურადსაღები და საფრთხის შემცველია თურქეთის მერყევი პოლიტიკა და პოზიციის ცვალებადობა. დასავლეთი თურქეთს ვედარ ეყრდნობა, როგორც 1936 წელს, როდესაც მონტროს კონვენციით თურქეთს

⁵⁵ მიწისქვეშა სამყაროს (ჰადესის) კარების მცველი ბერძნულ მითოლოგიაში

მიენიჭა უფლება ეკონტროლებინა შავი ზღვა საბჭოთა კავშირიდან მომდინარე საფრთხეების აღსაკვეთად. დღეს კი რისკის შემცველია მონტროს ხელშეკრულებით მინიჭებული ექსკლუზიური უფლებები, რადგან ცვალებადი ხასიათის გამო, არავინ იცის, როგორ გამოიყენებს თურქეთი ამ უფლებებს. მიუხედავად პოლიტიკოსების თუ ექსპერტების ფრთხილი დამოკიდებულებისა, საჭიროა დაიწყოს საუბარი მონტროს კონვენციის გადახედვაზე.

სანაპირო ქვეყნების მეტი ყურადღება შავი ზღვის უსაფრთხოებას - შავი ზღვის რეგიონში შეცვლილი ძალთა ბალანსის შემდეგ, შავი ზღვის სანაპირო ქვეყნებმა მეტი ყურადღება მიაქციეს შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხებს და დაიწყეს საზღვაო-სამხედრო ინფრასტრუქტურისა და შესაძლებლობების განვითარება. შავი ზღვის საკითხი გააქტიურდა პოლიტიკური განცხადებებისა თუ ორმხრივი დიპლომატიის დროს. შავი ზღვით დაინტერესება და რეგიონის უსაფრთხოებაზე მეტი ზრუნვა კარგად ჩანს სახელმწიფო დოკუმენტებიდანაც. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ შავი ზღვის ექვსივე ქვეყანამ დაიწყო მუშაობა საზღვაო ძალების მოდერნიზაციაზე და გაზრდაზე. კვლევების მიხედვით, სამხედრო-საზღვაო ძალებით ყველაზე სუსტი ქვეყანა საქართველოა, რომელსაც სამხედრო ხომალდები და ზოგადად, სამხედრო-საზღვაო ძალები არ ჰყავს და ის შემოიფარგლება მხოლოდ სასაზღვრო პოლიციის ხომალდებით. თუმცა, საქართველო, ისევე როგორც ნატოს სხვა პარტნიორი ქვეყნები, აქტიურად მონაწილეობს ალიანსის სამხედრო წვრთნებსა და ოპერაციებში. სამხედრო პოლიტიკის პარალელურად, პარტნიორი ქვეყნები აქტიურად მუშაობენ ეკონომიკური კავშირების განვითარებაზე. აქტიური მუშაობა მიმდინარეობს ნავთობ და ელექტრო სადენების ახალი გზების გამოსაძებნად და არსებულის დასაცავად. მკვლევარები კი მიიჩნევენ, რომ ეკონომიკური კავშირები და დასავლური ინვესტიციების შავ ზღვაზე შემოსვლა უსაფრთხოების გარანტია, რადგან დასავლეთი საკუთარ ინვესტიციებსა და ინტერესებს უფრო აქტიურად დაიცავს.

შავი ზღვა, როგორც საქართველოს რეგიონული უსაფრთხოება - საქართველო შავი ზღვის აუზის ყველაზე პატარა და სუსტი სახელმწიფოა. ის დღემდე განიცდის რუსეთის მხრიდან აგრესიას და ზეწოლას. ოფიციალური მოსკოვი აქტიურად მუშაობს, რათა ხელი შეუშალოს საქართველოს ევროატლანტიკურ ინტეგრაციას. თუმცა, საქართველო მისწრაფვის და ცდილობს სახელმწიფო ინსტიტუტები ევროპულ სტანდარტებს დაუახლოვოს, ხოლო თავდაცვითი სისტემები ნატო-ს სტანდარტებთან თავსებადობაში მოიყვანოს. საქართველოს დღესდღეობით ყველაზე სუსტი საზღვაო ძალები ჰყავს, მაგრამ ის აქტიურ მონაწილეობას იღებს ნატო-ს წვრთნებსა და ოპერაციებში. საქართველოს საზღვაო ქალაქები ხშირად მასპინძლობენ ნატო-ს წევრი და პარტნიორი ქვეყნების გემებს. ასევე, პარტნიორებთან ერთად ხშირად ტარდება სამხედრო სწავლებები საქართველოს ტერიტორიაზე, რაც ზრდის საქართველოს თავდაცვით შესაძლებლობებს და ამზადებს ქვეყანას ახალ, მოსალოდნელ, აგრესიასთან გასამკლავებლად. საქართველოს სახელმწიფო დოკუმენტებში, მათ შორის კონსტიტუციაში, ცალსახად აღნიშნულია, რომ ქვეყნის პრიორიტეტია ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია. საქართველოსთვის ასევე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია დასავლეთთან ეკონომიკური თუ პოლიტიკური კავშირების გაღრმავება და განმტკიცება. ასევე, საქართველოს ენერგეტიკული პოტენციალის ზრდა დადებით გავლენას ახდენს ქვეყნის უსაფრთხოებასა და ეკონომიკურ განვითარებაზე. საქართველოზე გამავალი ნავთობსადენები ქვეყნისთვის სტაბილურობის განმტკიცების გარანტია და რეგიონის უსაფრთხოებას უწყობს ხელს. საქართველო აქტიურად ასრულებს სატრანზიტო ქვეყნის ფუნქციას და რეგიონში ქმნის ერთგვარ ეკონომიკურ დამაკავშირებელ ჰაბს. თუმცა, კვლევისას გამოიკვეთა, რომ საქართველოში საზღვაო ტვირთბრუნვა ყველაზე დაბალი მოცულობისაა, რაც მიუთითებს იმაზე, რომ აუცილებელია ეკონომიკური კავშირების მეტად განვითარება და ახალი ინვესტიციების მოზიდვა. მკვლევარები მიიჩნევენ, რომ საქართველოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საზღვაო პორტების განვითარება და დახვეწა. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება აქტიურად მუშაობს ფოთის პორტის განვითარებაზე, მნიშვნელოვანია ქვეყანას ქონდეს ალტერნატიული ღრმაწყლოვანი პორტები, რომლებიც დამატებით მიიღებენ დიდი წყალრწყვის გემებს. ეს ქვეყანას

დაეხმარება ეკონომიკური კავშირების განმტკიცებაში და ასევე, შესაძლებლობას მისცემს დიდ სამხედრო გემებს უმასპინძლოს, რაც უსაფრთხოების უპირობო გარანტია. კვლევისას ცალსახად გამოიკვეთა, რომ შავი ზღვის მიმართ საქართველოს ინტერესი მზარდია. საქართველო მეტ ყურადღებას უთმობს შავი ზღვის რეგიონში მიმდინარე პროცესებს და აქტიურად ცდილობს მონაწილეობა მიიღოს რეგიონის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში.

ინიციატივები და რეკომენდაციები

შავი ზღვის რეგიონში უსაფრთხოების გარემოს გაუარესებამ სანაპირო ქვეყნების, საერთაშორისო აქტორების, პოლიტიკოსებისა თუ ექსპერტების ინტერესი და ჩართულობა გაზარდა შავი ზღვის რეგიონში მიმდინარე პროცესებში. შემუშავდა ახალი ინიციატივები და რეკომენდაციები. დაინტერესებული მხარეები ეძებენ ახალ გზებსა და საშუალებებს რათა უზრუნველყონ რეგიონში უსაფრთხო გარემო და საკუთარი ინტერესების დაცვა. ამ მიმართულებით აქტიურობენ როგორც ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის, ისე ევროკავშირის თუ სამხედრო და საექსპერტო წრეების წარმომადგენლები. მაგალითად, 2020 წლისთვის ნატო-მ საქართველოს მხარდასაჭერად ახალი პაკეტი შეიმუშავა. გადაწყვეტილება ალიანსის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებმა უკვე მიიღეს. მხარდამჭერი პაკეტი 4 ნაბიჯს მოიცავს:

1. „ჰიბრიდული თავდაცვა“ – ეს ნაბიჯი ეხება დეზინფორმაციის, კიბერთავდასხმების, შენიღბული სადაზვერვო ან სამხედრო აქტივობების, ენერგეტიკულ ბლოკადის ან სხვა იმ ხერხებისგან და საშუალებებისგან თავდაცვას, რომელსაც რუსეთი სხვა ქვეყნების წინააღმდეგ იყენებს;
2. „საჰაერო სივრცის უსაფრთხოების პროგრამა“ - ამ ნაბიჯის საშუალებით საქართველო შეძლებს უკეთესად აღიქვას რა ხდება მის საჰაერო სივრცეში. ამ ნაბიჯის განხორციელების შემდეგ საქართველოს ექნება საჰაერო სივრცის გაუმჯობესებული სურათი;

3. ქართველებისა და უკრაინელების უფრო მეტი ჩართულობა ერთობლივ სწავლებებში - ეს ნაბიჯი კიდევ უფრო მეტად განავითარებს „თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლასა“ და „ნატო-საქართველოს წვრთნისა და შეფასების ერთობლივი ცენტრს“. ეს ნაბიჯი დაახლოებს ქართველ და უკრაინელ სამხედროებს და მოამზადებს მათ უფრო მეტად იყვნენ ინტეგრირებულები ერთიან სწავლებებსა თუ ოპერაციებში;
4. საქართველოს უფრო მეტი ჩართულობა სამხედრო სწავლებებში - ეს საქართველოს მისცემს საშუალებას უფრო მეტი მონაწილეობა მიიღოს რეგიონალურ სწავლებებსა და წვრთნებში;

კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ნატო-ს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი, ჯეიმს აპატურაი აცხადებს, რომ ამ პაკეტის შემუშავების ერთ-ერთი მიზეზია შავი ზღვის რეგიონში უსაფრთხოების სიტუაციის გაუარესება. „ეს სიტუაცია გაუარესდა საქართველოსთვის, უკრაინისთვის და ნატო-ს წევრებისთვისაც. ამის მიზეზი არის რუსეთის აგრესიული ქმედებები საქართველოში, უკრაინაში და ყირიმის ნახევარკუნძულზე. რუსეთმა ყირიმი გამოიყენა შავ ზღვაში სამხედრო ძალის გასაზრდელად. ეს ახდენს გავლენას როგორც ჩვენზე, ისე საქართველოზე და უკრაინაზეც“, – აღნიშნავს ჯეიმს აპატურაი (ITV, 2020).

შავ ზღვაზე ნატოს წარმომადგენლობის ზრდის 4 გზას გვთავაზობს Heritage Foundation-ის დუგლასისა და სარა ელისონების სახელობის საგარეო პოლიტიკის ცენტრის დირექტორი ლუკ კოფიც:

1. შეიქმნას შავი ზღვის საზღვაო პატრულირების მისია - რომელიც იქნება ბალტიის საჰაერო პატრულირების მისიის⁵⁶ მოდელზე დამყარებული. ამ მისიის მიხედვითაც შავი ზღვის არაწევრი სახელმწიფოები რეგულარულად და როტაციული წესით

⁵⁶ ბალტიის საჰაერო პატრულირების მისია 2004 წლიდან მოქმედებს და იცავს ბალტიის სამი ქვეყნის - ლიეტუვა, ლატვია, ესტონეთის - საჰაერო სივრცეს. მისიის ფარგლებში ალიანსის წევრი სახელმწიფოები გზავნიან რეაქტიულ თვითმფრინავებს ამ სამი ქვეყნის, რომლებსაც არ აქვთ საკუთარი რეაქტიული თვითმფრინავები, საჰაერო სივრცეში პატრულირებისთვის - https://www.nato.int/cps/en/natohq/news_175306.htm?selectedLocale=en

იქნებიან წარმოდგენილნი და განახორციელებენ პატრულირებას შავ ზღვაზე. ლუკ კოფის აზრით, ეს იქნება ყველაზე სწრაფი და ეფექტური გზა, რომ გაიზარდოს ნატოს ყოფნა შავ ზღვაში.

2. გერმანიის დუნაის მოდელი - 1948 წლის კონვენციის 30-ე მუხლის თანახმად, დუნაის სანავიგაციო რეჟიმის შესახებ, მხოლოდ დუნაის ქვეყნებს შეუძლიათ მდინარე დუნაის წყლებში სამხედრო ფლოტით ოპერირება. თუ დუნაის რომელიმე ქვეყანას მოუნდება, რომ შევიდეს მდინარის, მისი იურისდიქციის გარეთ მდებარე, რომელიმე მონაკვეთში, მაშინ მან ჯერ შესაბამისი სახელმწიფოსგან უნდა მიიღოს ნებართვა. მაგალითად, დუნაის ერთადერთი ქვეყანა სამხედრო საზღვაო ძალებით, რომელიც არ მდებარეობს შავ ზღვაზე, არის გერმანია. ამრიგად, რუმინეთის მხრიდან გერმანიის მიწვევა მდინარე დუნაის საკუთარ მონაკვეთში გერმანიის სამხედრო-საზღვაო ძალებს აძლევს საშუალებას გადააჭარბოს შავ ზღვაში ნაოსნობის 21 დღიანი ლიმიტს. დუნაის ეს ოფცია გერმანიას, როგორც დუნაის სახელმწიფოს, აძლევს უნიკალურ საშუალებას აამაღლოს შავ ზღვაში ოპერირების თამასა ისე, როგორც ალიანსის სხვა წევრ ქვეყნებს არ შეუძლიათ.
3. დუნაი-შავი ზღვის არხის მოდელი - ეს ხელოვნური არხი რუმინეთში საშუალებას აძლევს ქვეყნებს, რომლებიც არ არიან არც შავი ზღვის და არც დუნაის სახელმწიფოები, გამოიყენონ არხი შავ ზღვაზე ყოფნის 21 დღიანი ლიმიტის გადაჭარბებით ისევე, როგორც გერმანიას შეუძლია ამის გაკეთება მდინარე დუნაის გამოყენებით. საგულისხმოა, რომ ამ მოდელის ამოქმედებას სავარაუდოდ დასჭირდება გარკვეული დანახარჯები არხის მოდერნიზებისა და მისი სამოქალაქო და სამხედრო დანიშნულებით გამოყენებისთვის მოსამზადებლად. არხის ამ ფუნქციით გამოყენების მიზანშეწონილობის შესაფასებლად ნატო-მ უნდა იმუშაოს რუმინეთთან.

4. ნატო-ს მიერ სერტიფიცირებული Centre of Excellence⁵⁷ შავი ზღვის უსაფრთხოებისთვის საქართველოში - ნატო-ს არაწევრ ქვეყანაში ასეთი ცენტრის არსებობა უპრეცედენტოა. თუმცა, პრაქტიკული ან ლეგალური თვალსაზრისით საქართველოში მის არსებობას ხელს არაფერი უშლის. ასეთი ცენტრის გახსნა გააუმჯობესებს ნატო-საქართველოს ურთიერთობას და ხაზს გაუსვამს შავი ზღვის რეგიონის მნიშვნელობას ევროპის უსაფრთხოების თვალსაზრისით. ცენტრის არსებობა უზრუნველყოფდა შავი ზღვის უსაფრთხოების გამოწვევებთან დაკავშირებით შინაარსიანი დიალოგისა და წვრთნების ჩატარების შესაძლებლობას. ასევე, ეს იქნებოდა კიდევ ერთი შესაძლებლობა გაშლილიყო ნატო-ს დროშა საქართველოს ტერიტორიაზე (Coffey, 2020).

ლუკ კოფი ასევე გამოდის ინიციატივით, რომ ბათუმში ნატო-ს ცენტრი განთავსდეს. მკვლევარი მიიჩნევს, რომ ეს შავი ზღვის რეგიონისთვის სასარგებლო იქნება. "ეს ცენტრი შესაძლოა იყოს ნატო-ს ტალინის კიბერთავდაცვითი ცენტრის ანალოგი", - აცხადებს ლუკ კოფი (Interpressnews, 2020).

ევროპაში აშშ-ის შეიარაღებული ძალების ყოფილი სარდალი, ამერიკის არმიის გადამდგარი გენერლ-ლეიტენანტი ბენ ჰოჯესი აცხადებს, რომ თუ შავი ზღვის რეგიონში მეტი დასავლური ინვესტიცია შევა, დასავლეთის ქვეყნები მეტად დაინტერესდებიან ამ რეგიონის უსაფრთხოებით. ჰოჯესის თქმით, საქართველომ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ უფრო მიმზიდველი გახდეს დასავლური ინვესტიციებისთვის, რადგან საქართველო აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ძალიან მოსახერხებელ ადგილზე მდებარეობს. გენერალი ხშირად საუბრობს ქართული პორტების განვითარების აუცილებლობაზე, მათ შორის ანაკლიის პროექტის განხორციელების მნიშვნელობაზე. გენერალი მიიჩნევს, რომ ანაკლიის პროექტი კარგი მაგალითია იმის, თუ როგორ შეიძლება ქვეყანაში ევროპული და ამერიკული ბიზნესების შემოყვანა (მეურმიშვილი, 2020). გენერალ

⁵⁷ Centres of Excellence (COEs) - არის საერთაშორისო სამხედრო ორგანიზაცია, რომელიც წვრთნის და ასწავლის ნატოს წევრი და პარტნირი ქვეყნების სპეციალისტებსა და ლიდერებს - https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_68372.htm?selectedLocale=en

ჰოჯესს მიაჩნია, რომ შავი ზღვის აღმოსავლეთ ფლანგის უსაფრთხოება და ანაკლიის პორტის პროექტის წარმატებით დასრულება ერთმანეთთან დაკავშირებული თემებია. მისი თქმით, ანაკლიის პორტის აშენება „საქართველოსთვის თამაშის წესებს გააუმჯობესებს“. ბენ ჰოჯესი ამბობს, რომ ანაკლიამ საქართველოში შესაძლოა ამერიკის სამხედრო გემებიც მიიზიდოს, რადგან მიუხედავად იმისა, რომ ანაკლიის პორტი კომერციული პროექტია, მისი პოტენციური აშენება ეკონომიკურთან ერთად, პოლიტიკურ ასპექტებსაც მოიცავს. (რადიო თავისუფლება, 2019). აქედან გამომდინარე, გენერალს მიაჩნია, რომ საქართველოს ამ თვალსაზრისით დიდი როლი აქვს და აუცილებელია საქართველო მეტად იყოს ჩართული შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხებში. ჰოჯესი ფიქრობს, რომ „საქართველოს დიდი საზღვაო ძალები არ სჭირდება, მაგრამ სჭირდება უპილოტო სისტემები, მცირე ზომის მოქნილი შესაძლებლობები, რომლებიც საქართველოს დაზვერვის სამსახურებს ნათელ სურათს შეუქმნის იმაზე, თუ რას აკეთებს შავ ზღვაში რუსეთი. ამ მხრივ საქართველოს დიდი წვლილის შეტანა შეუძლია შავი ზღვის უსაფრთხოებაში“ (მეურმიშვილი, 2020).

შავი ზღვის რეგიონში ნატო-ს წარმომადგენლობის ზრდისა და პოზიციების გაუმჯობესების აუცილებლობაზე საუბრობენ ქართველი ექსპერტიც. „რონდელის ფონდის“ მკვლევარი, თურქოლოგი ზურაბ ბატიაშვილი, ამბობს, რომ შავი ზღვის რეგიონი ნატო-ს აღმოსავლეთ ფორპოსტია, თუმცა რუსული აგრესიისთვის ყველაზე მოწყვლადი სივრცეა. ბატიაშვილი იმ ნაბიჯებს განიხილავს, რომლითაც ალიანსი რუსულ აგრესიულ ქმედებებს დააბალანსებს. მკვლევარი ფიქრობს, რომ მნიშვნელოვანია ალიანსმა ბულგარეთის და რუმინეთის საზღვაო შესაძლებლობები გაზარდოს. ასევე, აუცილებელია ნატო-ს წევრი ქვეყნების ერთობლივი პატრულირება შავ ზღვაზე, რათა აღიკვეთოს რუსეთის „თავგასული“ ქმედებები. შავი ზღვის აკვატორიაში რუმინეთის მზარდ როლზე ამახვილებს ყურადღებას ანალიტიკური ორგანიზაციის „ჯეოქეისი“ ხელმძღვანელი, ანალიტიკოსი ვიქტორ ყიფიანიც. მისი თქმით, შავი ზღვის რეგიონში რუმინეთს განსაკუთრებული როლი აქვს, რადგან რუმინეთში ამერიკელებს სამხედრო ბაზები და მზარდი წარმომადგენლობა აქვთ. ყიფიანი ამბობს, რომ რუმინეთი ნატო-ს ერთგვარი ფორპოსტია შავ ზღვაში და სწორედ რუმინეთზე გადის დასავლური ინტერესი.

პროფესორი ზურაბ ბატიაშვილი მონტროს კონვენციაზე საუბრისას ამბობს, რომ თურქეთს შავი ზღვის მიმართ განსხვავებული მიდგომები აქვს და ხშირად მისთვის ეროვნული ინტერესები პირველ ადგილზეა. ექსპერტი მიიჩნევს, რომ მონტროს ხელშეკრულება ნამდვილად გადასახედია, თუმცა ამბობს, რომ მეორე საკითხია, რამდენად რეალურია დღეს ახალი ინიციატივების დაწყება, რადგან სტატუს-კვოს შეცვლა დიდი კატაკლიზმების გამოიწვევია. „ის, ბალანსი რომელიც კონვენციის მიღების დროს იყო, დაირღვა, თუმცა ძალიან ძნელია, რუსეთი დაითანხმოს იმაზე, რომ დასავლურ სამხედრო გემებს თავისუფლად შეეძლოთ შავ ზღვაზე ყოფნა. რუსეთი დაინახავს პირდაპირ საფრთხეებს“ - ამბობს ბატიაშვილი და აღნიშნავს, რომ მონტროს კონვენციის შეცვლა ძალიან რთულია, რადგან ამას ბევრი ქვეყნის თანხმობა სჭირდება, მათ შორის შავი ზღვის ყველა სანაპირო ქვეყნის თანხმობა, რაც ადვილად ვერ მოხერხდება. შავი ზღვის რეგიონში თურქეთის როლის მნიშვნელობაზე ამახვილებს ყურადღებას ექსპერტი ვიქტორ ყიფიანიც და აღნიშნავს, რომ თურქეთი საინტერესო მოთამაშეა, რადგან შავი ზღვის აუზზე „მესვლის გასაღები“ სწორედ თურქეთს უჭირავს ხელში. ყიფიანი ამბობს, რომ თურქეთის პოზიცია საინტერესოა, რადგან ცდილობს რეგიონალური ჰეგემონია განავრცოს. ექსპერტი ფიქრობს, რომ სავარაუდოდ, მონტროს კონვენცია უცვლელი იქნება, რადგან ხელშეკრულების გადახედვის პერსპექტივა საეჭვოა და შანსიც ნაკლებია.

შავ ზღვაზე არასანაპირო სამხედრო გემების ხანგრძლივად ყოფნის ალტერნატიული გზების განხილვისას ექსპერტები აღნიშნავენ, რომ საინტერესოა სტამბოლის არხის პროექტი (Kanal İstanbul)⁵⁸, რომელზე მუშაობაც თურქეთმა უკვე დაიწყო და ტენდერიც გამოაცხადა. პროექტის ფარგლებში, ბოსფორის სრუტეს პარალელურად უნდა გაიჭრას ახალი არხი, რის შედეგადაც სტამბოლი, ფაქტობრივად, კუნძულად იქცევა. თუმცა ექსპერტები აღნიშნავენ, რომ მიმდინარეობს კამათი, რამდენად შეიძლება მონტროს ხელშეკრულება ამ პროექტზეც გავრცელდეს. ზურაბ ბატიაშვილი ამბობს, რომ თურქეთს აწყობს, მონტროს ხელშეკრულება ამ ახალ არხზე არ მოქმედებდეს და მთლიანად თურქეთი განაგებდეს ვინ შეუშვას და ვინ არ შეუშვას შავი ზღვის აუზში, რაც რუსეთისგან განსხვავებული პოზიციაა. ბატიაშვილი

⁵⁸ Istanbul Canal - https://en.wikipedia.org/wiki/Istanbul_Canal

აღნიშნავს, რომ ჯერ მაინც გაურკვეველია, როგორი იქნება ამ პროექტის იურიდიული სტატუსი. სტამბოლის არხის მნიშვნელობაზე საუბრობს კვლევითი ორგანიზაცია „ჯეოქეისის“ ხელმძღვანელი ვიქტორ ყიფიანიც, თუმცა ისიც აღნიშნავს, რომ თუ ეს პროექტი განხორციელდა, გაჩნდება კითხვა - „მონტროს კონვენცია ისევე გავრცელდება ამ ახალ არხზე, როგორც თურქეთის სრუტეებზე?“ ანალიტიკოსი ამბობს, რომ ამ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობაა, როგორც თურქეთში, ასევე სერთაშორისო წრეებში. ყიფიანი აღნიშნავს, რომ ჯერჯერობით პასუხი არ არსებობს, გავრცელდება თუ არა მონტროს კონვენციით დადგენილი შეზღუდვები ამ ახალ არხზე.

საქართველოს შესაძლებლობების განხილვისას „რონდელის ფონდის“ მკვლევარი ზურაბ ბატიაშვილი აღნიშნავს, რომ შავი ზღვის რეგიონში საქართველო ყველაზე სუსტია საზღვაო კომპონენტების თვალსაზრისით და გააჩნია მხოლოდ მინიმალური საზღვაო ძალები და საშუალებები. ზურაბ ბატიაშვილი ამბობს, რომ საქართველოს ერთადერთი იმედია ნატო და მისი დახმარება. ექსპერტი იმ რეკომენდაციებსა თუ ინიციატივებზეც საუბრობს, რომლებიც საქართველოს თავდაცვისუნარიანობას გაზრდიან და საქართველოს უფრო მეტად ჩართავენ შავი ზღვის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში. ბატიაშვილი ფიქრობს, რომ:

- მნიშვნელოვანია, საქართველოში ნატო-ს საზღვაო ბაზის გახსნა;
- აუცილებელია ალიანსის წევრი ქვეყნების გემების პატრულირება, რაც ბატიაშვილის აზრით, შეიძლება განხორციელდეს თურქეთის, ბულგარეთის და რუმინეთის გემების საშუალებით, რომლებიც როტაციის პრინციპით საქართველოს აკვატორიაში იტრიალებენ და გარკვეული დაცვის ფუნქციაც ექნებათ;
- საჭიროა საქართველომ ნატო-სთან პირდაპირი დიალოგი გააგრძელოს და ახალი ინიციატივები წამოაყენოს, რათა ალიანსმა ნახოს, რომ საქართველო საინტერესო ქვეყანაა, რომელსაც მნიშვნელოვანი ფუნქცია აქვს;

- მნიშვნელოვანია არსებობდეს ბულგარეთსა და რუმინეთთან მუდმივი საბორნე გადასასვლელი, რითაც გამარტივდებოდა და გაიაფდებოდა მიმოსვლა მთლიანად ევროპასთან, რაც ეკონომიკურ შესაძლებლობებსაც გაზრდიდა;
- აუცილებელია საქართველომ საზღვაო პორტები განავითაროს, რათა აქტიური მონაწილე იყოს ალიანსის პატრულირებაში და ნატო-ს გემები მიიღოს;

„ამ პატრულირებამ უნდა მოიცვას საქართველოს საზღვაო სივრცეც, როგორც ნატო-ს მოკავშირე ქვეყნის. ამ კუთხით ძალიან მნიშვნელოვანია ანაკლიის პროექტი, რომელიც გააძლიერებდა საქართველოს ეკონომიკურ შესაძლებლობებს და ამასთან ამ პორტების განვითარება საინტერესოა სამხედრო თვალსაზრისითაც, რადგან როდესაც ღრმაწყლოვანი პორტი გაქვს, ეს საშუალებას მოგცემს საჭიროების შემთხვევაში შევიდნენ დიდი სამხედრო შესაძლებლობების მქონე გემები“ - აღნიშნავს მკვლევარი. ზურაბ ბატიაშვილი თვლის, რომ ალიანსის მხარდაჭერის შესანარჩუნებლად, აუცილებელია საქართველომ გააძლიეროს დემოკრატიული განვითარება და ამ კუთხით კითხვის ნიშნები არ გაჩნდეს. მისი აზრით, შავი ზღვა საქართველოს რეგიონული უსაფრთხოების გარანტი ვერ იქნება, თუ ვერ გამოიყენა ის შესაძლებლობები, რომელსაც შავი ზღვა აძლევს საქართველოს. „უსაფრთხოების გარანტი შეიძლება გახდეს იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ ვიქნებით უფრო აქტიურები და ამ შესაძლებლობებს, რასაც შავი ზღვა გვაძლევს, კარგად გამოვიყენებთ“, - ამბობს ბატიაშვილი.

შავი ზღვის რეგიონში უსაფრთხოების გარემოს გაუარესების შემდეგ, სხვადასხვა ექსპერტის, მკვლევარისა თუ ოფიციალური პირის მხრიდან გამოითქვა არაერთი მოსაზრება, თუ როგორ შეიძლება რეგიონში დასტაბილურდეს ვითარება და მოხდეს სამხედრო ძალთა დაბალანსება. თუმცა, შავი ზღვის რეგიონში არსებული ძალთა გადანაწილებისა და არსებული კომპლექსური, რთული გარემოს გამო, ამ ინიციატივებისა და რეკომენდაციების განხორციელება ძნელია. ამ ინიციატივების განხორციელებას რუსეთის დესტრუქციული პოლიტიკა მუდმივად ხელს უშლის და ცდილობს, რეგიონი საკუთარი პოლიტიკური ინტერესების სფეროში მოაქციოს, რათა რეალობად აქციოს შავი ზღვის, როგორც ჩაკეტილი ზღვის კონცეფცია. მიუხედავად ამისა, მკვლევარები ეძებენ

გზებს, რათა შეიქმნას ერთიანი ხედვა და ინტერესები რეგიონის ეკონომიკური თუ პოლიტიკური განვითარებისთვის.

დასკვნა

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ შავი ზღვის რეგიონში ძალთა ბალანსის ცვლამ უსაფრთხოების გარემო გააუარესა და რეგიონში ახალი კონფლიქტების წარმოქმნის რისკი გაზარდა. ყირიმის ოკუპაციის, მასზე სარაკეტო სისტემების განთავსების და შავი ზღვის ფლოტის გაზრდის შედეგად რუსეთმა შავი ზღვის რეგიონში სტრატეგიული უპირატესობა მოიპოვა. აღსანიშნავია, რომ რუსეთიდან მომდინარე საფრთხეების შეკავებას არაერთი აქტორი ცდილობს. თუმცა, ერთიანი ძლიერი სტრატეგია ან ხედვა ამ დრომდე არ არსებობს. ევროკავშირი და ნატო რუსეთის დესტრუქციულ ქმედებებს საკუთარ საფრთხეებად და გამოწვევებად აღიქვამენ, ამიტომ ორივე ორგანიზაციამ მომდინარე აგრესიის საპასუხოდ საკუთარი ინტერესების დაცვა უფრო აქტიურად დაიწყო. თუმცა, შავი ზღვის რეგიონში რუსეთის პოზიციები იმდენად მძლავრია, რომ საჭიროა უფრო ძლიერი და ერთიანი გზების ძიება - მნიშვნელოვანია, შავი ზღვის რეგიონში შეიქმნას თანამშრომლობის ახალი ფორმატები, რომლებშიც ჩართული იქნება რეგიონის ყველა სანაპირო სახელმწიფო. ეს შექმნის შესაძლებლობას, რომ შეიქმნას ერთიანი სივრცე, სადაც ახალი საფრთხეების შესაკავებლად ერთიანი ხედვა შემუშავდება. უნდა გააქტიურდეს მსჯელობა, რათა გამოიძებნოს ახალი გზები და მეთოდები რუსეთის პოზიციების შესასუსტებლად. მნიშვნელოვანია, სანაპირო ქვეყნებმა რეგიონში მოიზიდონ უფრო მეტი დასავლური ინვესტიცია, შეიქმნას ახალი ეკონომიკური კავშირები და დაიგეგმოს ახალი სავაჭრო გზები. ეს იქნება იმის წინაპირობა, რომ ევროკავშირი და ნატო უფრო მეტ ყურადღებას მიაქცევენ რეგიონის უსაფრთხოებას და დაიცავენ ამ ინვესტიციებს. ეს ასევე დასავლეთს მისცემს იმის შესაძლებლობას, რომ ხმამაღლა განაცხადოს - შავი ზღვა არის დასავლეთის ზღვა, ამიტომ ევროკავშირი და ნატო უფრო მეტად უნდა იყვნენ წარმოდგენილნი ამ რეგიონში!

პარალელურად, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ნატო-მ გაზარდოს სამხედრო წარმომადგენლობა რეგიონში და აწარმოოს უფრო აქტიური და მასშტაბური წვრთნები, რათა წევრი და პარტნიორი ქვეყნები მეტად იყვნენ მომზადებულები მოსალოდნელი საფრთხეების შესაჩერებლად. იმისთვის, რომ შავი ზღვის აუზში ნატო-ს წარმომადგენლობა გაიზარდოს და ალიანსის გემებმა უფრო თავისუფლად იმოძრაონ შავ ზღვაში (მიუხედავად იმისა, რომ ნაკლებად სავარაუდო და რთულად განსახორციელებელია) უნდა დაიწყოს დიალოგი მონტროს ხელშეკრულების გადახედვაზე. ასევე, უნდა დაიწყოს უფრო აქტიური მუშაობა იმ გზების მოსაძებნად, რომლებიც ალიანსს მისცემენ შესაძლებლობას, მონტროს კონვენციით გათვალისწინებული პირობების ლეგალურად გვერდის ავლით, შეძლოს შავ ზღვაზე ხანგრძლივად ყოფნა. ამასთან, ნატო-მ უფრო აქტიური მუშაობა უნდა დაიწყოს რუმინეთთან და ბულგარეთთან, რათა დაეხმაროს მათ საზღვაო ფლოტის განვითარებაში. ალიანსი ასევე აქტიურად უნდა ჩაერთოს პარტნიორი ქვეყნების - საქართველოსა და უკრაინის - საზღვაო შესაძლებლობების ჩამოყალიბებასა და მოდერნიზაციაში.

საქართველომ, თავის მხრივ, უნდა გაზარდოს ნატო-სთან თანამშრომლობა და მეტად უნდა ჩაერთოს კოლექტიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესში. საქართველომ მეტი ინიციატივა უნდა გამოიჩინოს შავი ზღვის რეგიონში ახალი პროექტების, კავშირებისა და შესაძლებლობების შესაქმნელად. ქვეყანამ აქტიურად უნდა ითანამშრომლოს დასავლურ კომპანიებთან, რათა მოიზიდოს მეტი ინვესტიცია და დაამყაროს ახალი კავშირები. დასავლეთის მეტი ჩართულობა უფრო მეტად უზრუნველყოფს ქვეყნის უსაფრთხოებას, რადგან ევროკავშირი და ნატო უფრო აქტიურად დაიცავენ საკუთარ ინტერესებს. ამ მხრივ, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი და ამასთან ეროვნული ინტერესია, საქართველომ გამოძებნოს ახალი გზები ნავთობ და ელექტრო სადენების გასავითარებლად და არსებულის დასაცავად. ეს მისცემს საქართველოს შესაძლებლობას, შეასრულოს სატრანზიტო ქვეყნის ფუნქცია და მეტად ჩაერთოს დასავლური ინტერესების დაცვაში. საქართველოს მთავრობამ უნდა გაზარდოს კავშირები და თანამშრომლობა სანაპირო ქვეყნებთან და უნდა შეეცადოს, მეტად დაახლოვოს პარტნიორი სანაპირო ქვეყნები ერთმანეთთან, რათა შეიქმნას ერთიანი სივრცე, რომელიც უფრო მარტივად შეძლებს წინ აღუდგეს რუსეთიდან მომდინარე

საფრთხეებს. კვლევისას გამოჩნდა, რომ საქართველომ დაიწყო თანამშრომლობა ავსტრიულ მსხვილ კომპანიასთან, რომელიც დაიწყებს ნავთობისა და გაზის ძიება-მოპოვების სამუშაოების წარმოებას საქართველოს ტერიტორიულ წყლებში. ეს საქართველოს მისცემს შესაძლებლობას ნახოს მეტი ეკონომიკური სარგებელი და ამასთან ერთად განავითაროს დასავლეთთან კავშირები. თუმცა, ერთ კომპანიასთან თანამშრომლობა საკმარისი არ არის და მნიშვნელოვანია ეკონომიკური კავშირების დივერსიფიცირება.

ასევე, მნიშვნელოვანია ხელისუფლებამ უფრო აქტიურად იმუშაოს საქართველოს საზღვაო პორტების ინფრასტრუქტურის განვითარებაზე. უფრო მეტი, დიდი და თანამედროვე პორტები ქვეყანას შესაძლებლობას მისცემენ მიიღოს მეტი ტვირთი, გაზარდოს ეკონომიკური კავშირები და ამასთან უმასპინძლოს უფრო მაღალი წყალრწყვის გემებს, რაც გახდება უსაფრთხოების გარანტი. პორტების განვითარება საქართველოს, ასევე, მისცემს შესაძლებლობას, შეასრულოს დასავლეთისა და აღმოსავლეთის დამაკავშირებელი ჰაბის ფუნქცია. საქართველოს, როგორც სატრანზიტო ქვეყანას და ეკონომიკურ ჰაბს, გამოიყენებენ როგორც დასავლეთის ქვეყნები, ისე აღმოსავლეთ სახელმწიფოები, მათ შორის - ჩინეთი.

ეკონომიკურ განვითარებასთან ერთად, მნიშვნელოვანია საქართველომ განავითაროს სამხედრო-საზღვაო შესაძლებლობები. აუცილებელია, შეიქმნას ქართული ფლოტი და ჩამოყალიბდეს სამხედრო-საზღვაო ძალები. გასაგებია, რომ საქართველო ახლო მომავალში ვერ შეძლებს ისეთი საზღვაო ძალების შექმნას, რომელიც წინააღმდეგობას გაუწევს რუსულ სამხედრო ძალას, თუმცა აუცილებელია საქართველოს ჰქონდეს თავდაცვითი საშუალებები, რომლებიც დაეხმარებიან ნატო-ს სამხედრო ფლოტს ოპერაციების წარმოებაში. საქართველოს საზღვაო ფლოტი უფრო აქტიურად ითანამშრომლებს ნატო-სთან, რაც კიდევ უფრო გაზრდის კავშირებს და დაახლოვებს ქვეყნის თავდაცვის ძალებს ალიანსის თავდაცვის ძალებთან. ეს კი უზრუნველყოფს ქვეყნის კონსტიტუციურ ვალდებულებას და საქართველოს ევროატლანტიკურ ინტეგრაციას შეუწყობს ხელს.

კვლევის დასაწყისში შემუშავებული ჰიპოთეზა, რომ „რაც უფრო აქტუალურია საერთაშორისო ინტერესი შავი ზღვის მიმართ, მით უფრო მნიშვნელოვანი როლი ენიჭება

შავ ზღვას საქართველოს უსაფრთხოებისთვის“ დადასტურდა. ცალსახაა, რომ შავი ზღვის რეგიონის მიმართ ინტერესი გაიზარდა - ევროკავშირი და ნატო რეგიონში მიმდინარე პროცესებში უფრო აქტიურად არიან ჩართულები. საქართველო კი ამ სივრცის მნიშვნელოვანი ნაწილია და საქართველოსთან თანამშრომლობა ევროკავშირისა და ნატო-ს ინტერესებშია, ეს კი ქვეყნის თავდაცვის და განვითარების წინაპირობაა.

ბიბლიოგრაფია

- 1) Bosbotinis, J. (n.d.). *Assessing the Strategic Importance of The Black Sea Region* . Retrieved from <http://citeseerx.ist.psu.edu/viewdoc/download?doi=10.1.1.574.4027&rep=rep1&type=pdf>
- 2) *Brussels Summit Declaration*. (2018). Retrieved from NATO: https://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_156624.htm
- 3) Bugajski, J., & Peter, D. B. (2016). *Black Sea: Russia's Pole of Power*. Retrieved from CEPA: <https://www.cepa.org/black-sea-power>
- 4) Black Sea Synergy: review of a regional cooperation initiative - period 2015-2018. (2019). Retrieved from European Commission: <https://data.consilium.europa.eu/doc/document/ST-7119-2019-INIT/en/pdf>
- 5) Coffey, L. (2020). *Europe has a vested interest in a safe, secure, and prosperous Black Sea*. Retrieved from Middle East Institute: https://www.mei.edu/publications/europe-has-vested-interest-safe-secure-and-prosperous-black-sea?fbclid=IwAR0SQyrhWxivMueaK-8cBCsxa7aRSpjj9d_3kQgVBquL257n1i189r_aBu8
- 6) Coffey, L. (2020). *To Boost NATO's Presence in the Black Sea, Get Creative*. Retrieved from Defense One: <https://www.defenseone.com/ideas/2020/05/increasing-natos-presence-black-sea-time-get-creative/165760/?fbclid=IwAR3KMLT3kPMYXlcH6pZLHGTAIsKPsLpHBquD4L6PaKF349ZaF9XnjBHCm5M>
- 7) Commission on the Black Sea. (2010). *A 2020 Vision for the Black Sea Region*. მოპოვებული https://www.bertelsmann-stiftung.de/fileadmin/files/BSt/Publikationen/GrauePublikationen/GP_A_2020_Vision_for_the_Black_Sea_Region.pdf-**დაბ**
- 8) Elliott, S. (2020). *OMV Petrom looks to expand Black Sea upstream activity with Georgia entry*. Retrieved from S&P Global Platts: <https://www.spglobal.com/platts/en/market-insights/latest-news/natural-gas/062620-omv-petrom-looks-to-expand-black-sea-upstream-activity-with-georgia-entry>
- 9) Gurcan, M. (2017). *Russia's winning the war for Turkish public's trust*. Retrieved from Al-Monitor the Pulse of the Middle East: <https://www.al->

monitor.com/pulse/originals/2017/11/turkey-west-and-nato-are-about-to-lose-turkish-public.html

- 10) Joja, I. S. (2019). *Black sea strategic volatility: players and patterns*. Retrieved from The Foreign Policy Research Institute: <https://www.fpri.org/article/2019/10/black-sea-strategic-volatility-players-and-patterns/>
- 11) Kuimova, A., & Wezeman, S. T. (2018). *Georgia and Black Sea Security*. Retrieved from SIPRI: <https://www.sipri.org/publications/2018/sipri-background-papers/georgia-and-black-sea-security>
- 12) Kuimova, A., & Wezeman, S. T. (2018). *Russia and Black Sea Security*. Retrieved from SIPRI: <https://www.sipri.org/publications/2018/sipri-background-papers/russia-and-black-sea-security>
- 13) Melvin, N. J. (2018). *Rebuilding Collective Security in the Black Sea Region*. Retrieved from SIPRI: <https://www.sipri.org/publications/2018/sipri-policy-papers/rebuilding-collective-security-black-sea-region>
- 14) NATO Allied ships patrol in the Black Sea. (2020). Retrieved from NATO : https://www.nato.int/cps/en/natohq/news_176708.htm
- 15) NATO FORCES ENTER BLACK SEA. (2020). Retrieved from Allied Maritime Command: <https://mc.nato.int/media-centre/news/2020/nato-forces-enter-black-sea->
- 16) NATO FORCES VISIT GEORGIA. (2020). Retrieved from Allied Maritime Command: <https://mc.nato.int/media-centre/news/2020/nato-forces-visit-georgia->
- 17) NATO Foreign Ministers agree to enhance security in the Black Sea region. (2019). Retrieved from NATO: https://www.nato.int/cps/en/natohq/news_165253.htm?selectedLocale=en
- 18) NATO Parliamentary Assembly. (2017). *DRAFT RESOLUTION ON THE EUROPEAN SECURITY AND DEFENCE IDENTITY*. Retrieved from RESOLUTION 437: <https://www.nato-pa.int/download-file?filename=sites/default/files/2017-10/2017%20-%20RESOLUTION%20437%20-%20BLACK%20SEA%20-%20SCHMIDT%20%20-%20%20219%20CDS%2017%20E.pdf>
- 19) NATO ships exercise in the Black Sea. (2019). Retrieved from NATO : https://www.nato.int/cps/en/natohq/news_168031.htm?selectedLocale=en
- 20) Netgazeti. (2019). *ნატო შავ ზღვაში უსაფრთხოებისა და საქართველოს მხარდაჭერის გაზრდაზე შეთანხმდა*. Retrieved from Netgazeti: <https://netgazeti.ge/news/354148/>

- 21) Netgazeti. (2019). *ნატოს გეგმების ქართულ პორტებში შემოსვლის დიპლომატიური ნებართვები გამარტივდება – მთავრობა*. Retrieved from netgazeti.ge:
<https://netgazeti.ge/news/369101/>
- 22) Press conference by NATO Secretary General Jens Stoltenberg. (2019). Retrieved from NATO:
https://www.nato.int/cps/en/natohq/opinions_165234.htm
- 23) Rustavi2. (2020). *OMV Petrom-ის გამარჯვება მნიშვნელოვანი ნაბიჯია საქართველოში ინვესტიციების ზრდისა და დივერსიფიკაციისკენ - ავსტრიის ელჩი*. Retrieved from Rustavi2: <http://rustavi2.ge/ka/news/168995>
- 24) Warsaw Summit Communiqué. (2016). Retrieved from NATO:
https://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_133169.htm
- 25) Wezeman, S. T., & Kuimova, A. (2018). *Bulgaria and Black Sea Security*. Retrieved from SIPRI:
<https://www.sipri.org/publications/2018/sipri-background-papers/bulgaria-and-black-sea-security>
- 26) Wezeman, S. T., & Kuimova, A. (2018). *Romania and Black Sea Security*. Retrieved from SIPRI:
<https://www.sipri.org/publications/2018/sipri-background-papers/romania-and-black-sea-security>
- 27) Wezeman, S. T., & Kuimova, A. (2018). *Turkey and Black Sea Security*. Retrieved from SIPRI:
<https://www.sipri.org/publications/2018/sipri-background-papers/turkey-and-black-sea-security>
- 28) Wezeman, S. T., & Kuimova, A. (2018). *Ukraine and Black Sea Security*. Retrieved from SIPRI:
<https://www.sipri.org/publications/2018/sipri-background-papers/ukraine-and-black-sea-security>
- 29) გაბელია, ი. (2019). *ნატოს სტრატეგია შავი ზღვის რეგიონალური უსაფრთხოების კონტექსტში*. Retrieved from Irakli Gabelia Samagistro:
<https://openscience.ge/bitstream/1/1691/1/Irakli%20Gabelia%20Samagistro.pdf>
- 30) გოგოლაშვილი, კ. (2018). *ევროკავშირის შავი ზღვის პოლიტიკა და გაფართოება*. Retrieved from საქართველოს სტრატეგისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფონდი: <https://www.gfsis.org/files/library/pdf/Georgian-2651.pdf>
- 31) ესებუა, კ. (2016). *რუსეთის სამხედრო გაძლიერება შავ ზღვაზე ალტერნატიული კონტრსტრატეგია ნატოსთვის*. მოპოვებული საქართველოს სტრატეგისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი:
<https://www.gfsis.org/ge/publications/view-opinion-paper/92-დან>

- 32) თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა 2017-2020. (2017). Retrieved from საქართველოს თავდაცვის სამინისტრო : <https://mod.gov.ge/ge/page/73/tavdacvis-strategiuli-mimoxilva>
- 33) თეთრი წიგნი. (2017). Retrieved from საქართველოს თავდაცვის სამინისტრო: <https://mod.gov.ge/ge/page/49/tetri-wigni>
- 34) მეურმიშვილი, ი. (2020). *ჰოჯესი: ამერიკის ჯარის ნაწილის გერმანიიდან გამოყვანა "კოლოსალური შეცდომა" იქნება*. Retrieved from ამერიკის ხმა: <https://www.amerikiskhma.com/a/interview-with-general-ben-hodges/5464975.html>
- 35) მინისტრის ხედვა 2020. (2020). Retrieved from საქართველოს თავდაცვის სამინისტრო: <https://mod.gov.ge/ge/page/48/ministris-direqtivebi>
- 36) რადიო თავისუფლება. (2019). *ბენ ჰოჯესი საქართველოს მთავრობის ნატოსადმი განცხადებულ ენთუზიაზმზე, ანაკლიის პორტსა და რუსეთის ინტერესებზე*. Retrieved from რადიო თავისუფლება: <https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%9D-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D-%E1%83%A8%E1%83%90%E1%83%95%E1%83%98-%E1%83%96%E1%83%A6%E1%83%95%E1%83%90-%E1%83%90%E1%83%9C>
- 37) რადიო თავისუფლება. (2020). *გიორგი გახარია: საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური მისწრაფება შემდგარი ფაქტია*. Retrieved from რადიო თავისუფლება: <https://www.radiotavisupleba.ge/a/30393247.html>
- 38) რონდელი, ა. (2006). *საერთაშორისო ურთიერთობები*. თბილისი.
- 39) საკომუნიკაციო სტრატეგია 2017-2020. (2017). Retrieved from საქართველოს თავდაცვის სამინისტრო: <https://mod.gov.ge/ge/page/68/sakomunikacio-strategia>
- 40) სამთავრობო პროგრამა 2019-2020. (2019). Retrieved from საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია: http://gov.ge/index.php?lang_id=geo&sec_id=68&info_id=73407
- 41) საქართველოს ეროვნული სამხედრო სტრატეგია. (2014). Retrieved from საქართველოს თავდაცვის სამინისტრო: <https://mod.gov.ge/ge/page/72/saqartvelos-erovnuli-samxedro-strategia>
- 42) საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია. (2011). Retrieved from საქართველოს თავდაცვის სამინისტრო: <https://mod.gov.ge/uploads/2018/pdf/NSC-GEO.pdf>

- 43) საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. (2015). *ნატო-ს საზღვაო ძალების ფრეგატები შავ ზღვაში*. Retrieved from MOD.GOV.GE: <https://mod.gov.ge/ge/news/read/2258/nato-marine-commandership%E2%80%99s-permanent-group-2-of-marine-sappers-in-black-sea>
- 44) საქართველოს კონსტიტუცია. (n.d.). Retrieved from საქართველოს პარლამენტი: <http://www.parliament.ge/ge/kanonmdebloba/constitution-of-georgia-68>
- 45) საქართველოს პრეზიდენტის ვებ-გვერდი. (2019). *საქართველოს პრეზიდენტის, სალომე ზურაბიშვილის გამოსვლა ბათუმში საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების მე-13 კონფერენციაზე*. Retrieved from საქართველოს პრეზიდენტის ვებ-გვერდი: https://www.president.gov.ge/geo/pressamsakhuri/siakhleebi/saqartvelos-prezidentis,-salome-zurabishvilis-gamo.aspx?fbclid=IwAR0ZGZJSK0YYb_IPzIoFf9NyluDI2aKc3pgrKK33diba_T3daF74NaJuczE
- 46) ღვინერია, შ. (2016). *ში ზღვის უსაფრთხოება ნატოს ყურადღების ცენტრში*. Retrieved from საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი: <https://www.gfsis.org/ge/publications/view-opinion-paper/72>
- 47) შსს. (2020). *საქართველოს სანაპირო დაცვისა და ნატოს ხომალდების ერთობლივი წვრთნები ჩატარდა*. Retrieved from საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო: <https://police.ge/ge/saqartvelos-sanapiro-datsvisa-da-natos-khomaldebis-ertoblivi-tsvrtnebi-chatarda/13464>
- 48) ჩიტალაძე, ა. (2018). *შავი ზღვის რეგიონული უსაფრთხოება: თანამშრომლობის ახალი შესაძლებლობები კონფრონტაციის ხაზზე*. მოპოვებული GIP: <http://gip.ge/ge/%E1%83%A8%E1%83%90%E1%83%95%E1%83%98-%E1%83%96%E1%83%A6%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%90/-დან>
- 49) ჩიტალაძე, ა. (2018). *შავი ზღვის რეგიონული უსაფრთხოება: პროცესი და შედეგი*. მოპოვებული MA Thesis.Chitaladze dip: <https://openscience.ge/bitstream/1/1380/1/MA%20Thesis.%20Chitaladze%20%20%20dip.pdf>-დან
- 50) 1TV. (2020). *ბათუმის პორტში აშშ-ის საზღვაო ხომალდი „პორტერი“ შემოდის*. Retrieved from 1TV: <https://1tv.ge/news/batumis-portshi-ashsh-is-sazghvao-khomaldi-porteri-shemovida/>

- 51) 1TV. (2020). *გიორგი გახარია - შავი ზღვა და მეზღვაურის პროფესია არის ამ ქვეყნის მომავალი*. Retrieved from 1TV: <https://1tv.ge/news/giorgi-gakharia-shavi-zghva-da-mezghvauris-profesia-aris-am-qveynis-momavali/>
- 52) 1TV. (2020). *ნატო-ს ოთხი ნაბიჯი საქართველოს მხარდასაჭერად*. Retrieved from 1TV: <https://1tv.ge/news/nato-s-otkhi-nabiji-saqartvelos-mkhardasacherad-video/>
- 53) 1TV. (2020). *საქართველოს პრემიერსა და ევროპული საბჭოს პრეზიდენტს შორის სატელეფონო საუბარი შედგა*. Retrieved from 1TV: <https://1tv.ge/news/saqartvelos-premiersa-da-evropuli-sabchos-prezidents-shoris-satelefono-saubari-shedga/>
- 54) 2019-2020 წლების სამთავრობო პროგრამის შესრულების შესახებ მოხსენება. (2020). Retrieved from საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია: http://gov.ge/index.php?lang_id=geo&sec_id=458&info_id=76369
- 55) 2019-2022 წლების საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგია. (2019). Retrieved from საგარეო საქმეთა სამინისტრო: <https://mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/ForeignPolicyStrategy.aspx>
- 56) imedinews. (2020). *ემანუელ მაკრონმა საქართველოს მიერ კორონავირუსთან ბრძოლაში განხორციელებულ ღონისძიებებს მაღალი შეფასება მისცა*. Retrieved from imedinews: <https://imedinews.ge/ge/covid19/141335/emanuel-makronma-saqartvelos-mier-koronavirustan-brdzolashi-gankhortsielebul-gonisdziebebs-magali-shepaseba-mistsa>
- 57) Imedinews. (2020). *ლუკ კოფი: ევროპას საფუძვლიანი ინტერესი გააჩნია შავი ზღვის რეგიონში უსაფრთხოების, დაცულობისა და კეთილდღეობის მიმართ*. Retrieved from imedinews.ge: <https://imedinews.ge/ge/msoflio/133789/luk-kopi-evropas-sapudzvlani-interesi-gaachnia-shavi-zgvis-regionshi-usaprtkxobis-datsulobisa-daketildgeobis-mimart>
- 58) Imedinews. (2020). *საქართველოს პრეზიდენტი: ნატო - საქართველოს კომისიის სხდომა მინისტრების დონეზე უნდა ჩატარდეს*. Retrieved from imedinews: <https://imedinews.ge/ge/politika/140786/saqartvelos-prezidenti-nato-saqartvelos-komisiis-skhdoma-ministrebis-doneze-unda-chatardes>
- 59) Interpresnews. (2020). *ირაკლი ბერაია - საქართველოს როლი დღითიდღე მზარდია შავი ზღვის უსაფრთხოებაში*. Retrieved from Interpresnews: <https://www.interpresnews.ge/ka/article/594225-irakli-beraia-sakartvelos-rolidgitidgemzardia-shavi-zgvis-usaprtxobashi>

- 60) Interpressnews. (2017). *გენერალი პეტრ პაველი - საქართველო შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების საკითხში იქნება არა მხოლოდ მონაწილე, არამედ უსაფრთხოების უზრუნველმყოფი*. Retrieved from interpressnews:
<https://www.interpressnews.ge/ka/article/421288-general-petr-paveli-sakartvelo-shavi-zgvis-regionis-usaprtxoebis-sakitxshi-ikneba-ara-mxolod-monacile-aramed-usaprtxoebis-uzrunvelmqopi/>
- 61) Interpressnews. (2020). *OMP Petrom – ჩვენ მივეყვებით ჩვენს გეგმებს შავი ზღვის რეგიონში მიმდინარე საქმიანობის გაფართოების კუთხით*. Retrieved from interpressnews: <https://www.interpressnews.ge/ka/article/607084-omp-petrom-chven-mivqvebit-chvens-gegmebs-shavi-zgvis-regionshi-mimdinare-sakmianobis-gapartoebis-kutxit>
- 62) Interpressnews. (2020). *დავით ზალკალიანი - საქართველო მზადაა ნატოელ პარტნიორებთან მჭიდრო თანამშრომლობისთვის შავი ზღვის უსაფრთხოების განმტკიცების მიმართულებით*. Retrieved from interpressnews.ge:
<https://www.interpressnews.ge/ka/article/594269-davit-zalkaliani-sakartvelo-mzadaa-natoel-partniorebtan-mchidro-tanamshromlobistvis-shavi-zgvis-usaprtxoebis-ganmtkicebis-mimartulebit>
- 63) Interpressnews. (2020). *ლუკ კოფი - ვფიქრობ, რომ შავი ზღვის რეგიონში უნდა გაიზარდოს ნატოს ფლოტი, რაც რეგიონში ალიანსის პოზიციებს დიდად გააძლიერებს*. Retrieved from interpressnews:
<https://www.interpressnews.ge/ka/article/607096-luk-kopi-vpikrob-rom-shavi-zgvis-regionshi-unda-gaizardos-natos-ploti-rac-regionshi-aliansis-poziciebs-didad-gaazlierebs>
- 64) Interpressnews. (2020). *რუმინეთის პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარიასთან შეხვედრას სოციალურ ქსელში ეხმაურება*. Retrieved from interpressnews:
<https://www.interpressnews.ge/ka/article/585458-ruminetis-premier-ministri-giorgi-gaxariastan-shexvedras-socialur-kselshi-exmaureba>

დანართი 1


მონტროს კონვენცია

მონტროს კონვენცია წარმოადგენს სამართლებრივ რეჟიმს თურქეთის სრუტეებისათვის, რომელიც 1936 წლიდან მოქმედებს. შეიძლება ითქვას, რომ ის არის საფუძველი იმ პოლიტიკური და სამხედრო ბალანსისა, რომელიც დაცული იყო შავი ზღვის რეგიონში ცივი ომის განმავლობაში. ამ კონვენციას თურქეთისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს - ის აღიარებს თურქეთის უფლებებს ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების კონტროლზე და აკისრებს მას პასუხისმგებლობას მათ უსაფრთხოებაზე. მონტროს კონვენციის თანახმად, სავაჭრო და სამგზავრო გემების თავისუფალი გადაადგილება შავ ზღვაში ნებადართულია. თუმცა, ის ზღუდავს იმ სამხედრო გემების ყოფნას ზღვაში, რომლებიც შავი ზღვის აუზის რომელიმე სახელმწიფოს არ ეკუთვნის. შავი ზღვის აუზის გარეთ მყოფი სახელმწიფოს დროშის ქვეშ მცურავი გემის შავ ზღვაში დარჩენის მაქსიმალური დრო - 21 დღეა.


მონტროს კონვენციის დაცვა ცივი ომის პერიოდში ყველა აქტორის ინტერესებში იყო. ნატო მიესალმებოდა ამ კონვენციაზე დაფუძნებულ ბალანსს, რადგან ეს ზღუდავდა სსრკ-ს ფლოტის ხმელთაშუა ზღვაში სწრაფად გადაადგილების შესაძლებლობას. მეორე მხრივ, შავი ზღვა ჩაკეტილ ზღვად რჩებოდა საბჭოთა ინტერესების შესაბამისად. თურქეთის სახელმწიფოსათვის სრუტეების კონტროლი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მონაპოვარია, რომელიც სწორედ ამ კონვენციით არის განპირობებული. მიუხედავად ამისა, ცივი ომის დასრულების შემდეგ შეცვლილმა რეალობამ წესრიგში დააყენა მონტროს კონვენციის გადახედვის საკითხი. თუმცა ეს წინადადება აბსოლუტურად მიუღებელია თურქეთისათვის და რუსეთისთვის, რადგან ორივე მათგანის ინტერესებს ეწინააღმდეგება. მონტროს კონვენცია რუსეთისა და თურქეთისათვის ხელსაყრელი უსაფრთხოების სისტემის საფუძველია შავი ზღვის რეგიონში, რადგან უზრუნველყოფს მათ პრიორიტეტულ მდგომარეობას და ზღუდავს სხვა აქტორების ჩართულობას რეგიონში (ჩიტალაძე, 2018)

დანართი 2

ყირიმის ნახევარკუნძულზე განლაგებული რუსეთის ხელშემლისა და მანევრის შეზღუდვის ზონის (A2/AD) და სხვა სარაკეტო სისტემების წვდომის არეალი



წყარო - <https://missilethreat.csis.org/russia-nato-a2ad-environment/>



წყარო - <http://www.iswresearch.org/2018/11/>

დანართი 3

ესკალაცია ქერჩის სრუტეში

2018 წლის 25 ნოემბერს, გამთენიისას, საერთაშორისო საზოგადოება დიდი კონფლიქტის კიდევ ერთი ესკალაციის მომსწრე გახდა. დიდი ხნის კონფლიქტში მყოფი ორი ქვეყანა - რუსეთი და უკრაინა - ამჯერად ერთმანეთს ზღვაში დაუპირისპირდნენ. მხარეები ქერჩის სრუტეში მიმოსვლაზე ვერ შეთანხმდნენ. ვითარების ესკალაცია კი უკიდურეს წერტილამდე მივიდა - შეტაკება მოხდა პირდაპირი და გადატანით მნიშვნელობით. 25 ნოემბერს რუსული გემი უკრაინულ კატერს ჯერ დაეჯახა, შემდეგ კი ცეცხლი გაუხსნა. შეტაკების შედეგად რუსმა სამხედროებმა 23 უკრაინელი მეზღვაური დაატყვევეს. საბოლოოდ რუსულმა მხარემ მთლიანად ჩაკეტა ქერჩის სრუტე, აზოვის ზღვის თავზე კი სიტუაციის გასაკონტროლებლად რეაქტიული თვითმფრინავები გამოიშვეს. კონფლიქტი 25 ნოემბერს არ დაწყებულა და სავარაუდოდ, არც უახლოეს მომავალში დასრულდება.

როგორ დაიწყო კონფლიქტი ქერჩის სრუტეში

23 ნოემბერს უკრაინის მცირე ბრონირებული კატერები „ბერდიანსკი“, „ნიკოპოლი“ და ბუქსირი „იანი კაპუმ“ უკრაინის, ოდესის პორტიდან მარიუპოლის პორტისკენ დაიძრნენ.



25 ნოემბერს, ქერჩის სრუტესთან მათ შეხვდნენ რუსეთის სასაზღვრო კატერები, რომლებმაც გაჩერება და კურსის შეცვლა მოსთხოვეს. უკრაინულმა გემებმა სვლა განაგრძეს. მათ

შესაჩერებლად რუსული ხომალდი უკრაინულ კატერს დაეჯახა. უკრაინამ დახმარებისთვის ბერდიანსკიდან აზოვის ზღვისკენ ორი გემი გამოგზავნა, რის საპასუხოდაც რუსულმა მხარემ ააფრინა საბრძოლო შვეულმფრენები კა-52, რომელებიც აღჭურვილნი არიან ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტებით და ასევე რეაქტიული თვითმფრინავები სუ-25. რუსეთის ქმედებების შემდეგ, უკრაინული ხომალდები ბერდიანსკში დაბრუნდნენ.⁵⁹ გავრცელებული ინფორმაციით, რუსეთის უსაფრთხოების ფედერალურმა სამსახურმა შეჯახების შემდეგ უკრაინულ გემებს ცეცხლი გაუხსნა, რის შედეგადაც (უკრაინული მხარის მტკიცებით) დაიჭრა 6 პირი. საბოლოოდ, რუსულმა მხარემ უკრაინული გემები დააკავა და ქერჩის პორტში გადაიყვანა. გემებთან ერთად დაკავებულია 23 უკრაინელი მეზღვაური.⁶⁰

იმავე დღეს უკრაინის პრეზიდენტმა უშიშროების საბჭო მოიწვია, სადაც საომარი მდგომარეობის გამოცხადების გადაწყვეტილება მიიღეს. თუმცა, პეტრო პოროშენკომ იქვე განმარტა, რომ საომარი მდგომარეობა არ ნიშნავდა საბრძოლო მოქმედებების დაწყებას. ხომალდების შეტაკების შემდეგ რუსეთმა ქერჩის სრუტე მთლიანად ჩაკეტა და ნებისმიერი სახის ხომალდს გადაადგილება აუკრძალა. რუსული მხარეს მტკიცებით, უკრაინას არ განუცხადებია, რომ გეგმავს სრუტეში გავლას. უკრაინა კი ირწმუნება, რომ მოთხოვნა გაგზავნილი იყო, რაზეც მიიღო უარი და ინციდენტი უკანა გზაზე მოხდა. რუსეთის უსაფრთხოების ფედერალური სამსახურის მტკიცებით, უკრაინულმა ხომალდებმა რუსეთის სახელმწიფო საზღვარი გადაკვეთეს და „არამართლზომიერად შევიდნენ დროებით დახურულ აკვატორიაში“. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 2003 წელს რუსეთსა და უკრაინას შორის დაიდო შეთანხმება, რომლის თანახმადაც აზოვის ზღვაში და ქერჩის სრუტეში ორივე მხარეს ჰქონდათ უფლება შეფერხებების გარეშე გადაადგილებულიყვნენ. მხარეებს შეთანხმების ანულირება არ მოუხდენიათ, რაც იმას ნიშნავს, რომ უკრაინულ გემებს გადაადგილების სრული უფლება ჰქონდათ.⁶¹ რუსულმა მხარემ შეთანხმების დარღვევა

⁵⁹ <https://www.bbc.com/news/world-europe-46345697>

⁶⁰ <https://www.bbc.com/russian/features-46343093>

⁶¹ <https://www.ecolex.org/details/treaty/agreement-between-the-russian-federation-and-the-ukraine-on-cooperation-in-the-use-of-the-sea-of-azov-and-the-strait-of-kerch-tre-149547/>

ვითარების ესკალაციამდე დაიწყო, როდესაც რუსი მესაზღვრეები აზოვის ზღვაში შემავალ ყველა გემს ამოწმებდნენ.⁶² რუსეთის ქმედებები დაგმეს გაეროსა და ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა. მხარეებმა რუსეთს მოუწოდეს დაუყონებლივ განეთავისუფლებინათ დაკავებული მესაზღვრეები და უკრაინული ხომალდები.⁶³ 3 დეკემბერს, ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის ორგანიზაციამ (NATO) მოუწოდა რუსეთს გაათავისუფლოს უკრაინელი მეზღვაურები და ხომალდები და უზრუნველყოს თავისუფლად გადაადგილება და შეფერხების გარეშე უკრაინულ პორტებთან წვდომა.⁶⁴

კონფლიქტში გარე ძალები ჩაერთნენ და მხარეებს ურთიერთობის დარეგულირებისკენ მოუწოდეს. რადგან უკრაინა მარტო ვერ ახერხებდა საკუთარი ინტერესების დაცვას, მან დახმარებისთვის მიმართა გარე აქტორებს, რათა მიზნებისთვის სხვათა მხარდაჭერით მიეღწია, რამაც უკრაინას სტიმული მისცა, რომ არ დაეთმო საკუთარი პოზიციები. თუმცა, რუსული მხარე ამტკიცებს, რომ უკრაინის სამხედრო-საზღვაო ძალების ქმედებები ქერჩის სრუტეში იყო ძალიან სახიფათო და ხომალდების გადაადგილება რუსეთისთვის საფრთხეს ქმნიდა. ამის შესახებ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა.⁶⁵ ხოლო რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა დიდი ოცეულის სამიტზე აღნიშნა, რომ უკრაინელი სამხედროების გათავისუფლების საკითხზე უკრაინასთან მოლაპარაკებები არ მიმდინარეობს, რადგან ეს საკითხი კიევს არ დაუყენებია.⁶⁶ 30 ნოემბერს, უკრაინულმა მხარემ აღნიშნულ კონფლიქტთან დაკავშირებით რუსეთს სანქციები დაუწესა და 16-დან 60 წლამდე რუს მამაკაცებს უკრაინაში შესვლა აუკრძალა. მიზეზად კი სამხედრო ფორმირებებისგან

⁶² <https://www.bbc.com/news/world-europe-46340283>

⁶³ <https://www.bbc.com/russian/av/media-46353839>; <https://1tv.ge/news/evrokavshiri-rusets-mouwodebs-dauyovnebliv-gaatavisuflos-qerchis-sruteshi-dakavebuli-ukraineli-mezghvaurebi/>

⁶⁴ https://www.nato.int/cps/ra/natohq/news_161043.htm

⁶⁵ <https://1tv.ge/news/sergei-lavrovi-ukrainis-samkhedro-sazghvao-dzalebi-qerchis-sruteshi-khomaldebis-gadaadgilebistvis-saftrkhes-qmnida/>

⁶⁶ <https://1tv.ge/news/vladimer-putini-ukraineli-mezghvaurebis-gatavisufleba-ar-ganikhileba/?fbclid=IwAR3uOb92UBwthx00leLEL6EC5EQUgyh125fxmU4pUoK0og1o3wcn-APXxNQ>

თავის არიდება დაასახელა.⁶⁷ 2018 წლის 28 ნოემბერს ქერჩის სასამართლომ ქერჩის სრუტეში დაკავებულ სამ უკრაინელ მეზღვაურს პატიმრობა შეუფარდა. დაკავების დროს დაშავებულ უკრაინელებს, ანდრეი არტემენკოს, ანდრეი ეიდენს და ვასილი სოროკას ორთვიანი პატიმრობა შეუფარდეს. სიმფეროპოლის სასამართლომ კი ქერჩის სრუტეში დაკავებული 24 უკრაინელი მეზღვაურიდან 12-ს ორთვიანი პატიმრობა შეუფარდა. როგორც ცნობილია, სასამართლომ დაადგინა, რომ უკრაინელმა სამხედროებმა რუსეთის საზღვარი დაარღვიეს.⁶⁸

ვახტანგ ბჟალავა

დანართი 4

ტვირთბრუნვა შავი ზღვის ქვეყნებში

საქართველო

2020 წლის პირველი კვარტლის მონაცემები

- საქართველოს ნავსადგურებში, ჯამურად, 144 897 (TEU ერთეული) გადამუშავდა, რაც 2019 წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებაში წარმოადგენს 9%-იან ზრდას.
- გენერალური ტვირთის შემთხვევაში, 2020 წლის პირველ კვარტალში ბათუმის პორტში 62%-იანი მატებაა – 118483 ტონა. რაც შეეხება ნაყარ ტვირთს, 2020 წლის პირველ კვარტალში ნავსადგურებში გადამუშავებული ტვირთების რაოდენობა 27%-ით არის გაზრდილი, ჯამში – 774 017 ტონა.

2019 წლის მონაცემები

- 2019 წელს საქართველოში ტვირთბრუნვა 42,3 მილიონ ტონამდე გაიზარდა.
- 2019 წლის იანვარ-ნოემბერში ქართულმა პორტებმა 584,879 კონტეინერი (TEU ერთეული) მიიღეს, მათგან ყველაზე მაღალი ზრდა ფოთის პორტში ფიქსირდება. 2019 წლის განმავლობაში

⁶⁷ <https://www.bbc.com/russian/news-46396614>

⁶⁸ <https://www.bbc.com/news/world-europe-46356111>

საქართველოს სატრანსპორტო დერეფანში კონტეინერების რაოდენობა მკვეთრად - 41.7%-ით გაიზარდა.

- 2019 წლის განმავლობაში საკონტეინერო ტვირთბრუნვის სტატისტიკა:
ფოთის პორტი - 485,410 კონტეინერი, ზრდა წინა წელთან შედარებით - 46.8%;
ბათუმის პორტი - 99,469 კონტეინერი, ზრდა წინა წელთან შედარებით - 21.3%.

რაც შეეხება პორტების მთლიან ტვირთბრუნვას, მისი მოცულობა 15.8 მილიონ ტონას შეადგენს, რაც 2018 წელთან შედარებით 15%-ით მეტია. ზრდა ყველაზე მაღალი ფოთის პორტშია.

- ✓ ფოთის პორტი - 7.9 მილიონი ტონა, ზრდა წინა წელთან 36.2%;
- ✓ ბათუმის საზღვაო ნავსადგური - 2.9 მილიონი ტონა, კლება წინა წელთან 15%;
- ✓ სუფსის საზღვაო ტერმინალი - 3.5 მილიონი ტონა, ზრდა წინა წელთან 3%;
- ✓ ყულევის საზღვაო ტერმინალი - 1.5 მილიონი ტონა, ზრდა წინა წელთან 15%.

უკრაინა

2020 წლის პირველი კვარტლის მონაცემები

- 41,1 მილიონ ტონაზე მეტი ტვირთი დამუშადა, რაც 11,2% -ით მეტია 2019 წლის პირველ კვარტალთან შედარებით.
- პივდენის ნავსადგური ლიდერი გახდა ზღვის პორტებს შორის ტვირთის გადაზიდვის თვალსაზრისით - 15 მილიონი ტონა.
- მიკოლაივის პორტი - 7,8 მილიონი ტონა.
- ჩორნომორსკის პორტი - 6,6 მილიონი ტონა.
- ოდესას პორტი - 6.3 მილიონი ტონა.

2019 წლის მონაცემები

- 2019 წლის იანვარში, უკრაინის პორტების სატვირთო ბრუნვა გაიზარდა 3,4% - 11.194 მილიონი ტონამდე (2018 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით).
- საექსპორტო საქონლის გადამუშავება გაიზარდა 12,5% -ით - 8,751 მილიონ ტონამდე. იმპორტირებული საქონლის ტრანსპორტირება შემცირდა 23.3% -ით - 1,623 მილიონ ტონამდე, ტრანზიტი 12.5% -ით, 755.1 ათას ტონამდე, შიდა ტრეფიკი - 8.6% -ით, 64,45 ათასი ტონამდე.

- მთლიანობაში კონტეინერის ბრუნვა 34.4% -ით გაიზარდა - 77 521 TEU- მდე.

ლიდერები ტვირთის გადაზიდვის მოცულობით:

- ✓ იუჟნის პორტი - 3.58 მილიონი ტონა (ზრდა 10.5%)
- ✓ მიკოლაივის პორტი - 2.32 მილიონი ტონა (ზრდა 18.8%)
- ✓ ჩერნომორსკის ნავსადგური - 1.97 მილიონი ტონა (ზრდა 7,6%)
- ✓ ოდესის პორტი - 1,93 მილიონი ტონა (ზრდა 7,5%).

2019 წლის ბოლოს უკრაინულმა საზღვაო პორტებმა გადააჭარბა 1 მილიონი TEU კონტეინერის გადაზიდვის მოცულობას, რაც 18% -ით მეტია ვიდრე 2018 წელს.

რუმინეთი

2019 წლის მონაცემები

- მთლიანი სატვირთო ტრაფიკი რუმინეთის საზღვაო პორტებში 66.6 მილიონ ტონას აღემატებოდა.
- კონსტანტა, რუმინეთის საზღვაო ნავსადგურმა 2018 წელს 49.1 მილიონი ტონა ტვირთი გადაიტანა. კონსტანტა ყველაზე დიდი პორტია და საერთო ტვირთბრუნვის 80.5% -ს შეადგენს.

რუსეთი

2019 წლის მონაცემები

- რუსეთის საზღვაო პორტებმა 766.8 მილიონი ტონა ტვირთი გადაიტანეს. (ექსპორტმა შეადგინა 596,8 მილიონი ტონა (+ 4.7%), იმპორტი - 34.1 მილიონი ტონა (+ 3.4%), ტრანზიტი - 61.0 მილიონი ტონა (+ 5.1%), მოკლევადიანი ტრეფიკი - 74.9 მილიონი ტონა (-12.7%).

შავი ზღვის აუზის პორტებზე ტვირთის განაწილება:


- ნოვოროსიისკი - 142,7 მილიონი ტონა (+ 1,7%)
- ტუაპსე - 22,5 მილიონი ტონა (-3.8%)
- კავკაზი - 19.3 მილიონი ტონა (-33.2%)
- როსტოვი-დონზე - 14,5 მილიონი ტონა (-7.6%)
- ტამანი - 13,2 მილიონი ტონა (+ 4.0%).

2020 წლის იანვარში: აზოვისა და შავი ზღვის აუზში მდებარე პორტების კომბინირებული ტვირთბრუნვა შემცირდა 3,6% -ით, 20.5 მილიონ ტონამდე.


2020 წლის მარტი: აზოვისა და შავი ზღვის აუზის ტვირთბრუნვა შეადგენდა სრული ტვირთბრუნვის 33.1% -ს.

ბულგარეთი

- პორტ ბურგასის შემოსავალი 2019 წლის იანვარ-სექტემბრის პერიოდში გაიზარდა 6.5 მილიონით.
 - 2016 წელს ბულგარეთის ვარნის პორტმა 9,5 მილიონი ტონა ტვირთი გადაიტანა.
- 2019 წლის პირველ ნახევარში უკრაინის, რუმინეთის, რუსეთის, საქართველოსა და ბულგარეთის შავი ზღვის კონტეინერის ტერმინალებმა 1 582 932 TEU დაამუშავეს.
- 2018 წელს უკრაინის, რუმინეთის, რუსეთის, საქართველოსა და ბულგარეთის შავი ზღვის კონტეინერის ტერმინალებმა 2 927 016 TEU დაამუშავეს.



Black Sea region turnover, 2018 and 2017, TEU, full



Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Vakhtang Bzalava

The Role of the Black Sea in the International Political System -
Regional Security of Georgia

Master's Program of Conflict Analysis and Management

MA Thesis is Written to Gain Master's Degree of Conflict Analysis and Management

Supervisor – Vakhtang Maisaia, Associate Professor

Tbilisi, 2020